საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (611)
22 - 28 დეკემბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ანტირუსული ფაშიზმი მასმედიიდან უნდა აღმოიფხვრას! 19

## რუსეთის წინადადებები აშშ-ისა და ნატოს ორმხრივი უსაფრთხოების თაობაზე 5



## ნატოს მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ! 6-7

## დეგნანის ქუსლქვეშ ამოდებული საქართველოს მთავრობა 3



## 2 საქართველო რეგიონში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც დასავლეთს თავს აბეზრებს

## სიტყვა სტალინზე

წარმოთქმული 2019 წლის 21 დეკემბერს ი.ბ. სტალინის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ რუსეთისა და ბელარუსის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის სესიაზე ამ აკადემიის ნამდვილი წევრის ალექსანდრე ჭაჭიას მიერ 8-9



## ადამიანი, რომელიც დაიბადა 21 დეკემბერს

რუსეთსა და საქართველოში ბევრმა იცის, რომ ამ დღეს დაიბადა ადამიანი, რომელმაც ახალი ეპოქა, ან სულაც ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ცხოვრებაში



მამა გიორგი (რაზმაძე):

## გეიაღლუმებისა და მამათმავლობის თავსმომხვევი სამყარო ჩვენი არჩევანი ვერ იქნება! 10



ხათუნა საგინაშვილი:

## «ქვეყნის ტრაგედიაა ის, რომ ისეთ ბოროტ ძალას, როგორიც «ნაციონალური მოძრაობაა», ნახევარი მილიონი ამომრჩეველი ისევ ჰყავს» 14



## 18 ვაზის ფოთლის მაგალითიც კმარა იმისთვის, რომ მივხვდეთ, რაღაც უბედურება გვჭირს

ნატოს სატყუარა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო, პრაქტიკულად, უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა“, — ეს არის სიახლე, რომელიც ამერიკამ და ევროპამ მოიგონეს და ჩვენც ავიტაცეთ. ე.ი., ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი, მაგრამ ვმოქმედებთ ისე, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა, და ეს არის მთავარი. ზუსტად ეს იქნება მთავარი მინიშნება 2022 წელს გასამართ ნატოს სამიტზე და აუცილებლად გვეტყვიან, რომ ჩვენ სწორედ ალიანსის წევრ ქვეყანასავით უნდა ვიმოქმედოთ. მერე რა, რომ ოფიციალურად წევრი არ ვართ და მთავარი პრინციპი: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის — ჩვენზე ვერანაირად ვერ გავრცელდება.

# საქართველო რეგიონში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც დასავლეთს თავს ატყუებინებს

## რას ჰქვია, «ისე მოიქეცით, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა»?

**დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ ძალიან საინტერესო იყო, რა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა ოფიციალურად მოითხოვა 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში გაწევრების პირობის დოკუმენტურად ანულირება. მთავარი, რასაც აქედან ველოდით, სიტუაციის საბოლოოდ გარკვევა იყო. დასავლელ პარტნიორებს ან უნდა ეთქვათ, რომ დაპირება უკან მიაქვთ და 30 წელი ერთსა და იმავე წრეზე ტყუილად გვატარეს, ან პირდაპირ უნდა გაეღოთ ნატოს კარი. უფრო ზუსტად, უკვე გაღებულ კარში უნდა შევეშვით, თორემ ამდენი ხანი გვიმტკიცებენ, თქვენთვის კარი ღიაა და დაკაკუნებაც არ გჭირდებათო. იყო მესამე ვარიანტიც — დასავლეთს ჩვენთვის, უბრალოდ, უნდა ეთქვა რაიმე დიდი, ძალიან დიდი ტყუილი, რომელსაც ბავშვიც კი არ დაიჯერებდა, მაგრამ შინაგანად გვჯეროდა, რომ ამას არ გვაკადრებდნენ.**

15 დეკემბერს ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-6 სამიტი გაიმართა, რომელშიც ევროკავშირის ინსტიტუტების, წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოების ლიდერებთან ერთად საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც მონაწილეობდა. სწორედ იქ უნდა გაცხადებულიყო ის, რასაც ასე მოუთმენლად ველოდით. ბრიუსელში ნათქვამი დოკუმენტურად უნდა გაფორმდეს 2022 წელს გასამართ ნატოს სამიტზე.

„ჩვენ დღეს მივიღეთ ძალიან მკაფიო გზავნილი ნატოელი პარტნიორების მხრიდან. ნატოს გენერალური მდივანი იყო უაღრესად პირდაპირი და კონკრეტული და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ნატოში ინტეგრაციის საკითხი არის უშუალოდ ნატოს და იმ ქვეყნის გადასაწყვეტი, ვინც მიისწრაფვის ნატოსკენ. პირდაპირ გაკეთდა მინიშნება ნატოს წესდებაზე, კერძოდ, ვაშინგტონის შეთანხმების მეათე მუხლზე, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ქვეყანა, რომელიც მიისწრაფის ნატოსკენ, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, უნდა იყოს მიღებული ნატოში და ეს არის, რა თქმა უნდა, ნატოსა და ამ ქვეყნის გადასაწყვეტი და არც ერთ მესამე მხარეს, მესამე ძალას არ აქვს უფლება, ჩაერიოს ამ პროცესში. ეს გზავნილი დღეს ჩვენ ძალიან მკაფიოდ მოვისმინეთ. მოვისმინეთ მკაფიო გზავნილები იმ პრაქტიკული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გვაქვს თუნდაც შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში. ჩვენ მოვისმინეთ მხარდამჭერი გზავნილები ნატოს გენერალური მდივნის მხრიდან საქართველოს მიერ იმ პრაქტიკული ინსტრუმენტების შესრულების მიმართულებით, რომლებიც გვაახლოებს ნატოსთან და ერთხმად იყო აღნიშნული, რომ საქართველო პრაქტიკულად უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **დავით ზალკალიანმა.**

**„საქართველო, პრაქტიკულად, უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა“,** — ეს არის სიახლე, რომელიც ამერიკამ და ევროპამ მოიგონეს და ჩვენც ავიტაცეთ. **ე.ი., ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი, მაგრამ ვმოქმედებთ ისე, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა, და ეს არის მთავარი. ზუსტად ეს იქნება მთავარი მინიშნება 2022 წელს გასამართ ნატოს სამიტზე და აუცილებლად გვეტყვიან, რომ ჩვენ სწორედ ალიანსის წევრ ქვეყანასავით უნდა ვიმოქმედოთ. მერე რა, რომ ოფიციალურად წევრი არ ვართ და მთავარი პრინციპი: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის — ჩვენზე ვერანაირად ვერ გავრცელდება.** უფრო მეტის მოლოდინი არც პრემიერმინისტრს რომ არ აქვს, მისი განცხადებიდანაც ჩანს. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ „ნატოს 2022 წლის სამიტი კარგი შესაძლებლობა იქნება საქართველოს პროგრესის აღიარებისთვის...“ ანუ, უახლოეს მომავალში ალიანსში გაწევრებაზე მინიშნებაც არ არის და არც ამის მოლოდინია. **იმასაც ვერ ვიტყვით, მაპ-ზე უკეთესი მოგვცესო.**

მოდი, რიგითობით მივყვეთ და დავსვათ მთავარი კითხვა — **რისთვის სჭირდება ნატოს საქართველო?** ავღანეთში, ერაყსა და სირიაში კონფლიქტები ან დასრულებულია, ან გაყინული და უახლოესი წლების განმავლობაში მათი გაცოცხლება-მოგვარების წინაპირობა არ ჩანს. შედეგად, ქართული ჯარი არც ერაყშია, არც ავღანეთში და მხოლოდ ცენტრალურ აფრიკაში, ისიც მცირე ოდენობით არის დისლოცირებული. ეს პროექტიც წლის ბოლოს მთავრდება და გამოვა ისე, რომ დასავლეთს ქართველი ჯარისკაცები არც საზარბაზნე ხორცად სჭირდება კონფლიქტურ ქვეყნებში, არც მშვიდობისმყოფელებად, უბრალოდ, არაფერში სჭირდება. **აქედან გამომდინარე, ქართული ჯარის შეიარაღება და უცხოური ამუნიცია საჭირო აღარ არის. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კი შეაჩეჩეს ორიოდე წლის წინათ 75 მილიონად ჩამოწერილი ჯართი, რომელსაც ჩვენში „ჯაველინების“ სახელით იცნობენ, სინამდვილეში კი ყველა განვითარებულმა ქვეყანამ მათზე, როგორც მოძველებულ იარაღზე, უარი განაცხადა.** ისიც ვთქვათ, რომ ყარაბაღის ომის შემდეგ დიდი სახელმწიფოები საბრძოლო დრონების აწყობაზე გადავიდნენ და აღარავინ მალავს, რომ საბრძოლო დრონი თანამედროვე ეპოქის ყველაზე ეფექტიანი იარაღია. საქართველოს, რა თქმა უნდა, საბრძოლო დრონებს არც აჩუქებენ და არც მიჰყიდიან — შემთხვევით სააკაშვილის მსგავსი ტვინგაცხელებული მმართველი რომ მოვიდეს კვლავ სათავეში, ის დრონები არ ააფრინოს და ომობანათი არ გაერთოს. გამოდის, **დასავლეთს ძლიერი ქართული არმია არაფერში სჭირდება. ე.ი., რა თანხაც უნდა ჩაიდოს ქართულ ჯარში, ვერასდროს იქნება ისეთი, რომ დიდ სახელმწიფოს ებრძოლოს; ამასთან, ომის შემთხვევაში, ჯარისკაცებზე უკვე ნაკლებია დამოკიდებული, ყველაფერი საფრენი აპარატებითა და კომპიუტერით, დისტანციურად იმართება, რის საშუალებაც საქართველოს არ აქვს და არც უახლოეს მომავალში ექნება.**



**დასავლეთს ძლიერი ქართული არმია არაფერში სჭირდება. ე.ი., რა თანხაც უნდა ჩაიდოს ქართულ ჯარში, ვერასდროს იქნება ისეთი, რომ დიდ სახელმწიფოს ებრძოლოს; ამასთან, ომის შემთხვევაში, ჯარისკაცებზე უკვე ნაკლებია დამოკიდებული, ყველაფერი საფრენი აპარატებითა და კომპიუტერით, დისტანციურად იმართება, რომლის საშუალებაც საქართველოს არ აქვს და არც უახლოეს მომავალში ექნება. აქედან გამომდინარე, ნატოში საქართველოს გაწევრების აზრს ვერც ევროპა ხედავს და ვერც ამერიკა, მაგრამ, ეს რომ ხმამაღლა ითქვას, ქართული მხარე იძულებული იქნება, საგარეო კურსი შეცვალოს, სწორედ ეს არ აძლევს ხელს დასავლეთს**

აქედან გამომდინარე, ნატოში საქართველოს გაწევრების აზრს ვერც ევროპა ხედავს და ვერც ამერიკა, მაგრამ, ეს რომ ხმამაღლა ითქვას, ქართული მხარე იძულებული იქნება, საგარეო კურსი შეცვალოს. დასავლეთს სწორედ ეს არ აძლევს ხელს. საქართველო არის საუკეთესო საბაბი რეგიონში, რომ რუსეთს პერიოდულად ნერვები მოუშალონ. ნერვების თამაში რომ მიდის, იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთმა მკაცრი განცხადებით მოითხოვა საქართველოსა და ნატოს თაობაზე 2008 წელს მიღებული დოკუმენტის ანულირება, ანუ ნერვები თურმე ჩრდილოელ მეზობელსაც აქვს და, თუ გაბრაზდა...

ფრაზა „საქართველო, პრაქტიკულად, უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი ქვეყანა“, შესაძლოა, საშველიც კი იყოს ჩვენთვის. პენსია 260-300 ლარია, მაგრამ მოიქცნენ პენსიონერები ისე, თითქოს 1000 ლარს იღებენ; პროდუქტები ძვირია, მაგრამ არ შევიმჩნიოთ, მოვიქცეთ ისე, თითქოს იაფია; ლარი გაუფასურებულია, მაგრამ არა უშავს, მოვიქცეთ ისე, თითქოს მყარია... ხანდახან გვგონია, მარიხუანის ლეგალიზაცია ხელისუფლებამ იმიტომ დააკანონა, რომ თვითონაც თამამად მიიღოს, მოსახლეობაც მიეძალოს და „კაიფში“ ყველაფერი ადვილი გადასატანია. **ვინმე აგვიხსნის: რას ჰქვია, ისე მოიქეცით, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა?** მაშინ დაგვიძახეთ, ნატოს წევრი სახელმწიფოების ლიდერები რომ დასხდებიან სასაუბროდ, და დავიჯერებთ, მაგრამ არა, ეს არ მოხდება, დოკუმენტურად არ ვართ წევრი, უბრალოდ, როლს ვთამაშობთ. ერთი მსახიობის თეატრიც კი აღარ გვაქვს მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ აღარაა და ამიტომ როლების მორგება ცალ-ცალკე უწევთ მინისტრებს. შინაგანად ყველამ იცის, რომ ეს დაცინვაა და თანაც მწარე დაცინვა, მაგრამ არ იმჩნევენ. რომ შეიმჩნიონ, მერე მინისტრის სავარძელს დაკარგავენ. ეს კი, პირველ რიგში, გავლენისა და შემოსავლის დაკარგვას ნიშნავს. ახლა, ასეთ სიძვირეში, მინისტრის სავარძელზე უარის თქმა იქნება?! არ ჯობია, ფეხი აუწყონ დასავლელ პარტნიორებს და იგივე გაიმეორონ, რასაც ისინი ამბობენ? სინამდვილეში კი, ეს უკვე თამაშიც აღარ არის, ეს არაფერი აღარ არის. **ქართული სახელმწიფოც რეალურად ქაღალდზე არსებობს და ვიქცევით ისე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, თორემ დამოუკიდებლობასთან საერთო არაფერი გვაქვს. ჩვენი ქვეყნის პირველ პირებს ამეორებინებენ იმ სისულელეებს, რომლებსაც დასავლელი პარტნიორები მოიფიქრებენ ხოლმე და ეგებ თავადაც უკვირთ ასეთი მორჩილება. სინამდვილეში, ორივე მხარემ იცის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მაგრამ ხალხი ამ ტყუილებს მაინც ჭამს, პროტესტის უნარი აღარ აქვს მოსახლეობას და ამიტომ დემოკრატობანას თამაშობენ. რაც მთავარია, იმ ქვეყნებს, რომლებიც ჩვენ დღეშია, ნიშნს უგებენ: საქართველოს თუ სჯერა, თქვენ რატომ არ გჯერათო?!** რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო ვართ, რომელიც დასავლეთს უფლებას აძლევს, თავი მოატყუებინოს და კოვზით მიწოდებული სატყუარა გადაყლაპოს. 2022 წლის ნატოს სამიტიც მორიგი სატყუარა იქნება, რომელზეც საქართველოს მიმართ საქებარ სიტყვებს არ დაიშურებენ, სადაც მორიგ დაპირებას მივიღებთ და იმედია, ისე არ იზამენ, ჩვენს ხელისუფალთ შეუძახონ: ნატოს წევრ ქვეყანასავით მოიქეცით და საბრძოლო მოქმედებები დაიწყეთო. დაახლოებით ასეთი განცდა ჰქონდა სააკაშვილსაც, როცა 2008 წელს ომში ჩააბა ქვეყანა და, რით დასრულდა ეს ყველაფერი, კარგად მოგეხსენებათ.

**ბესო ბარბაქაძე**

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲟᲕᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲘᲧᲝ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲟᲕᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲗ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲬᲐᲐᲒᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡᲐᲪ ᲐᲥᲔᲖᲔᲑᲔᲜ, — ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲒᲕᲧᲔᲕᲘᲗᲝ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚ ᲔᲚᲩᲔᲑᲡ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲓᲒᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲡᲚᲥᲕᲔᲨ ᲐᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

**მიმდინარე წლის 28 ივლისს „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ შემდეგი განაცხადა: „შარლ მიშელის დოკუმენტმა თავისი მისია შეასრულა და თავი ამოწურა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატების ნახევარზე მეტს შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია, ვხედავთ, რომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები საჭიროდ არ თვლიან, რადიკალურ ოპოზიციას დოკუმენტის ხელმოწერა და მის აღსრულებაში მონაწილეობა მკაცრად მოსთხოვონ. თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება იმ პოლიტიკური შეთანხმების ფონზე, რომელსაც მთავარი ოპოზიციური პარტია ხელს არ აწერს, ქვეყნის ინტერესებისთვის დამაზიანებელია. ამ ვითარებაში „ქართული ოცნების“ მხრიდან შეთანხმების ამოწურულად გამოცხადება უალტერნატივო ნაბიჯად გვესახება. 19 აპრილის შეთანხმების ანულირების ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა ბედი ეწევა შეთანხმების იმ პუნქტებს, რომელთა შესრულებაც ჯერ არ დაწყებულა ან არ დასრულებულა? ჩვენ ჯერ კიდევ დოკუმენტის ხელმოწერამდე განვაცხადეთ, რომ საარჩევნო და სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ცვლილებები ყოველგვარი პოლიტიკური შეთანხმების განხორციელების გარეშეც განხორციელდებოდა. შესაბამისად, ეს პროცესი გაგრძელდება. სასამართლო რეფორმა მომავალი წლის ზაფხულამდე დასრულდება, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებები სიღრმისეულად განიხილება და მიიღება“.**





**ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲒᲧᲐᲕᲡ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲧᲐᲕᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ „ᲐᲞᲠᲐᲕᲔᲑ“ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲗᲘ, ᲐᲜᲣ ᲨᲔᲜ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲝᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲡ ᲐᲠ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ; ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲙᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲘᲛ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲕᲐᲓᲝᲓ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲐᲜ**

ამის შემდეგ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც ოპოზიციამ რეფერენდუმი დაარქვა, და, **შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლის მიუხედავად, დასავლელი პარტნიორები ჯიუტად იმეორებდნენ, თუ 43%-იან ბარიერს ვერ გადალახავს მმართველი გუნდი, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნებაო. შემდეგ კი, როცა ევროპამ, ამერიკამ და ოპოზიციამ თვითმმართველობის არჩევნები ერთად წააგეს, დაიწყეს ფიქრი, როგორ შეეცვალათ ხელისუფლება. ჰო, სწორედ რომ შეეცვალათ, რადგან ამერიკასა და ევროპას უფრო მორჩილი და რუსეთთან უფრო რადიკალური მმართველობა სურთ.** ადამიანური რესურსის არქონის გამო, აქციებით შეცვლა არ გამოვიდა და დასავლეთმა მთავარი კოზირი გააააქტიურა — საქართველოში მიხეილ სააკაშვილი ჩამოვიდა. ახლა უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მიშამ „მწვანე ბარათი“ სწორედ დასავლეთისგან მიიღო; ის დაარწმუნეს, რომ ვერ დაიჭერდნენ ან, თუ დაიჭერდნენ, მალე გაათავისუფლებდნენ. არც ერთი გამართლდა და არც მეორე, ამიტომ დასავლეთი კვლავ საგონებელშია. ამასობაში, „ქართული ოცნება“ ცდილობს, კანონმდებლობა საკუთარ თავსა და ქვეყანას მოარგოს და მოსამართლეების დანიშვნისა და საარჩევნო რეფორმის წესების დამტკიცება დაიწყო.

„პარლამენტის ნაჩქარევი გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის წესის ბოლოდროინდელი რეფორმების გაუქმებაზე ძირს უთხრის მმართველი პარტიისა და ოპოზიციის შეთანხმებულ ძალისხმევას, რომ ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი პოზიციები მრავალპარტიული კონსენსუსის საფუძველზე შეივსოს. ეს არის კიდევ ერთი არასაჭირო ნაბიჯი, დაშორებული იმ ვალდებულებებისგან, რომლებიც მმართველმა პარტიამ მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აიღო ოდირის დიდი ხნის არსებული რეკომენდაციების შესრულებით, ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით საქართველოს საარჩევნო სისტემისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის. იმისათვის, რომ საქართველოს ამომრჩევლებს ჰქონდეთ ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ, ისინი უნდა ენდობოდნენ ცენტრალური საარჩრევნო კომისიის წევრების მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობასა და კვალიფიკაციას. სწორედ ამას ისახავდა მიზნად წინა, კონსენსუსზე დაფუძნებული პროცედურა, რომელზეც მმართველი პარტია და ოპოზიცია შეთანხმდნენ, სანამ ეს წესი პროცესის ბოლოს შეიცვალა ინკლუზიური კონსულტაციის გარეშე. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას პარლამენტში, სამოქალაქო საზოგადოებას, პრეზიდენტსა და მის გუნდს ერთობლივი მუშაობისკენ ყველაზე მაღალკვალიფიციურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ კანდიდატებზე მრავალპარტიული კონსენსუსის მისაღწევად ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ პოზიციების დასაკავებლად, რომლებიც თებერვალში გახდება ვაკანტური“, — ეს განცხადება ამერიკის საელჩომ გაავრცელა.

დასამალი არავისთვისაა, რომ **არჩევნების წინ თამარ ჟვანიას გადადგომა დასავლელი პარტნიორების მთავარი მოთხოვნა იყო. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჟვანიას მოხსნით „ოცნება“ არჩევნებს წააგებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლას აპირებენ და არა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არამედ, საზოგადად, რეგიონების დონეზეც კი და საამისოდ ოპოზიციასაც აქეზებენ, ბრძოლაში აგვყევითო. ამერიკის საელჩოსა და ევროპელ ელჩებს იგივე რეაქცია ჰქონდათ, როცა მოსამართლეების დანიშვნაზე მიდგა საქმე. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ნაციონალების მმართველობის პერიოდში ამერიკის ელჩთან არა მხოლოდ მოსამართლეთა დანიშვნის წესს ვათანხმებდით, არამედ კონკრეტულ სახელებსა და გვარებს, ვინ სად უნდა დანიშნულიყო.**

რა არის სახელმწიფო? — საარჩევნო სისტემა და სასამართლო. როცა ორივე ინსტიტუტი გამართულად მუშაობს, სახელმწიფო შემდგარია, რადგან სამართლიანი არჩევნები და სასამართლო ის არის, რაც უზრუნველყოფს მთავარს — სიმართლესა და გამჭვირვალობას. ჰოდა, სწორედ ამ ორ ინსტიტუტზე ცდილობს დასავლეთი კონტროლის მოპოვებას, თორემ დანარჩენი საინტერესო არ არის. რა ერქმევა ამა თუ იმ სამინისტროს **პირველ პირს ან ვინ იმუშავებს სკოლის დირექტორად, ნაკლებად საინტერესოა. როცა საარჩევნო ადმინისტრაცია ხელში გყავს, ხელისუფლებაში მოგყავს, ვინც გინდა, და ამას შემდეგ „აპრავებ“ სასამართლოთი, ანუ შენ მიერ დანიშნული მოსამართლე იღებს შენთვის საჭირო გადაწყვეტილებას. ერთი მხრივ, კარგია, რომ ხელისუფლება ამას მიხვდა და სწორედ ამ ორ ინსტიტუტს არ უთმობს დასავლეთს; მეორე მხრივ კი, ბევრი კითხვის ნიშანია თუნდაც იმ მოსამართლეთა სახელებისა და გვარების მიმართ, რომლებიც უვადოდ ინიშნებიან.** ხელისუფლება თავს იმით იმართლებს, რომ სასამართლო სისტემაში კადრების დეფიციტია, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნო ის, ვისაც სახელი აქვს გატეხილი და მოსახლეობა არ ენდობა. სწორედ მოსახლეობა, რადგან სამართალს მასები ეძებენ, თორემ მაღალჩინოსნები საქართველოში ყოველთვის მართლები არიან.

**ამერიკის ელჩი ხელისუფლების მისამართით კრიტიკას არ იშურებს და მუდმივად ცდილობს, ქვეყნის საშინაო საქმეებში ისე ჩაერიოს, რომ მის გარეშე გადაწყვეტილებები არ მიიღონ. ამის ფონზე, მთავრობა ერთხმად გაიძახის, ამერიკა ჩვენი პარტნიორიაო, და, თუ სადმე ამერიკის ელჩს დაინახავენ, მასთან სურათის გადაღების მსურველთა რიგი დგება.** როგორ გინდა, დაიჯერო, რომ მინისტრები ვერ ხვდებიან, რომ **კელი დეგნანი ცდილობს, საქართველოს მთავრობა ქუსლქვეშ ამოდებული ჰყავდეს და მართოს?! პირდაპირ მიანიშნებს, რომ მას უნდა დაემორჩილონ, უნდა დაემონონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის ექნება პრეტენზია იმაზე, რომ ურჩი ხელისუფლება შეიცვალოს. ჰოდა, შენი დამონების მსურველს სტრატეგიულ პარტნიორს რომ ეძახი, სერიოზული პრობლემაა.**

მომავალი წლის ზაფხულისთვის ეს პროცესები უნდა დასრულდეს და უნდა გვქონდეს როგორც გამართული საკანონმდებლო ბაზა, ასევე სრულად გამართული ქვეყნის მთავარი კანონი — კონსტიტუცია, თუმცა **დასავლეთი იმუქრება, ჩვენს თარგზე თუ არ მოჭრით ერთსაც და მეორესაც, რიგგარეშე არჩევნების საკითხს დღის წესრიგში მწვავედ დავაყენებთო. არადა, სწორედ რიგგარეშე არჩევნების არანაირი წინაპირობა არ ჩანს და არც გამოჩნდება, თუ ძალით არ მოგვახვევენ თავს. არადა, ამის ნიშნები უკვე არის.** არც ის არის მოსაწონი, პრეზიდენტის ინიციატივა, — შევრიგდეთო, სათავისოდ რომ მორიგო ოპოზიციამ: ჯერ სააკაშვილი გამოვიდეს ციხიდან და მერე შევრიგდეთო. **დასავლელი „პარტნიორები“ ხვდებიან, რომ ერთადერთი გამოსავალი ვადაზე ადრე ხელისუფლების შეცვლისა, სწორედ მიშას გათავისუფლებაა.** პირველ რიგში, ეს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გაალიზიანებს და მერე თავისუფლებაზე მყოფი სააკაშვილი თავს ყველაფრის უფლებას მისცემს, რადგან მისი ახალი დაკავება ისე ლამაზად შეიფუთება პოლიტიკური ნიშნით, როგორც დაგიბარებიათ. ჰოდა, ეს შერიგებისა თუ მორიგების ინიციატივა პრეზიდენტმა იქამდე არ უნდა მიიყვანოს, გამოსავლად მხოლოდ სააკაშვილის გათავისუფლება დარჩეს.

**საზოგადოდ, ეს შერიგებაც თავს მოხვეული გვგონია, რადგან, მოსახლეობის აზრით, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შერიგება კი არა, მისი გასამართლება და დასჯაა საჭირო. უსამართლობის განცდა არის მთავარი, რაც დღეს ხალხს აწუხებს. დასანანია, რომ „ქართული ოცნება“ ამას 2012 წლიდან დღემდე ვერ მიხვდა ან მიხვდა და ვერ აკეთებს, არ აკეთებინებენ და უკვე ვეღარც გააკეთებს, რადგან სწორედ „ოცნების“ მიერ არიან თანამდებობებზე დანიშნული ისეთი „მამალი ნაციონალები“, რომ მათი დასჯა მმართველი გუნდის დისკრედიტაციის ტოლფასი იქნება.**

მომავალი წლიდან დასავლეთი კვლავ შეეცდება, საქართველოს კანონმდებლობა საკუთარ თარგზე მოჭრას, მით უმეტეს მაშინ, როცა წინ ნატოს სამიტია და მთავრობას თითს დაუქნევენ: თუ ჭკუით არ იქნებით, „მაპზე უკეთესს“ ვერ მიიღებთო. ამიტომ ხელისუფლებას მოთმინება და გაძლება მართებს, თორემ ოდნავ მოშვებული (და არა გადაგდებული) მონობის უღელი ისევ მყარად თუ დაგვადგეს, მის მოშორებას ათწლეულიც აღარ ეყოფა.

**ᲑᲔᲡᲝ ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბრიუსელში გაიმართა ე.წ. აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მეექვსე სამიტი, რომელშიც პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით საქართველოს მრავალრიცხოვანი დელეგაციაც მონაწილეობდა. სამიტი რიგით მეექვსე კი იყო, მაგრამ შინაარსობრივად წინა სამიტებისგან არაფრით განსხვავდებოდა. „მნიშვნელოვანი" საქართველოსთვის ის იყო, რომ ცოტაცა, ცოტაცა და აუცილებლად გახდება საქართველო ნატოს წევრი. არადა, ცოტა ადრე, უკრაინის კლოუნი პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კიევის ნატოში ინტეგრაციაზე საუბარი 2030 წლამდე არ დაიწყება. აქედან გამომდინარე, იანგარიშეთ, ზემოხსენებული „ცოტაცა, ცოტაცა" საქართველოსთვის რომელ წელს ნიშნავს.**

# ტრადიციული ღირებულებების დამცველებო, მართლმადიდებელ რუსეთში შეერთდით!

**გასულმა კვირამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რა სისწრაფით იცვლება და ვითარდება პროცესები გეოპოლიტიკაში და ამ მხრივ პროგნოზების კეთება, როგორც წინა პუბლიკაციაში თქვენმა მონა-მორჩილმა აღვნიშნე, უმადური საქმეა.**



ვერაფრით ჩავიგდე ისეთი მომენტი ხელში, წერილის მთავარი თემა მხოლოდ უბედური საქართველოს მოსახლეობის გაჭირვებული ყოფა რომ ყოფილიყო, რომლის უნამუსო ხელისუფლებას სააკაშვილთან ბრძოლაში საახალწლოდ შემწვარი გოჭებისა და საცივის სეზონის დადგომის იმედი აქვს. სეზონის, რომელიც, ძველით ახალი წლის ჩათვლით, ერთ თვეს გაგრძელდება და ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილის თემა ნაკლებად აქტუალური იქნება — ზუსტად ასე განაცხადა **შალვა რამიშვილმა,** რომელიც ნაცების დაუძინებელი მტერი და ბიძინა ივანიშვილის გაცხადებული ტელეპროპაგანდისტია. რაც ნაცების მიმართ ცოდვად არ მიმაჩნია; მეტიც, ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ: ვერავინ და ვერაფერი მათქმევინებს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი ჯობია დღევანდელს.

უბრალოდ, შალვა რამიშვილსა და მის თანამოაზრეებს შევახსენებ, რომ ე.წ. გოჭ-საცივის პერიოდის ხანგრძლოვობა ცოტა ხნის წინათ (თუნდაც „საზიზღარი კომუნისტების" ხანაში) ყველასთვის (ჩინიანთა და უჩინოთათვის) ერთნაირი იყო და არა ისე, როგორც დღეს არის — მოსახლეობის უმცირესობა არმად ნაშოვნი ფულით ნაყიდი გოზინაყით იტკბარუნებს პირს, ხოლო უმრავლესობისთვის არ არსებობს არანაირი „საცივის სეზონი", რადგან ღარიბ-ღატაკთა ყოველდღიური ყოფა ფიზიკური არსებობისთვის ბრძოლა და ნაგვის ბუნკერებში ქექვაა... მაგრამ პატარა საქართველოს დიდი პრობლემები გასულ კვირაში მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ტექტონიკურმა ძვრებმა გადაფარა.

თუ გახსოვთ, წინა წერილში ე.წ. კარიბის კრიზისი გავიხსენე იმის აღსანიშნავად, რომ 1962 წელს კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და თითქმის იგივე ვითარებაა დღესაც. თუმცა „თითქმის" დღევანდელ ვითარებაში რბილად ნათქვამი სიტყვაა, ეს გასულ კვირაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აშშ-ნატოს, საერთოდ, კოლქტიური დასავლეთის მიმართ გაკეთებულმა განცხადებამ დაადასტურა — დღეს მსოფლიო გაცილებით რეალურად დგას ბირთვული ომის საფრთხის წინაშე, ვიდრე ოდესმე ყოფილა, რადგან პირველად ისტორიაში რუსეთმა აშშ-ნატოსგან კი არ ითხოვა, არამედ მოითხოვა თავისი უსაფრთხოების გარანტიები... მოდი, მოვლენებს აუჩქარებლად და თანმიმდევრულად მივყვეთ.

გასულ კვირაში ბრიუსელში გაიმართა ე.წ. აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მეექვსე სამიტი, რომელშიც პრემიერ **ირაკლი ღარიბაშვილის** მეთაურობით საქართველოს მრავალრიცხოვანი დელეგაციაც მონაწილეობდა. სამიტი რიგით მეექვსე კი იყო, მაგრამ შინაარსობრივად წინა სამიტებისგან არაფრით განსხვავდებოდა. საქართველოსთვის „მნიშვნელოვანი" ის იყო, რომ ცოტაცა, ცოტაცა და აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. არადა, ცოტა ადრე, უკრაინის კლოუნი პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კიევის ნატოში ინტეგრაციაზე საუბარი 2030 წლამდე არ დაიწყება და, აქედან გამომდინარე, თვითონ იანგარიშეთ ზემოხსენებული „ცოტაცა, ცოტაცა" საქართველოსთვის რომელ წელს ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ვერც იქ, ბრიუსელში და ვერც აქ, თბილისში გამართულ ბრიფინგებზე ირაკლი ღარიბაშვილი ვერ დაიღალა იმის აღნიშვნით, რომ სამიტი უპრეცედენტოდ წარმატებული და ისტორიული იყო საქართველოსთვის, რაშიც მართლაც ძნელია, პრემიერს შეედავო...

რას ამბობთ, ირაკლი ღარიბაშვილმა ხომ თვით ნატოს გენმდივან **იენს სტოლტენბერგსა** და ევროსაბჭოს პრეზიდენტ **შარლ მიშელს** ჩამოართვა ხელი!

რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანს,** მან პრემიერის დონემდე ვერ „გაქაჩა" — საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროპის უმაღლეს წარმომადგენელ **ჟოზეპ ბორელთან** (ეს ის ბორელია, რომელიც პუტინმა ერთი-ერთზე შეხვედრისას ისე „გააფარჩაკა", რომ ევროპაში კინაღამ იმპიჩმენტი მოუწყვეს) მისალმება აკმარეს, სამაგიეროდ, დიპლომატიის სახელმძღვანელოებში შევა და მომავალ თაობებს გადაეცემა მისი ბრძნული ნათქვამი: „რუსეთს მანამდე არ დაველაპარაკებით, სანამ სოხუმ-ცხინვალს არ დაგვიბრუნებს"-ო, ანუ როდის — როდინობის კვირის შვიდშაბათს? ერთი ჭკვიანი და პატიოსანი ლიბერასტულ ბანაკშიც ჰყოლიათ — „რადიო თავისუფლების" პრაღის ბიუროს ჟურნალისტმა, **რიკარდ ჟოზვიაკმა** სამიტის დაწყებამდე განაცხადა, რომ ის (სამიტი) ვერც ისტორიული და, საერთოდ, არაფრის მომტანი იქნება საქართველოსთვისო. ამ სიმართლის თქმისთვის, რომ იტყვიან, ლამის შეჭამეს ქართველმა კოლეგებმა და, დიდი ალბათობით, „რადიო თავისუფლების" მესვეურებმა შეიძლება სამსახურიც დაატოვებინონ პუტინის „მოსყიდულ" ჟურნალისტს.

რა გაეწყობა, რიკარდ, ასეთია კოლექტიური დასავლეთის „დემოკრატია"! ახლა კი მსოფლიო დონის მოვლენის შესახებ, რომელმაც შოკში ჩააგდო სამყარო...

**10 დეკემბერს რუსეთის საგარეო უწყებამ აშშ-ს მიმართა საჯარო მოთხოვნით, რომ უზრუნველყოს რუსეთის უსაფრთხოება იმით, რომ ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდება; რომ მოახდინონ ბუქარესტის სამიტის რეზოლუციის დეზავიურება და შედეგად მოლდოვა, უკრაინა და საქართველო ვერასოდეს იქნებიან ნატოს წევრები; რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე ნატოს წევრი ქვეყნებიდან გაიტანონ შეტევითი შეიარაღება... რომ, რომ და მრავალი რომ, ანუ რუსეთმა გაავლო წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთის უფლებას აღარავის მისცემს**

10 დეკემბერს რუსეთის საგარეო უწყებამ აშშ-ს მიმართა საჯარო მოთხოვნით, უზრუნველყოს რუსეთის უსაფრთხოება იმით, რომ ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდება; რომ მოახდინონ ბუქარესტის სამიტის რეზოლუციის დეზავიურება და შედეგად მოლდოვა, უკრაინა და საქართველო ვერასოდეს იქნებიან ნატოს წევრები; რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე ნატოს წევრი ქვეყნებიდან გაიტანონ შეტევითი შეიარაღება... რომ, რომ და მრავალი რომ, ანუ რუსეთმა გაავლო წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთის უფლებას აღარავის მისცემს.

ამ, ფაქტობრივად, ულტიმატუმზე პასუხისთვის რუსებმა ამერიკელებს 1-თვიანი ვადა მისცეს, რომელიც 14 იანვარს იწურება. საჭადრაკო ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, აშშ ცუგცვანგშია, ანუ არ არსებობს აშშ-ისთვის მომგებიანი სვლა.

აშშ-ის პრეზიდენტს ეს დოკუმენტი მაგიდაზე უდევს და პუტინთან კიდევ ერთ რანდევუზე თანხმობა განაცხადა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა** გააფრთხილა ამერიკელები, რომ მათი განცხადება მენიუს პრინციპს გამორიცხავს, ანუ დოკუმენტი მიიღება მთლიანად და არა ცალკეული საკითხები.

რა თქმა უნდა, ულტიმატუმის ვადის ამოწურვა არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი მეორე დღესვე დაიწყებს სამხედრო პასუხის გაცემას, მაგრამ იციან რა, რომ პუტინს არ სჩვევია სიტყვების უსაფუძვლო რახარუხი, ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ პუტინს ასეთი შემთხვევისთვის ადეკვატური გეგმა „ბეც" ექნება. ზემოთ აღვნიშნე, რომ მსოფლიო შოკშია, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ? რუსეთის ულტიმატუმის მეორე დღესვე მოხდა ის, რისიც იანკებს ყველაზე მეტად ეშინოდათ — შედგა პუტინის ორსაათიანი სატელეფონო რანდევუ ჩინეთის პირველ პირთან; მხარეები ურთიერთდახმარებაზე შეთანხმდნენ ბევრ საკითხში, მათ შორის სამხედრო სფეროში და ლიბერასტულ ღირებულებებთან ერთობლივ ბრძოლაზე.

ჩინეთისა და რუსეთის ტანდემი შეიძლება ანტილიბერასტი ხალხისთვის (მათ შორის კოლექტიური დასავლეთისთვისაც, სადაც ნორმალურ ხალხს ლგბტ ტრანსგენდერული მარწუხებით აწამებენ) დროთა განმავლობაში ერთგვარ მიზიდულობის ცენტრად იქცეს. ამის გამო აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რუსეთში **მაიკლ მაკფოლმა** იხუმრა: ადრე საბჭოეთს ჰქონდა ლოზუნგი: „კომუნისტებო (უნდა ეთქვა, პროლეტარებო), ყველა ქვეყნისა შეერთდით!" და ვლადიმერ პუტინსა და თავმჯდომარე **სი ძინპინს** ახალი სასაცილო ლოზუნგი შესთავაზა: „ანტილიბერალებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!"..

მე კი ნორმალუერ ადამიანებს ასეთ ლოზუნგს შევთავაზებდი: **ტრადიციული ღირებულებების დამცველებო, მართლმადიდებელ რუსეთში შეერთდით!**

ისე, ვის ექნება სატირლად საქმე და ვის — სასაცილოდ, ამას ახლო მომავალში ვნახავთ...

**დავით მხეიძე**

**იციან რა, რომ პუტინს არ სჩვევია სიტყვების უსაფუძვლო რახარუხი, ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ პუტინს ასეთი შემთხვევისთვის ადეკვატური გეგმა „ბეც" ექნება. ზემოთ აღვნიშნე, რომ მსოფლიო შოკშია, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ?! რუსეთის ულტიმატუმის მეორე დღესვე მოხდა ის, რისიც იანკებს ყველაზე მეტად ეშინოდათ — შედგა პუტინის ორსაათიანი სატელეფონო რანდევუ ჩინეთის პირველ პირთან. მხარეები ბევრ საკითხში, ურთიერთდახმარებაზე შეთანხმდნენ, მათ შორის სამხედრო სფეროში და ლიბერასტულ ღირებულებებთან ერთობლივ ბრძოლაზე**

**„ამერიკის შეერთებული შტატები იღებს ვალდებულებას, გამორიცხოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამომავლო გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით, უარი თქვას ალიანსში იმ სახელმწიფოების მიღებაზე, რომლებიც ადრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შედიოდნენ“**

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის წინადადებები აშშ-ისა და ნატოს ორმხრივი უსაფრთხოების თაობაზე

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 17 დეკემბერს გამოაქვეყნა შეთანხმების პროექტები რუსეთსა და აშშ-ს შორის უსაფრთხოების გარანტიების შესახებ, აგრეთვე, შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.**

მოსკოვმა აშშ-სა და ნატოს შესთავაზა, იურიდიულად განმტკიცდეს უარი ნატოში „იმ სახელმწიფოების მიღების შესახებ, რომლებიც ადრე შედიოდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში. უფრო მეტი — ვაშინგტონს წინადადება წაუყენეს, უარი თქვას ამ ქვეყნებთან „ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის“ განვითარებაზე, ლაპარაკია, უწინარესად, უკრაინასა და საქართველოზე.

**რუსეთისა და აშშ-ის შეთანხმების პროექტი 8 მუხლისგან შედგება.**

**1-ელ მუხლში** ნათქვამია, რომ „მხარეების ურთიერთქმედება ეფუძნება განუყოფელ და თანაბარ უსაფრთხოებას, ერთმანეთის უსაფრთხოების დაზიანებაზე უარის თქმას“. ამ მიზნებით „არ მოქმედებენ და არ ახორციელებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ეხება მეორე მხარის უსაფრთხოებას, არ მონაწილეობენ მათში და მხარს არ უჭერენ მათ“, „არ განახორციელებენ უსაფრთხოების ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულია თითოეული მხარის მიერ ინდივიდუალურად ან საერთაშორისო ორგანიზაციების, სამხედრო კავშირის ან კოალიციის ჩარჩოებში, რომლებიც ძირს უთხრის მეორე მხარის უსაფრთხოების ინტერესებს“.

**მესამე მუხლში** ნათქვამია, რომ „მხარეები არ გამოიყენებენ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებს მეორე მხარეზე თავდასხმის მოსამზადებლად ან სხვა ქმედებისათვის, რომლებიც შეეხება მეორე მხარის უსაფრთხოების ინტერესებს“.

**საკვანძო მნიშვნელობა აქვს მეოთხე მუხლს: „ამერიკის შეერთებული შტატები იღებს ვალდებულებას, გამორიცხოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამომავლო გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით, უარი თქვას ალიანსში იმ სახელმწიფოების მიღებაზე, რომლებიც ადრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შედიოდნენ“.**

აქვე აღნიშნულია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები აღარ შექმნიან სამხედრო ბაზებს იმ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომლებიც ადრე შედიოდნენ საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში და არ არიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები, არ გამოიყენებს მათ ინფრასტრუქტურას ნებისმიერი სამხედრო საქმიანობისთვის, აგრეთვე, არ განავითარებს მათთან ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას“.

**მეხუთე მუხლი** ლაპარაკობს იმაზე, რომ **„მხარეები თავს იკავებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების განლაგებისგან, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების, სამხერო კავშირებისა და კოალიციების ჩარჩოებში იმ რაიონებში, რომლებშიც ასეთი განლაგება მეორე მხარის მიერ აღიქმება თავისი ეროვნული უსაფრთხოებისადმი მუქარად, გარდა ასეთი განლაგებისა მხარეების ნაციონალური ტერიტორიების საზღვრებში“.**

**მეექვსე მუხლში** ნათქვამია, რომ „მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიწისზედა ბაზირების საშუალო და მცირე სიშორის მოქმედების რაკეტები არ განალაგონ ეროვნული ტერიტორიების გარეთ, აგრეთვე, თავიანთი ეროვნული ტერიტორიების იმ რაიონებში, რომლებიდანაც ასეთ შეიარაღებას შეეძლება, დააზიანოს მიზნები მეორე ქვეყნის ეროვნულ ტერიტორიაზე“.

იმის შესახებ, რომ „მხარეები გამორიცხავენ ბირთვული იარაღის განლაგებას ეროვნული ტერიტორიების გარეთ და წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლამდე ეროვნული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ უკვე განლაგებულს ეროვნულ ტერიტორიაზე დააბრუნებენ“, — ნათქვამია **მეშვიდე მუხლში.**

**ანალოგიური სულისკვეთებითაა განმსჭვალული ნატოსთან შეთანხმებაც, რომელიც 9 მუხლს მოიცავს.**

კერძოდ, მის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „შეთანხმების მონაწილეები ერთმანეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობენ თანაბარი და განუყოფელი უსაფრთხოების თანამშრომლობის პრინციპებით. „ისინი არ განამტკიცებენ თავიანთ უსაფრთხოებას ინდივიდუალურად, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამხედრო კავშირებისა და კოალიციების ჩარჩოებში სხვების უსაფრთხოების ხარჯზე.

**დოკუმენტში არის თეზისი, რომლის თანახმადაც „მონაწილეები ერთმანეთს არ განიხილავენ მოწინააღმდეგის რანგში“, საკვანძო მუხლებია მე-6 და მე-7, ისინიც ეხება ალიანსის გაფართოების საკითხებს:** „მონაწილეები, რომლებიც არიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეთანხმების ორგანიზაციის წევრები, იღებენ ვალდებულებებს, რომლებიც გამორიცხავს ნატოს სამომავლოდ გაფართოებას, მათ შორის უკრაინის მიერთებას, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოებისაც“, — ნათქვამია დოკუმენტში და აღნიშნულია: **„მონაწილეები, ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოები უარს ამბობენ ნებისმიერ სამხედრო საქმიანობაზე უკრაინის ტერიტორიაზე, აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპის, ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ტერიტორიებზე“.**



**მოსკოვმა აშშ-სა და ნატოს შესთავაზა, იურიდიულად განმტკიცდეს უარი ნატოში «იმ სახელმწიფოების მიღების შესახებ, რომლებიც ადრე შედიოდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში. უფრო მეტი — ვაშინგტონს წინადადება წაუყენეს, უარი თქვას ამ ქვეყნებთან «ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის» განვითარებაზე, ლაპარაკია, უწინარესად, უკრაინასა და საქართველოზე**

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, აგრეთვე, გამოაქვეყნა რუსეთის სტრატეგიული წინადადებები აშშ-სა და ნატოს მიმართ ურთიერთუსაფრთხოების გარანტიების შესახებ. ეს მოიცავს შემდეგ პუნქტებს:**

**1.** რუსეთი სთავაზობს ნატოს, ივალდებულოს, რომ გამორიცხავს სამომავლო გაფართოებას და ალიანსისთვის უკრაინის მიერთებას;

**2. რუსეთი და ნატო იღებენ ვალდებულებას, არ განალაგონ საშუალო და მცირე მანძილზე მოქმედების რაკეტები რაიონებში, საიდანაც ისინი შეძლებენ ერთმანეთის ტერიტორიების დაზიანებას;**

**3.** რუსეთი ნატოს სთავაზობს, განამტკიცოს შეთანხმება, რომ მშვიდობიანად გადაიჭრას ყველა საკამათო საკითხი და თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან;



**4. რუსეთი და აშშ არ გამოიყენებენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებს ერთმანეთზე თავდასხმის მოსამზადებლად ან განსახორციელებლად;**

5. რუსეთმა და ნატომ უნდა ივალდებულონ, არ შექმნან პირობები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც მუქარა;

**6. რუსეთი და აშშ იღებენ ვალდებულებას, არ ჩაატარონ სამხედრო სწავლებები ბირთვული იარაღის გამოყენების სცენარის დამუშავებით;**

**7.** რუსეთი და აშშ იღებენ ვალდებულებას, არ მოემზადონ არაბირთვული ქვეყნები ბირთვული იარაღის გამოსაყენებლად;

**8. რუსეთი სთავაზობს ნატოს, დაადასტუროს, რომ ისინი ერთმანეთს არ განიხილავენ მოწინააღმდეგის რანგში;**

**9.** რუსეთი და აშშ იღებენ ვალდებულებას, არ განალაგონ ატომური იარაღი საზღვარგარეთ და უკვე განლაგებული დააბრუნონ უკან, აგრეთვე, მოხდეს ბირთვული იარაღის განლაგებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ლიკვიდაცია თავიანთი ტერიტორიების გარეთ.

**10. რუსეთი სთავაზობს ნატოს, უარი თქვას ნებისმიერ სამხედრო საქმიანობაზე უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპაში, ამიერკავკასიაში, ცენტრალურ აზიაში;**

**11.** რუსეთი და აშშ იღებენ ვალდებულებას, არ განალაგონ საშუალო და მცირე მანძილზე მოქმედების რაკეტები საზღვარგარეთ და რაიონებში, საიდანაც შეიძლება სხვა ქვეყნის სამიზნეების დაზიანება;

**12. რუსეთი სთავაზობს ნატოს, არ განალაგოს დამატებითი სამხედრო ქვედანაყოფები და შეიარაღება ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომლებშიც ისინი იყვნენ 1997 წლის მაისის (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ალიანსთან მიერთებამდე) მდგომარეობით — განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, თანაც რუსეთისა და ნატოს წევრების თანხმობით.**

რუსეთის ეს წინადადებები უკვე მიიღეს აშშ-ისა და ნატოს ხელმძღვანელებმა. თეთრი სახლის პრესმდივანმა **ჯენიფერ ფსაკიმ** ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ჩვენ განვიხილავთ მათ (რუსეთის) წინადადებებს ჩვენს ეროვნულ მოკავშირეებსა და პარტნიორებთან“. თეთრი სახლის წარმომადგენლის თქმით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შეუძლიათ დადებითი შედეგების მიღწევა, როცა ისინი მოლაპარაკებებს მართავენ სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებზე.

მსგავსი განცხადება გააკეთა ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა.** მან თქვა, რომ ალიანსი მზად არის, იმუშაოს რუსეთთან ნდობის გაღრმავებაზე.

ამასთანავე, რუსეთის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების პროექტის კომენტირებისას, სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნებისმიერ დიალოგში გათვალისწინებული უნდა იყოს ალიანსის შეშფოთება და ნატოს ევროპელი პარტნიორების თვალსაზრისი.

**kommersant.ru-სა და strana.today-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის ამ ულტიმატუმის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნატოსა და აშშ-ისგან რუსეთი არა მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ უკრაინა და საქართველო არ აღმოჩნდნენ ნატოს შემადგენლობაში, არამედ იმასაც, რომ აშშ-მა და ნატომ უნდა გაათავისუფლონ მათ მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის წევრები იყვნენ.**



# ნატოს მოსვლამდე არაფერი გვეტკინოთ!

## ამერიკული ჰეგემონიის დასასრული — აშშ-ს, პოსტსაბჭოთა სივრცესთან ერთად, ევროპის დატოვებაც მოუწევს

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

### ორმოცდამეხუთე გამოშვება




**ქართველებმა ორიოდე დღის წინათ „შვებით" ამოვისუნთქეთ. ეს „შვება" მაშინ ვიგრძენით, როდესაც ბრიუსელში ჩასულმა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრისას ისეთი „მტკიცე" და „დამაიმედებელი" სიტყვა წარმოთქვა, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღება საბოლოოდ გადაწყვეტილი გვეგონა. მან თქვა: „საქართველო გულდასმით მუშაობს ბუქარესტის 2008 წლის სამიტის იმ გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდება. დადგა კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დრო. ეს იქნება ძლიერი გზავნილი ყველა ასპირანტი ქვეყნისთვის, რომლის ექო გადასწვდება მთელ რეგიონს და ყველა დარწმუნდება, რომ ნატო აქ არის და უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე". არანაკლებ ომახიანი იყო გენერალური მდივნის, ბ-ნ იენს სტოლტენბერგის განცხადებაც: „ჩვენ უარვყოფთ ნებისმიერ იდეას ევროპაში გავლენის სფეროების შესახებ. ალიანსი თავის პარტნიორებს კვლავაც აღმოუჩენს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას. ჩვენ ვმუშაობთ, რათა საზღვაო ოპერაციების მხარდაჭერით, ერთობლივი წვრთნებითა და ინფორმაციის გაზიარებით საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობები გავაძლიეროთ".**

ნამდვილად ხმამაღალი განცხადებაა, მაგრამ მართლაც რა „ბოროტების იმპერიაა" ეს რუსეთი. საქართველოსთვის აღმაფრთოვანებელი ამ განცხადებებიდან ორიოდ დღეში ისეთი რამ ჩაიდინა, რომ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, გახურებულ შუბლზე ცივი წყალი გადაგვასხა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა აშშ-ისა და ნატოსთან ხელშეკრულების პროექტები გარანტიებისა და უსაფრთხოების შესახებ, რომლებშიც რუსეთი ულტიმატუმის ენით ელაპარაკება აშშ-საც და ნატოსაც. **წარმოგიდგენთ მხოლოდ ორ მუხლს ამ ხელშეკრულების პროექტებიდან, რომლებიც პირდაპირ ღაღადებს, რომ დიდ პოლიტიკაში რევოლუციური ცვლილებების ეტაპი დაიწყო.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ სიმძაფრის შემცველი განცხადება, რომელიც ამ პროექტის მუხლებშია ჩამოყალიბებული, რუსეთის მხრიდან არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით 2007 წელს მიუნხენში მთელი დასავლეთისთვის ვლადიმერ პუტინის შოკისმომგვრელ ნათქვამს, რომელმაც მსოფლიოს ერთპოლუსიანი სისტემის დასასრული აუწყა. **დასავლეთისთვის შეთავაზებული ამ ახალი ხელშეკრულების პროექტში რუსეთი აშშ-ისა და ჩრდილო-ატლანტიკურ სამხედრო ალიანსისგან მოითხოვს, რომ ძირფესვიანად შეცვალოს არამხოლოდ რუსეთთან, არამედ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან დამოკიდებულება. ამ ხელშეკრულების გაფორმება, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრციდან აშშ-ისა და ნატოს გაძევებას ნიშნავს.** დააკვირდით:

* „США принимают обязательства исключить дальнейшее расширение НАТО на восток и отказываются от приема в альянс стран, которые ранее входили в СССР; США также не будут создавать военные базы на территории стран, входивших в СССР и не являющихся членами НАТО";

* „обязательство НАТО исключить дальнейшее расширение блока, а также отказаться от военной деятельности на территории Украины и других стран Восточной Европы, Закавказья и Центральной Азии."

დიახ, ხელშეკრულების ეს ორი მუხლი ნიშნავს რუსეთის მიერ აშშ-ისა და ნატოს გაძევებას პოსტსაბჭოთა სივრციდან, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოდანაც. შესაძლებელია, შემომედავოთ: ეს ჯერჯერობით მხოლოდ პროექტია, რომელსაც აშშ და ნატო ხელს არ მოაწერენო. სავარაუდოდ, ეს ასეც მოხდება, ყოველ შემთხვევაში, **დასავლეთი შეეცდება, დიდხანს გააჭიანუროს ვაჭრობა, მაგრამ აქ მთავარი მათი მხრიდან ხელის მოწერა კი არ არის, მთავარი რუსეთის ეს პოზიციაა, რომელიც, როგორც იქნა, ზეპირი განცხადებების დონეს გასცდა და ხელშეკრულების (დოკუმენტის) დონეზე გამოიხატა. მას შემდეგ, რაც ეს ტექსტი გამოქვეყნდა, იგი დასავლეთის მხრიდან ხელისმოწერის გარეშეც იმ დოკუმენტად იქცა, რომელმაც რუსეთის ოფიციალურად გაცხადებული პოზიცია მსოფლიოს ამცნო.**

რუსეთი ამ პოზიციიდან უკვე არ გადავა და ვერც გადავა, ვინაიდან ხელისუფლებას, რომელიც ასეთი რევოლუციური ხასიათის გლობალური პროექტით წარდგება როგორც საკუთარი ხალხის, ასევე მსოფლიოს წინაშე, უკანდასახევი გზა აღარ რჩება. ისტორიიდან კი გვახსოვს, როგორ მოქმედებს რუსეთი იმ სიტუაციებში, როდესაც მას უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს. **ვინმე თუ ფიქრობს, რომ არც ამერიკელებს აქვთ უკანდასახევი გზაო, ეს ასე არ არის. მათ აქვთ უკანდასახევი, ვინაიდან ისინი თვითონ ემუქრებიან რუსეთის უსაფრთხოებას, თორემ მათ არავინ ემუქრება. გაცხადებული პოზიციიდან გადასვლა რუსეთისთვის საკუთარი არსებობის რისკის ქვეშ დაყენებას ნიშნავს, ამერიკელებს კი შეუძლიათ, ისევე სამარცხვინოდ გაბუნძულდნენ საქართველოდანაც, უკრაინიდანაც და, საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრციდან, როგორც ავღანეთიდან გამობუნძულდნენ** ადგილობრივ მოსახლეობაზე ოცწლიანი ამაო ძალადობის შემდეგ, რომელმაც სასიკეთო შედეგი ვერავისთვის ვერ გამოიღო. რუსეთის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლისა და ნატოს მიერ ალყაში მისი მოქცევის მცდელობისგან ხელს თუ აიღებენ, ამით აშშ-ის არსებობას საფრთხე არ დაემუქრება, ამით მხოლოდ რეპუტაცია და ავტორიტეტი თუ შეელახებათ, მაგრამ როგორ უნდა შეელახოთ ის, რაც დიდი ხანია, აღარ აქვთ?! **ამერიკელები თუ გაჯიუტდებიან, ამან შეიძლება პროცესები გააჭიანუროს, მაგრამ საბოლოოდ რუსეთი თავს აუცილებლად დაიცავს, რეგიონში მდგომარეობას განიმტკიცებს და დაუპატიჟებლად და სათარეშოდ შემოჭრილ თავხედებს, როგორც იტყვიან, აქედან კინწისკვრით გაყრის.**

პროგნოზი იმისა, რას რა კონკრეტული შედეგი მოჰყვება და რა თანმიმდევრობით განვითარდება მოვლენები, ძნელია, მაგრამ, სისტემურ კრიზისში ჩაფლულ აშშ-ს რუსეთის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის რესურსი რომ არ ჰყოფნის, ფაქტია. საქმეში ჩახედულმა მიმომხილველებმა ეს იციან, ამიტომ, სავარაუდოა, **ისინი იძულებულნი იქნებიან, პირდაპირი სამხედრო ქმედებების ეფექტიანობის ილუზიიდან გამოვიდნენ და ე.წ. ცივი ომის ახალი ვარიანტის გათამაშება სცადონ, თუმცა თანამედროვე რეალობაში ესეც უპერსპექტივო საქმე ჩანს. ისინი, სხვა კონტინენტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ევროპასა და რუსეთს შორის ისეთივე ფარდის ჩამოფარებას, როგორიც საბჭოთა კავშირთან ცივი ომის პირობებში მოახერხეს, ველარ შეძლებენ.** ამ დებულების გასამყარებელ რამდენიმე არგუმენტს მოვიშველიებ: თანამედროვე აშშ-ის ავტორიტეტი მიახლოებულიც არ არის იმასთან, რაც ოდესღაც იყო. დღეს აღარც მისი ეკონომიკის სასწაულის მითი არსებობს, აღარც მისი იდეოლოგიის პროგრესულობის სჯერა ვინმეს და მის სამხედრო უძლეველობასაც, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მოერყა საფუძველი. რაც შეეხება რუსეთს, მართალია, კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები და კრიზისები იქაც იჩენს თავს, მაგრამ, უკვე შიგნიდან გამომპალ და დახავსებულ ამერიკულ იმპერიალიზმთან შედარებით, რუსული კაპიტალიზმი ახალგაზრდაა და ის ეკონომიკური ეფექტები, რომლებიც კაპიტალისტურ სისტემას რიგ საკითხებში უდავოდ ახასიათებს, აქ გაცილებით უკეთესად მუშაობს. **ჩინეთზე ხომ საუბარიც ზედმეტია. სოციალისტური გიგანტი ოცდამეერთე საუკუნეში ისეთი მძლავრი ნაბიჯებით დაიძრა, რომ სასწაული რამეს თუ ჰქვია საერთოდ, ალბათ, ესაა ნამდვილი სასწაული. ასე რომ, აშშ-ის როლი თანამედროვე მსოფლიოში პირდაპირ ჩვენ თვალწინ გადადის უკანა პლანზე.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთს უაღრესად გაუმართლა ლიდერის თვალსაზრისით. **ვლადიმერ პუტინი,** მისი გონებრივი და ორგანიზატორული შესაძლებლობებით, მისი მხედართმთავრული თვისებებითა და თანამიმდევრული საგარეო და საშინაო კურსით ათი თავით მაღლა დგას მის დასავლელ კოლეგებზე. **ბაიდენისგან, ტრამპისგან, ბუშისგან, მერკელისგან, მაკრონისგან, ჯონსონისა** და სხვებისგან განსხვავებით, პუტინი დინებას კი არ მიჰყვება, მართავს ვითარებას. დაკვირვებული თვალისთვის არ არის ძნელი დასანახავი, რომ პუტინი ვითარებას არა მხოლოდ რუსეთში, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოში მართავს და აკონტროლებს. დღეს მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები პუტინის გარშემო ტრიალებენ. პუტინი და მისი ფენომენია წამყვანი თემა ყველგან. დამთავრდება აშშ-ში არჩევნები ამა თუ იმ შედეგით და...ეს რუსეთის ჩარევით მოხდაო, — გაჰყვირიან; დარჩება ევროპა ენერგომატარებლების გარეშე და... ამაშიც რუსეთის კვალს ხედავენ; მოხდება უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება ან, უბრალოდ, შეიცვლება ხელისუფლება და ეს პუტინის გაკეთებულიაო; გა- ▶

**ამ პროექტის გამოქვეყნებით რუსეთმა ხელში აიღო აშშ-თან ურთიერთობის ინიციატივა და იგი მოპასუხის როლში ჩააყენა. ამიერიდან, უწინარესად, ლაპარაკი იქნება არა ამერიკელების მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ხასიათსა და შინაარსზე, არამედ რუსეთის მიერ მათთვის შეთავაზებულ სამშვიდობო ინიციატივებზე, რომელთა მიუღებლობა და შეუსრულებლობა საბოლოოდ გააშიშვლებს ამერიკული პოლიტიკის უზნეობასა და სიბინძურეს**

# მსოფლიოს უსაფრთხოებისა და გლობალური სტაბილიზაციისკენ მიმართული ამ პროექტის შეთავაზებით რუსეთმა დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური პროექტის რეალიზება, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკული ძალმომრეობისგან არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპის განთავისუფლებასაც.

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ვითარებაში საქართველოც სამოქმედო ახალი გზებისა და გადასადგმელი ნაბიჯების ძიებაში უნდა იყოს, მაგრამ რას ბრძანებთ, საქართველო და ნატო თურმე ის მიჯნურები ყოფილან, რომლებსაც მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებთ. საქართველო თურმე ევროპულ ოჯახში უნდა დაბრუნდეს; საქართველო თურმე დასავლური ცივილიზაციის ორგანული შემადგენელი ნაწილი ყოფილა და ა.შ.**

იმარჯვებს სირიაში პრეზიდენტი **ბაშარ ალ ასადი** ან ვენესუელაში პრეზიდენტი **ნიკოლას მადურო** და ეს აშკარად პუტინის ნამოქმედარიაო; გაიმარჯვებს ბელარუსში პრეზიდენტი **ლუკაშენკო** და პუტინმა გაამარჯვებინაო; მოვა მილიარდერი **ივანიშვილი** საქართველოს ხელისუფლების სათავეში და პუტინის გამოგზავნილიაო; ჩასვამენ ციხეში მანიაკ **სააკაშვილს** და პუტინის პირადი ტყვეაო. მთლად სასწაული: **როგორც ამერიკელები აცხადებენ, პრეზიდენტი კენედი თურმე რუსებს მოუკლავთ. ამერიკელებისგან ნამდვილად არ გამიკვირდება 1963 წელს დატრიალებულ ამ ტრაგედიასაც პუტინს თუ დააბრალებენ, რომელიც იმ დროს ათიოდე წლის იქნებოდა. თუკი მართალია ეს ყველაფერი, აფერუმ პუტინის ძლიერებას, მაგრამ, თუ სიცრუეა, ამ სიცრუეშიც პუტინის პიროვნების სიძლიერე იკითხება, რადგან მითები მხოლოდ ძლიერი პიროვნებების ირგვლივ იქმნება.** რამდენიც უნდა მოინდომოს მსოფლიო პრესამ, რამდენიც უნდა იმუშაონ ჟურნალისტებმა, პოლიტოლოგებმა და იმიჯმეიკერებმა ბაიდენის, ჯონსონის, მაკრონის ან ზელენსკის გარშემო მითების შესაქმნელად, ამ პოლიტიკოსებზე მითებსა და ლეგენდებს ვერ შექმნიან, ისევე, როგორც **იუშჩენკოს, ტიმოშენკოს, პოროშენკოს, სააკაშვილს, მარგველაშვილს** ან **ზურაბიშვილს** ვერ მიაწერს ვინმე რამე ამაღლებულ, მჭევრმეტყველურ, დარბაისლურ, სამართლიან ნათქვამს, ქცევას ან გადაწყვეტილებას. სულელურს, გაუაზრებელს, წინდაუხედავსა და სამარცხვინოს, კი ბატონო, რამდენსაც გნებავთ, იმდენს მიაწერთ, მაგრამ ბრძნულს, ნურას უკაცრავად. ეს შედარებები თვალსაჩინოებისთვის მოვიტანე. სად პუტინი და სად დღევანდელი პოლიტიკოსები გინდ ამერიკასა და გინდ ევროპაში, როგორც ცა და დედამიწა, ისეთი განსხვავებაა. ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც გაუჭირდება აშშ-ს, თუ გნებავთ, კოლექტიურ დასავლეთს რუსეთთან ჭიდილი. გაუჭირდება რბილად ნათქვამი შეფასებაა. **დასავლეთის ლიდერებს, მათ ზედაპირულობასა და სიმჩატეს, მათ არასერიოზულობასა და ღირსების დეფიციტს რომ ვუყურებ, ქართველი პოლიტიკოსები მახსენდება. რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (გარდა, გარეგნობისა), მაგალითად, კამალა ჰარისი და სალომე სამადაშვილი, ბორის ჯონსონი და მურმან დუმბაძე, იენს სტოლტენბერგი და ნიკანორ მელია; ვიქტორია ნულანდი და ხათუნა გოგორიშვილი? არაფრით ან თითქმის არაფრით... დღევანდელი საშუალო სტატისტიკური პოლიტიკოსის დონე (მათ შორის, პრეზიდენტებისა და პრემიერმინისტრების) ისე დაბალია, რომ მათთან ურთიერთობისას პუტინი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში.**

ხელშეკრულების პროექტში, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, ჩემ მიერ ციტირებული ორი პუნქტის გარდა სხვა ისეთი პუნქტებიც არის ჩაწერილი, რომ მისი წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია, ადამიანი ვერ მიხვდეს, თუ რა განუზომლად დიდი ძალა და სახელმწიფოებრივი ნება დგას რუსეთის ამ სრულიად ახალი პოზიციებისა და აშკარა ულტიმატუმის შემცველი ინტონაციების უკან:

**1.** Отвод всей военной инфраструктуры НАТО на позиции 1997 года.

**2.** Отмена решения 2008 года о включении в блок Грузии и Украины с одновременным обязательством не принимать в дальнейшем ни одну из постсоветских стран.

**3.** Вывести все ядерное оружие США, развернутое за пределами страны, и ликвидировать соответствующую инфраструктуру.

**4.** Не направлять военные корабли НАТО за пределы национальных вод, откуда они могут поразить территорию России.

კარგად თუ დააკვირდებით, ნახავთ, რა საოცარი შინაარსი დევს ამ მოთხოვნებში. აქ ნატოს მხოლოდ მომავალში დაგეგმილი გაფართოების საწინააღმდეგო მოთხოვნები კი არ არის ჩამოყალიბებული, პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არის გაცხადებული უკვე გაფართოებული ნატოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეკუმშვის მოთხოვნაც: „Отвод всей военной инфраструктуры НАТО на позиции 1997 года“, სწორედ ამას ნიშნავს. მთელი აღმოსავლეთი ევროპა (მათ შორის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიც) ნატოში 1997 წლის შემდეგ შევიდნენ. რუსეთის ამ ულტიმატუმის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნატოსა და აშშ-ისგან რუსეთი არა მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ უკრაინა და საქართველო არ აღმოჩნდნენ ნატოს შემადგენლობაში, არამედ იმასაც, რომ აშშ-მა და ნატომ უნდა გაათავისუფლონ მათ მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის წევრები იყვნენ.

არც ეს არის ყველაფერი: „Помимо этого, Москва требует не развертывать ракеты средней и меньшей дальности, воздержаться от полетов тяжелых бомбардировщиков (включая не несущие ядерное оружие) вне своего неба, не проводить учений с отработкой сценариев ядерной войны.“ ეს საკითხები დიდი ხნის წინათ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი ულტიმატუმის წასაყენებლად რუსეთი აქამდე არ იყო მზად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ყოველმხრივ გაჩანაგებული ეკონომიკა ახლა მყარად დგას ფეხზე, მისმა სტრატეგიულმა შეიარაღებამ კი ძალიან გაუსწრო ამერიკულს. რაც მთავარია, რუსეთი ამ დაპირისპირებაში მარტო არ არის. აშშ-ში არ ეყოთ ჭკუა, რომ რუსეთსა და ჩინეთს ერდროულად არ დაპირისპირებოდნენ, რათა ისინი მოკავშირეებად არ ექციათ. ამერიკელი პოლიტოლოგი **ზბიგნევ ბჟეზინსკი** ამგვარ მოკავშირეობას აშშ-ისთვის კოშმარს უწოდებდა: **„აშშ-ისთვის ყველაზე ცუდი სცენარი რუსეთისა და ჩინეთის დიდი კოალიცია იქნება, რომლებსაც გააერთიანებთ არა იდეოლოგია, არამედ ერთმანეთის შემავსებელი წყენა“.** დღევანდელ რუსეთსა და ჩინეთს იდეოლოგიური ერთიანობა არ აქვთ, მაგრამ საერთო მტერი ნაკლებ საფუძველს როდი აძლევთ მოკავშირეობისთვის. მოკავშირეობის ნამდვილი დემონსტრირება იყო ვლადიმერ პუტინისა და **სი ძინპინის** ვიდეოშეხვედრა და დიალოგი, რომელმაც ხაზგასმულად მეგობრულ და პარტნიორულ ვითარებაში ჩაიარა. რუსეთს ყოველივე ეს ზურგს უმაგრებს, რაც დაუფარავად იგრძნობა კიდეც ტონალობაში, რომლითაც არის გაჟღენთილი აშშ-ისა და ნატოსთვის შეთავაზებული ხელშეკრულების პროექტი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **რიაბკოვმა** ტელეეთერში ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ თავს ისეთი ხუმრობის უფლებაც მისცა, რომელიც ერთგვარ პროსპექტად გამოდგება ამ ახალ, გლობალურ, გეოპოლიტიკურ სიტუაციაში გასარკვევად, ჩვენ თვალწინ რომ ყალიბდება: „Выдвинутые предложения не являются ультиматумом, но это также и не меню, из которого можно выбирать. Россия хочет реализации всех пунктов“. შესანიშნავი ხუმრობაა, თავიდან ბოლომდე პოლიტიკური ირონიით გაჟღენთილი. აი, უკვე ასე ლაპარაკობს და მოქმედებს დღევანდელი რუსეთი, საკუთარი ძლიერებისა და ღირსების განცდით, გათავხედებული მოწინააღმდეგისთვის შესაფერისი ადგილის მიჩენით.

**მსოფლიოს უსაფრთხოებისა და გლობალური სტაბილიზაციისკენ მიმართული ამ პროექტის შეთავაზებით რუსეთმა დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური პროექტის რეალიზება, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკული ძალმომრეობისგან არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპის განთავისუფლებასაც.**

ამ პროექტის გამოქვეყნებით რუსეთმა მსოფლიოს აჩვენა საკუთარი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც ნებისმიერი ჭკუათამყოფელისთვის მისაღები და მისასალმებელია, მაგრამ აშშ-ს არათუ მთლიანად ამ პროექტის, არამედ მისი არც ერთი მუხლის მიღება არ შეუძლია, ვინაიდან თუნდაც ის ერთი მუხლი მთელ მის დამპყრობლურ პოლიტიკას დაანგრევს;

**ამ პროექტის გამოქვეყნებით რუსეთმა ხელში აიღო აშშ-თან ურთიერთობის ინიციატივა და იგი მოპასუხის როლში ჩააყენა. ამიერიდან, უწინარესად, ლაპარაკი იქნება არა ამერიკელების მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ხასიათსა და შინაარსზე, არამედ რუსეთის მიერ მათთვის შეთავაზებულ სამშვიდობო ინიციატივებზე, რომელთა მიუღებლობა და შეუსრულებლობა საბოლოოდ გააშიშვლებს ამერიკული პოლიტიკის უზნეობასა და სიბინძურეს.**

ასეთია ვითარება, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა და რომელმაც დასავლეთი ღრმა საგონებელში ჩააგდო. გერმანელი პოლიტოლოგი და მეცნიერი **ალექსანდრე რარი** რუსეთის ამ ქმედებაში სტალინურ ჟესტებს ამჩნევს. ცნობილი პოლიტოლოგი ამას კარგი გაგებით ამბობს, მაგრამ ევროპაშიც და ამერიკაშიც გაცილებით მეტნი არიან ისეთები, რომლებზეც სტალინის ლანდიც კი თავზარდამცემად მოქმედებს. ამ ვითარებაში საქართველოც სამოქმედო ახალი გზებისა და გადასადგმელი ნაბიჯების ძიებაში უნდა იყოს, მაგრამ რას ბრძანებთ, **საქართველო და ნატო თურმე ის მიჯნურები ყოფილან, რომლებსაც მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებთ; საქართველო თურმე ევროპულ ოჯახში უნდა დაბრუნდეს; საქართველო თურმე დასავლური ცივილიზაციის ორგანული შემადგენელი ნაწილი ყოფილა და ა.შ.**

ძვირფასო მკითხველო, ოცდაათი წელიწადი შევალიე დასავლეთიდან ჩვენთვის თავსმოხვეული ამ შაბლონებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც ისეთივე აბსურდია, როგორიც ბრიუსელში ჩვენი პრემიერმინისტრის ვიზიტი და ნატოს გენერალურ მდივნად წოდებულ ვინმე სტოლტენბერგთან პოლიტიკური და გეოპოლიტიკური თემებით უაზრო ჟონგლიორობა იყო, რომელსაც, ლაზღანდარობის გარდა, ვერაფერს დაარქმევ. უბედურება კი ისაა, რომ ეს არა მხოლოდ უაზრო, მავნე ლაზღანდარობაცაა, რომელსაც, შესაძლებელია, საქართველოს შემდგომი დაშლა-დაქუცმაცება მოჰყვეს. **ნუთუ ეს სისხლიანი და ცრემლიანი ოცდაათი წელიწადი საკმარისი გაკვეთილი არ არის იმისთვის, რომ სამშობლო შეგვეცოდოს, მომავალი თაობა დავინდოთ, ხალხს მოვუფრთხილდეთ და საქვეყნო საქმე, სამიტინგო აღტყინების ნაცვლად, ცივი გონებით განვსაჯოთ?!** გასაგებია, რომ ხელისუფლებათა მთელი თაობები, ეროვნული მოძრაობიდან დღემდე, დასავლეთს მოჰყავდა და ისინიც ერთგულად ემსახურებოდნენ და ემსახურებიან პატრონებს, მაგრამ ხალხსაც, საზოგადოებასაც ხომ აკისრია გარკვეული როლი, მასაც ხომ შეუძლია დასავლური პროპაგანდის გვერდის ავლითა და იგნორირებით დაფიქრება, დასკვნის გაკეთება, თეთრისა და შავის გარჩევა, სიკეთისა და ბოროტების შეცნობა?!..



**ვინ არის ის, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყანამ კვლავაც იმ გზით უნდა იაროს, რომელმაც სამოქალაქო ომამდე, სამ ნაწილად დაშლამდე და ერის გაქრობის რეალურ საშიშროებამდე მიიყვანა?!**

ვინ არის ის, ვინც ფიქრობს, რომ მიმართულება არ უნდა შევცვალოთ; მეტიც, არაფერს არ უნდა გადავხედოთ, არაფერი ხელახლა არ უნდა გავიაზროთ, ისე, ერთხელ და სამუდამოდ აკვიატებული იდეით, რეგვნული სიჯიუტით, უცნაური და საბედისწერო ახირებით, ცხვრის ფარასავით, ერთიმეორის მიყოლებით უნდა ჩავცვივდეთ დასავლეთის უფსკრულში?! ჟამთა სვლასთან ერთად ბევრი რამ გავიაზრე და გავიგე, ბევრ რამეს ჩავწვდი და მივხვდი, მაგრამ იმ ერთს, თითქოს უმარტივესს, მაგრამ დროთა განმავლობაში ასე გართულებულ შეკითხვას, რომელიც, ოცდაათი წელიწადია, მომდევს, მაწვალებს და მახრჩობს, პასუხი ვერ გავეცი: **რატომ უნდა მოვიქცეთ ასე? რატომ? რატომ? რატომ?**

**P.S. სტატია უკვე რედაქციაში მქონდა გაგზავნილი, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რუდენკომ განცხადება გააკეთა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საქმეში უკრაინას განსაკუთრებულად არ განიხილავენ. ეს მხოლოდ შემდეგი კანდიდატია ნატოს წევრობისა. მან განმარტა: „У нас есть и другие страны, граничащие с Российской Федерацией, где подлетное время для ударных систем составляет 45 минут. На Украине таких подлетных расстояний пока нет. Просто наша реакция это превентивная мера, которая предупреждает о том, что в случае развития определенных сценариев с нашей стороны будут предприняты определенные шаги, о которых мы сейчас не распространяемся и говорим только в общем плане, называя эти вещи военными шагами и военно-техническими решениями“.**

**კრემლმა კი დაუშვა ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსების რამდენიმე ვარიანტი.**

**მოკლედ თუ ვიტყვით, რუსეთმა ამერიკასა და ნატოს ულტიმატუმი წაუყენა. მათ უნდა დატოვონ პოსტსაბჭოთა სივრცეც და ევროპაც. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ასეც იქნება. ამერიკული ჰეგემონია დასასრულს მიუახლოვდა.**

**დღესვე შეიქნა ცნობილი, რომ ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს ბელგიის ბანკის მმართველის პოსტის დასაკავებლად განცხადება შეუტანია... ამ კაცმა იმდენი იყვირა უკრაინისა და საქართველოს ნატოს წევრად მიღებაზე, რომ იმედია, ამ თანამდებობას აღარ დააყვედრიან. ასე დასრულდა საქართველოს ფერადი ოცნება ნატოს წევრობაზე. მომავალში ნატოს ხსენებაზე საქართველოში, ალბათ, ასე ეტყვიან ერთმანეთს: მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ!**

შეფასება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინის სახება ქვაკუთხედი იყო საბჭოთა კავშირის გრანდიოზული შენობისთვის და მსოფლიოს მუშათა, კომუნისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. ზ. ბჟეზინსკი, აშკარა მტერი, მაგრამ ჭკვიანი ადამიანი, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში წერდა: „საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობის მოსაშლელად მხოლოდ ორი ბერკეტი არსებობს: ანტისტალინიზმი და ნაციონალიზმი“. 80-იანი წლების ბოლოდან ორივე ეს ბერკეტი სრულად აამოქმედეს ჩვენმა გამყიდველმა ხელისუფლებამ.**



ალექსანდრე ჭაჭია

# სიტყვა სტალინზე

**წარმოთქმული 2019 წლის 21 დეკემბერს ი.ბ. სტალინის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ რუსეთისა და ბელარუსის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის სესიაზე ამ აკადემიის ნამდვილი წევრის ალექსანდრე ჭაჭიას მიერ.**

**ძვირფასო კოლეგებო!**

ამ აუდიტორიაში აუცილებელი არაა, მოვყვეთ ი.ბ. სტალინის ბიოგრაფიაზე, იმ ღვაწლზე, რომელიც მას მიუძღვის სსრ კავშირის შექმნაში, შენარჩუნებასა და განვითარებაში. სტალინის, როგორც პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ადამიანის, მოქალაქის სიდიადე შეუდარებელია და მას ანალოგი არ აქვს მსოფლიო ისტორიაში. ვერც ერთმა დიადმა ისტორიულმა მოღვაწემ ვერ შეძლო იმდენი, რამდენიც სტალინმა — შეექმნა თვისობრივად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია, ჩაეტარებინა ორი მოდერნიზაცია — 30-იან და ომისშემდგომ წლებში; განეხორციელებინა კულტურული რევოლუცია, აეშენებინა სოციალური სამართლიანობის საზოგადოება, ჩამოეყალიბებინა ადამიანთა ხარისხობრივად ახალი ისტორიული ერთობა, როგორიც იყო საბჭოთა ხალხი; გაემარჯვებინა მსოფლიო ომში და გარდაცვლილიყო მსოფლიო ზესახელმწიფოს მეთაურად.

არიან ისტორიული პერსონაჟები, რომლებიც მადლიერებით ახსოვთ და უყვართ ეროვნულ ელიტებს და მმართველ ფენას, ყველანაირად განადიდებენ საკუთარ ქვეყნებში და საზღვარგარეთაც. განათლების სისტემის, მასმედიის, ლიტერატურისა და ხელოვნების მეშვეობით მათგან ქმნიან კეთილშობილურ, გმირულ ხატებას და ეროვნულ გმირებად ნერგავენ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, თუმცა სინამდვილეში ისინი ამ წარმოსახვისგან შეიძლება ძალიან შორს იდგნენ. ასე აშშ-ის მაგალითზე შეიძლება დავასახელოთ ლინკოლნი, ვაშინგტონი, გენერალი გრანტი ან კიდევ ჯეფერსონი, რომელიც ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობაზე დებდა თავს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მსხვილი მონათმფლობელი იყო.

არიან ისეთი ისტორიული პერსონაჟებიც, რომელთაგანაც ხელისუფლება და ინტელიგენცია ყველანაირად ცდილობენ ეროვნული გმირის შექმნას, მაგრამ საზოგადოება მათ ასეთებად არ ცნობს. ჩვენს დღევანდელობაში ამას ვხედავთ ნიკოლოზ მეორის, სოლჟენიცინისა თუ ელცინის მაგალითზე. რამდენიც არ უნდა აშენო ელცინ-ცენტრები, ხალხის აზრი პოზიტიური არ გახდება.

**სტალინის მიმართ ჩვენ იმ ფენომენალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ხელისუფლებაც, ინტელიგენციაც, შიდა და გარე ძალებიც, 70 წელია, ხალხის მეხსიერებიდან მისდამი მადლიერების, სიყვარულის, პატივისცემის ამოშანთვას ცდილობენ, მაგრამ არაფერი არ გამოსდით. სტალინის შემდეგ ადამიანთა უკვე მესამე თაობა ცხოვრობს, მაგრამ მშობლიური ისტორიის უდიდეს მოღვაწედ ისინიც სტალინს თვლიან. დამეთანხმეთ, ეს ფენომენალურია.**

მე არ მოვყვები საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო, იდეოლოგიური, კულტურული გამარჯვებების შესახებ. ეს თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სხვა ყველაფერთან ერთად **სტალინის უდიდეს დამსახურებად ხარისხობრივად ახალი სახელმწიფო მმართველობის სისტემის შექმნა მიმაჩნია, სისტემისა, რომელიც მისი სიკვდილიდან ორმოცი წლის განმავლობაში ეფექტიანად ფუნქციონირებდა. ამ სისტემის ცალკეული ნარჩენები დღესაც მოქმედებენ და მხოლოდ ამის წყალობითაა, რომ რუსეთიც და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც ბოლომდე არ ჩაფლულან დეგრადაციის ჭაობში.**

**ვ.ნ. ნოვიკოვმა,** სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ერთხელ ასეთი რამ თქვა პოსტსტალინურ დროებაზე: **„სახელმწიფო მანქანა ფუნქციონირებდა იმის მიუხედავად, ვინ სად იჯდა. ზემოთ საერთოდაც რომ არავინ არ ყოფილიყო, ქვეყანა მაინც ივლიდა ადრე დასახული განვითარების გზით“.** აი, რას ნიშნავს მმართველობის ეფექტური სისტემა. შექმნა ასეთი სისტემა და თან პარალელურად წყვეტდე ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომის, ომისშემდგომი აღმშენებლობის, ახალი მოდერნიზაციისა და კოსმოსის ათვისების კოლოსალურ ამოცანებს და ეს ყველაფერი მოახერხო ერთი ადამიანის სიცოცხლის კი არა, არასრული ოცდაათი წლის განმავლობაში — აი, რა იმსახურებს აღფრთოვანებას, მადლიერებას და მუხლმოყრით თაყვანისცემას. რა თქმა უნდა, სტალინის სახება ქვაკუთხედი იყო საბჭოთა კავშირის გრანდიოზული შენობისთვის და მსოფლიოს მუშათა, კომუნისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. **ზ. ბჟეზინსკი,** აშკარა მტერი, მაგრამ ჭკვიანი ადამიანი, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში წერდა: „საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობის მოსაშლელად მხოლოდ ორი ბერკეტი არსებობს: ანტისტალინიზმი და ნაციონალიზმი“. 80-იანი წლების ბოლოდან ორივე ეს ბერკეტი სრულად აამოქმედეს ჩვენმა გამყიდველმა ხელისუფლებამ.



**სტალინის, როგორც პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ადამიანის, მოქალაქის სიდიადე შეუდარებელია და მას ანალოგი არ აქვს მსოფლიო ისტორიაში. ვერც ერთმა დიდმა ისტორიულმა მოღვაწემ ვერ შეძლო იმდენი, რამდენიც სტალინმა — შეექმნა თვისობრივად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია, ჩაეტარებინა ორი მოდერნიზაცია — 30-იან და ომისშემდგომ წლებში განეხორციელებინა კულტურული რევოლუცია, აეშენებინა სოციალური სამართლიანობის საზოგადოება, ჩამოეყალიბებინა ადამიანთა ხარისხობრივად ახალი ისტორიული ერთობა, როგორიც იყო საბჭოთა ხალხი, გაემარჯვებინა მსოფლიო ომში და გარდაცვლილიყო მსოფლიო ზესახელმწიფოს მეთაურად**

სტალინის ფიგურის დაკნინების, გაცამტვერების და ისტორიის კვარცხლბეკიდან ჩამოგდების საჭიროებას ბჟეზინსკიმდე გაცილებით ადრე აცნობიერებდნენ საერთაშორისო ფინანსური კაპიტალი და ჩვენი გეოპოლიტიკური მოწინაალმდეგეები. ასეთი მცდელობები მუდმივად იყო მის სიცოცხლეშივე, — შეიძლება, ომის პერიოდის გამოკლებით, — მაგრამ უშედეგოდ. ჩვენი ხალხიც და საერთაშორისო საზოგადოებაც უნდობლობით ეკიდებოდა ამ პროპაგანდისტულ კამპანიებს. სტალინის „გაშავება“ მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა: თუ მის მიმართ ბრალდებებს საბჭოთა ხელმძღვანელობა წამოაყენებდა. და ეს მოხდა.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე არ მჯერა, რომ **ხრუშჩოვის** ცილისმწამებლური მოხსენება მისი გონებაჩლუნგობის ან სტალინისადმი პირადი მტრობის შედეგი იყო. არ მჯერა, რომ სტალინის მრავალწლიანი, გამობრძმედილი თანამებრძოლები — **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ბულგანინი, ვოროშილოვი** — არ შეეპასუხნენ ხრუშჩოვის მყვირალა ტყუილებს პარტიის გახლეჩის შიშით. არ მჯერა, რომ მათ არ ესმოდათ ამ მოხსენების დამანგრეველი მნიშვნელობა ქვეყნისათვის, ხალხის ერთიანობისათვის, სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტისთვის, მსოფლიო სოციალიზმისთვის. არ მჯერა, რომ მათ არ ესმოდათ ის, რაც მაშინვე გაიგო **მაო ძე დუნმა: „ხრუშჩოვის და მისი დამქაშების დანაშაულებრივ საქციელს შორსმიმავალი შედეგები ექნება. ისინი ჯერ გადააგვარებენ და მერე დაანგრევენ საბჭოთა კავშირს და სსრკ კომპარტიას“.** კიდევ იმიტომ არ მჯერა, რომ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა 1951 წელს მომზადებული ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენება აშშ-ის პრეზიდენტისადმი, რომელშიც მოცემულია სტალინის სიკვდილის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების გეგმა. **საბჭოთა საზოგადოების შიგნით გასატარებელ პროპაგანდისტულ სამუშაოში გამოყოფილია შემდეგი მიმართულებები: უნდა წამოიწიოს ლენინის ანდერძი სტალინის ნეგატიური დახასიათებით; სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ომმა შეიწირა; სტალინმა გაანადგურა ძველი ბოლშევიკ–ლენინელები, რომ ქვეყანა პირადი დიქტატურის ქვეშ მოექცია; ომის საწყისი პერიოდის მარცხი გამოიწვია არმიის ხელმძღვანელობის განადგურებამ; ომში გამარჯვება მოიტანა ხალხის გმირულმა ბრძოლამ სტალინის უნიჭო და უვიცი ხელმძღვანელობის მიუხედავად; ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განხორციელდა პატიმართა მონური შრომით; მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დანაშაულებრივი ხასიათი. შეადარეთ პროპაგანდის ეს პოსტულატები იმ ბრალდებებს, რომლებითაც ხრუშჩოვი გამოვიდა ყრილობაზე. რა, უბრალო დამთხვევებია? არაფერს აღარ ვამბობ იმაზე, რომ ყოველივე ამას, 30 წელია, ყოველდღიურად ვისმენთ ტელევიზორიდან და ვკითხულობთ პრესაში.**

ვის და რატომ ეზიზღება სტალინი დღეს? გასაგებია, რომ რუსეთის ოლიგარქიულ–ბიუროკრატულ კაპიტალიზმს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ ექნება სტალინის მიმართ სიმპათია. მმართველი კლასის ეკონომიკური პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება სტალინურ ეკონომიკურ პოლიტიკას. შეგახსენებთ, როგორ ამოცანას სახავდა სტალინი ჯერ კიდევ 1926 წელს: **„ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი მეურნეობა ისე, რომ ქვეყანა არ ვაქციოთ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად. ჩვენი მეურნეობა უნდა ვითარდებოდეს არა როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის დამხმარე საწარმო, არამედ როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული, რომელიც ძირითადად დაეყრდნობა შიდა ბაზარს და ინდუსტრიის ბმას ჩვენს გლეხურ მეურნეობებთან“.** მან დასახა ეს ამოცანა და გადაჭრა კიდევაც.

აი, ამას არ პატიობს სტალინს მსოფლიო კაპიტალი, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა, რომელიც თავის მთავარ დამსახურებად სწორედ სრულიად საპირისპიროს მიიჩნევს — რუსეთის ჩართვას მსოფლიო ეკონომიკურ, ე.ი., კაპიტალისტურ სისტემაში დამხმარე დანამატად. რა თქმა უნდა, **სტალინს შეიჯავრებს ყველა, ვისაც კაპიტალიზმი კაცობრიობის განვითარების უალტერნატივო გზად მიაჩნია, ვინც თვლის, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიული დანიშნულება „ცივილიზებული“ სამყაროს სანედლეულო დანამატად ყოფნაა. სტალინი ეჯავრებათ იმათ შთამომავალთაც, რომელთაც ანალოგიური მიდგომები ჰქონდათ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, ვისაც რუსეთი მხოლოდ „ფიჩხის კონად“ უნდოდა მსოფლიო რევოლუციის კოცონისთვის, ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას და ამისთვის საკადრისი სასჯელი მიიღო.**

სიკვდილივით ეჯავრებათ სტალინი იმიტომ, რომ მან **კატასტროფული მარცხი აგემა დასავლეთს და მათზე ორიენტირებულ შიდა კოსმოპოლიტურ ელიტას. მხოლოდ დოლარისგან თავის დაღწევა და ოქროს მანეთის შემოღება რად ღირს, ვინ გააპატიებს ამას?** იგი ეჯავრებათ საკადრო პოლიტიკის გამო, როცა პროფესიონალი რევოლუციონერების ნაცვლად, — რომელთაგან მრავალს რუსეთთან ბევრი არაფერი აკავშირებდა, — მუშათა და გლეხთა წიაღიდან გამოსულთა დაწინაურება დაიწყო; ეჯავრებათ იმიტომ, რომ მან აღადგინა, ▶

**სტალინის მიმართ ჩვენ იმ ფენომენალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ხელისუფლებაც, ინტელიგენციაც, შიდა და გარე ძალებიც, 70 წელია, ხალხის მეხსიერებიდან მის მიმართ მადლიერების, სიყვარულის, პატივისცემის ამოშანთვას ცდილობენ, მაგრამ არაფერი არ გამოსდით. სტალინის შემდეგ ადამიანთა უკვე მესამე თაობა ცხოვრობს, მაგრამ მშობლიური ისტორიის უდიდეს მოღვაწედ ისიც სტალინს თვლის.**

შეფასება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀შეკრა, განავითარა და კაცობრიობის ბედის განმსაზღვრელ მძლავრ გეოპოლიტიკურ ფაქტორად აქცია საბჭოთა ცივილიზაციური სივრცე. **კიდევ ბევრი რამის გამო ეჯავრებათ: რომ ჩვენი ისტორიის რეაბილიტაცია მოახდინა და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში შეიტანა დიდ ისტორიულ მოღვაწეთა სახელები; ძირშივე სპობდა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას; დააბრუნა ოჯახის კულტი, რომელიც თითქმის დაიკარგა 20-იან წლებში; აღადგინა საპატრიარქო და დაუბრუნა მას ეკლესია-მონასტრები, სემინარიები და სასულიერო აკადემიები (თუმცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი სულმდაბალი იერარქი მას ურჩხულად, სულიერ სიმახინჯედ მოიხსენიებს და ჰიტლერთან აიგივებს). ყოველივე ამას, რაც სტალინმა გააკეთა, ტროცკიმ რევოლუციის ღალატი უწოდა, წიგნიც გამოსცა — „გაცემული რევოლუცია"; თურმე მას და მის დამქაშებს რევოლუცია ამისთვის არ მოუწყვიათ, ამიტომ სტალინი დამნაშავე ყოფილა.**

დამნაშავეა სტალინი მათი დღევანდელი მიმდევრებისთვისაც — ნახეთ, ახლა რამდენი არიან მთავრობაში, მედიაში, ინტელიგენციაში და წარმოიდგინეთ, რამდენი იქნებოდნენ მისი პოლიტიკის მოძულენი 30-იან წლებში, კარს მომდგარი ომის წინ.

ეჯავრებათ სტალინი, მისი ხსოვნა იმიტომაც, რომ, აგერ უკვე 30 წელია, პოსტსაბჭოთა სივრცის მიმდინარე დეზინტეგრაციის, სოციალურ-ეკონომიკური და მორალური დეგრადაციის ფონზე მისი ფიგურა ჩვენი საერთო სამშობლოს ყოფილი დიდების, დიდ სამამულო ომში ჩვენი საერთო დიადი გამარჯვების განსახიერებად რჩება და პოსტსაბჭოთა ხალხების რეინტეგრაციის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს.

**თვით ლიბერალური, პროსახელისუფლებო სოციოლოგიური სამსახურების კვლევებიც კი აჩვენებს, რომ რუსეთის მოსახლეობის 70% ან დადებითად, ან პატივისცემით, ან კიდევ აღტაცებით ეკიდება სტალინს, 15-20%–ს არ გააჩნია ჩამოყალიბებული დამოკიდებულება და მხოლოდ 10-15% ეკიდება მას ნეგატიურად. ასეთი 10% ყოველთვის იყო, არის და იქნება რუსეთში. ეს ის 10%-ია, რომელიც მზად იყო, ქვეყანა ჩაებარებინა ფაშისტებისთვის, 90-იანებში რუსეთს დასავლეთის უღელში აბამდა, ახლაც მზად არის, უცხოელ ბატონს ეყმოს, ოღონდ კი მან საკუთარი ხალხის ძარცვის უფლება შეუნარჩუნოს.**

ნებისმიერ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი რომ შევისწავლოთ, გარწმუნებთ, იმავე ციფრებს მივიღებთ. ტელეეკრანებზე წესიერი, ობიექტური მკვლევარები რომ დავუშვათ და სტალინურ პერიოდზე სიმართლის თქმის საშუალება მივცეთ, მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლის მითი რომ გავაფანტვინოთ, მოსახლეობის 90% რეინტეგრაციის სურვილით, სამართლიანი საზოგადოების მშენებლობის, საზოგადოების მოწყობის საბაზისო სოციალისტური იდეების აღდგენის სურვილით განიმსჭვალება. განა ეს პოსტსაბჭოთა მმართველი რეჟიმებისთვის, მსოფლიო კაპიტალისთვის საშინელება არ არის? ამიტომაა, რომ **სტალინზე სიმართლის თქმის, მისი ხსოვნისადმი პატივის მიგების მცირეოდენი მცდელობაც კი გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება. სტალინგრადისთვის მისი გმირული სახელის დაბრუნება არ შეიძლება — საზოგადოებაში განხეთქილებას შეიტანსო; სტალინის ძეგლის დადგმა, თუნდაც სადმე მიყრუებულ ადგილას, არ შეიძლება, საზოგადოებაში განხეთქილებას შეიტანსო. სტალინი რომ საომარ მოქმედებებს გლობუსით არ ხელმძღვანელობდა, ამის თქმაც არ შეიძლება, ისევ განხეთქილებაა. განხეთქილება ისაა, როცა ხალხს ერთი აზრი აქვს, თავს კი საპირისპიროს ახვევენ და საზოგადოება ორად იყოფა.** ასე მოიქცნენ ხრუშჩოვი და პოლიტბიუროს ის წევრები, რომლებმაც მას წინააღმდეგობა არ გაუწიეს. ამიტომ მათი თავის მართლება, რომ პარტიის გახლეჩის შიშით არ ამხილეს ნიკიტას პროვოკაცია, ტყუილია. სწორედ ხრუშჩოვის ნაბოდვარმა გახლიჩა პარტია. დღეს როგორღა შეიძლება გახლეჩაზე ლაპარაკი, როცა მხოლოდ 10%-ია 70%–ის წინააღმდეგ? ე.ი. ყველა ოფიციალურ დონეზე მხარი დაუჭირო და პროპაგანდა გაუწიო 10%-ის პოზიციას, ნორმალურია, 70%-ის პოზიცია რომ გაიზიარო, ეს გახლეჩაა. გახლეჩა ვისი?

რატომაა, რომ სტალინის სახელი სულ უფრო აქტუალური ხდება? კაპიტალიზმი მსოფლიოში ჩიხშია შესული. რუსეთში პრინციპულად შეუძლებელია განვითარება კაპიტალისტური წყობის პირობებში. მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში ჩართვისას რუსეთში თითქმის ყველა საწარმო არარენტაბელურია. საკმარისია, ითქვას, რომ ერთი კვ მეტრი საწარმოო ფართობის გასათბობად რუსეთში 2,5–ჯერ მეტი ენერგიაა საჭირო, ვიდრე ფინეთში, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ზე აღარ ვლაპარაკობ. რუსეთში განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ სტრატეგიის პირობებში, რომელიც სტალინმა გამოაცხადა შორეულ 1926 წელს — საკუთარ ბაზარზე დაყრდნობით მრეწველობის ზმით სოფლის მეურნეობასთან. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური წესის პირობებში.

**დღეს რუსეთის არსებობას ორი ფაქტორი განაპირობებს: ღმერთისა და ბუნების მიერ ნაბოძები სასარგებლო წიაღისეულის ექსპორტი და სტალინის და ბერიას დანატოვარი ბირთვული იარაღი. მმართველი კლასის წარმომადგენლები ამაყობენ კიდეც იმით, ქვეყანა რომ მსოფლიო ეკონომიკის სანედლეულო დანამატად აქციეს: ჩვენი ნავთობისა და გაზის გარეშე რას იზამენო. ყველა პროგნოზის მიხედვით, 2030 წლისთვის რუსეთში ნავთობის მოპოვება განახევრდება (ძველი საბადოები იფიტება, ახლების ძიება არ მიმდინარეობს), პარალელურად განახევრდება მსოფლიო ფასებიც** (მსოფლიო ეკონომიკის შენელების გამო მცირდება მოხმარება, ჩნდება ენერგიის ალტერნატიული წყაროები). ამდენად, ნავთობისგან შემოსავლები 4-ჯერ შემცირდება. ვითომ არსებობს რეზერვები, მაგრამ გაუგებარია, სად ინახება ეს რეზერვები და როცა დაგჭირდება, გამოყენების საშუალებას მოგცემენ თუ არა, ესეც საკითხავია. რომც გამოიყენო, რამდენ ხანს უნდა გეყოს? 2009 წელს, როცა კრიზისის გამო ნავთობზე ფასები დაეცა, ეკონომიკაში, ძირითადად, ფინანსურ სექტორში, 150 მლრდ დოლარი ჩაუშვეს ერთ წელიწადში. კარგი, ჩაუშვებენ 500-600 მილიარდს სამ-ოთხ წელიწადში. მერე რა იქნება? მერე ქვეყანა დაიშლება. ჯერ გამოიყოფიან ასე თუ ისე თვითკმარი რეგიონები, მერე მათ მიჰყვებიან ისინი, ვისაც ტრანსნაციონალური კომპანიები შეიფარებენ. **კაპიტალიზმზე გადასვლას სსრკ-ის დაშლა მოჰყვა, ამ გზით შემდგომ სვლას რუსეთის ფედერაციის დაშლა მოჰყვება. ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და რუსეთისთვის ძველი დიდების დაბრუნება მხოლოდ სტალინურ ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია. უფრო მეტიც, ჩემი აზრით, არსებობს გეოპოლიტიკური აქსიომა: თანამედროვე სამყაროში რუსეთმა შეიძლება იარსებოს მხოლოდ როგორც მსოფლიო ზესახელმწიფომ, ან საერთოდ ვერ იარსებებს. მსოფლიო ზესახელმწიფო რომ გახდე, საამისოდ საჭიროა გაერთიანება, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრაცია. რა პირობებშია შესაძლებელი ეს გაერთიანება? გაერთიანება შესაძლებელია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში თვითკმარი სახელმწიფოს შექმნისას, სოციალური სამართლიანობის საზოგადოების ჩამოყალიბებისას.**

მხოლოდ ასეთ პირობებში იქცევა რუსეთი მიზიდულობის ცენტრად პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხებისთვის და არა მხოლოდ მათთვის. დღეს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის ალტერნატივის ძიებაშია. კარს მომდგარი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი ამ ძიებას უფრო გააძლიერებს. და, **თუ რუსეთი გადადგამს გაბედულ ნაბიჯს და მხსნელ არჩევანს გააკეთებს, ხალხები იმედიან მზერას მას მიაპყრობენ, როგორ იმედიანადაც უყურებდნენ საბჭოთა კავშირს 20-იან, 30-იან, 40-იან წლებში და ინერციით უფრო გვიანაც, თვით 80-იან წლებამდე. კაპიტალისტურ რუსეთთან გაერთიანება მოძმე ბალარუსსაც კი არ უნდა. არ უნდა იმიტომ, რომ იცის, რა ბედიც ელის: მოვლენ რუსი ოლიგარქები, იყიდიან ყველაფერს, რასაც მოგება მოაქვს, გააჩერებენ იმ საწარმოებს, რომლებიც კონკურენციას უწევენ დასავლურ კომპანიებს და ქვეყანა გაუკაცრიელდება ბალტიისპირეთის ქვეყნებივით.** რით შეიძლება ამიერკავკასიის ან შუა აზიის ხალხთა, უკრაინელების, ბალტიისპირელების, მოლდოველების სიმპათია დაიმსახურო? ახლანდელი ყოფის რა ალტერნატივა შეიძლება შესთავაზოს მათ დღევანდელმა რუსეთმა? არც არაფერი. მათ ისევ ძარცვავენ ადგილობრივი ოლიგარქები, თავზე აზიან ადგილობრივი ელიტები, რიგითი ადამიანი კი ისეთივე ღატაკი და უუფლებოა.

ამ ხალხებში, განსაკუთრებით უფროს და საშუალო თაობაში რუსეთის მიმართ შემორჩენილი სიმპათიები არის სიმპათიები იმ საბჭოთა რუსეთის მიმართ; ეს არის იმედი იმისა, რომ რუსეთი დაუბრუნდება განვითარების, სიკეთის, სულიერების და სამართლიანობის გზას, იმ გზას, რომელიც განუსაზღვრა რუსეთს და მთელ საბჭოთა კავშირს იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთის ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე მზადდება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების გრანდიოზული პროგრამა. ღმერთმა ქნას, რუსეთის პრეზიდენტს ეყოს ძალა და სიმტკიცე მისი რეალიზაციისთვის.

**დე გოლმა** ასეთი სიტყვები თქვა სტალინის სიკვდილზე: „სტალინი მოკვდა. მაგრამ ის არ დარჩენილა წარსულში, მან მომავალში გადაინაცვლა".

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასეა.

**ალექსანდრე ჭაჭია,**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსეთის მოსახლეობის 70% ან დადებითად, ან პატივისცემით, ან კიდევ აღტაცებით ეკიდება სტალინს, 15-20%-ს არ გააჩნია ჩამოყალიბებული დამოკიდებულება და მხოლოდ 10-15% ეკიდება მას ნეგატიურად. ასეთი 10% ყოველთვის იყო, არის და იქნება რუსეთში. ეს ის 10%-ია, რომელიც მზად იყო, ქვეყანა ჩაებარებინა ფაშისტებისთვის, 90-იანებში რუსეთს დასავლეთის უღელში აბამდა, ახლაც მზად არიან, უცხოელ ბატონს ეყმონ, ოღონდ კი მან საკუთარი ხალხის ძარცვის უფლება შეუნარჩუნოს**



**რუსეთის მიმართ შემორჩენილი სიმპათიები არის სიმპათიები იმ საბჭოთა რუსეთის მიმართ; ეს არის იმედი იმისა, რომ რუსეთი დაუბრუნდება განვითარების, სიკეთის, სულიერების და სამართლიანობის გზას, იმ გზას, რომელიც განუსაზღვრა რუსეთს და მთელ საბჭოთა კავშირს იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთის ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე მზადდება საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების გრანდიოზული პროგრამა. ღმერთმა ქნას, რუსეთის პრეზიდენტს ეყოს ძალა და სიმტკიცე მისი რეალიზაციისთვის**

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ ფონზე, როცა ლიბერალური დასავლეთი გაშმაგებით უტევს ხელისუფლებას და ეუბნება: დასაჯე საკუთარი ხალხი, დაიჭირე, დაარბიე და დაატერორე, ოღონდ აუცილებლად ჩაატარებინე გეიაღლუმი, ამას შეიძლება მოჰყვეს სოციალური აფეთქება. უფრო სწორად, შეიძლება კი არა, აუცილებლად მოჰყვება და დარწმუნებული იყავით, რომ ის აუცილებლად დამთავრდება მმართველი ძალის პოლიტიკური აღსასრულით“.**



მამა გიორგი (რაზმაძე):

# გეიაღლუმებისა და მამათმავლობის თავსმომხვევი სამყარო ჩვენი არჩევანი ვერ იქნება!

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2013 წლის 17 მაისის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო. დასკვნაში, რომელიც 16 დეკემბერს გამოცხადდა, აღნიშნულია, რომ 2013 წლის 17 მაისს უხეშად დაირღვა ლგბტ პირთა მშვიდობიანი შეკრების უფლება. ასევე აღნიშნულია, რომ მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა განხორციელდა, ხოლო სამართალდამცველებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს „დემონსტრანტების“ უსაფრთხოება.**

„უპრეცედენტო ძალადობა ლგბტ პირების მიმართ“, — ასეა შეფასებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე ზუსტად 8 წლის წინათ განვითარებული მოვლენები. საქართველომ უნდა გადაიხადოს ჯარიმა — 193 500 ევრო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გარკვეული სამართლებრივი სანქციები დაგვემუქროს. ჯარიმა იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს ქვეყანაში გეიაღლუმის ხილვა. ლგბტ პირთა მოთხოვნებისა და უფლებების დაცვა — ეს არის ბრძანება, რომელსაც იძლევა „დემოკრატიული დასავლეთი“ ქართულ დემოკრატიაზე ზრუნვის მოტივით. ბრძანების შემსრულებელი, რა თქმა უნდა, მმართველი გუნდია, მუქარის ადრესატი კი — ქართველი ხალხი. განაჩენში ხალხი მოხსენიებულია აგრესიულ ბრბოდ, რომლის გაკონტროლებაც ვერ შეძლო პოლიციამ. ასევე მოხსენიებულია საპატრიარქო და სასულიერო პირები... გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ არ გამოიყენა საკმარისი რესურსი „ბრბოს“ წინააღმდეგ და თავისი როლი შემოფარგლა მხოლოდ დაშლის გეგმით, რაც თურმე გაეროს კონვენციის მე-11 და მე-14 მუხლების უხეში დარღვევაა. რა დაუჯდება „სათანადოდ არ თუ ვერშესრულებული ვალდებულებები“ საქართველოს და რა სადამსჯელო ღონისძიებებს უნდა ველოდოთ გეიაღლუმის ჩაშლისთვის, ამას კიდევ უფრო ნათლად დრო გვიჩვენებს, თუმცა ერთი რამ ამთავითვე ცხადია: სამყარო, რომელიც მკაცრი, რეპრესიული რიტორიკით გვეუბნება, რომ ჩვენს ეროვნულ იდენტობასთან აბსოლუტურად შეუთავსებელი, ამორალური ცხოვრების წესის მიუღებლობისთვის დავისჯებით, ჩვენი „ისტორიული არჩევანი“ არ არის. სოდომიის მქადაგებელი და ჩვენთვის თავსმომხვევი ევროპა საქართველოსთვის ბუნებრივი სივრცე ვერ იქნება.

**რას ნიშნავს სტრასბურგის გადაწყვეტილება ჩვენთვის და რა პროცესებს გამოიწვევს ეს სამომავლოდ ქვეყანაში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, 16 დეკემბერს სტრატსბურგის სასამართლომ გვითხრა, რომ 2013 წლის 17 მაისს გეიაღლუმის ჩაშლისთვის თითქმის 200 ათასი ევროს ჯარიმა უნდა გადავიხადოთ. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ ლგბტ დემონსტრანტები ვერ დაიცვა „აგრესიული ბრბოსგან“. თქვენი აზრით, რას ნიშნავს საქართველოსთვის ეს გადაწყვეტილება და რა იცვლება ამით რეალურად?**

— პირადად ჩემთვის აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს, **საერთოდ არ მაინტერესებს, ვინ რას ფიქრობს სტარსბურგში და რომელი ლიბერალი მოსამართლისა თუ მოსამართლეთა ჯგუფის თვალში როგორ აღვიქმებით.**

ეს ერთი და მეორე: მოულოდნელი არაფერი ყოფილა. რა თქმა უნდა, ევროსასამართლო მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას, სხვას რას ელოდით?! ვფიქრობ, ძალიან კარგია, როცა ლიბერალური დასავლეთი ასე ღიად, დაუფარავად გამოხატავს თავის პოზიციას და დამოკიდებულებას. კარგია, უწინარესად, საზოგადოებისთვის. ხალხი ამით კიდევ უფრო ნათლად ხედავს, რა ძალებთან გვაქვს რეალურად საქმე და საით მივყავართ იმ კურსს, რომელსაც, სულ ცოტა, 20 წელია, უცხოეთიდან დაფინანსებულმა პოლიტიკურმა და არაპოლიტიკურმა ძალებმა დაარქვეს ისტორიული არჩევანი. ყოველთვის ვამბობ და კიდევ მინდა, ხაზგასმით გავიმეორო, რომ ეს არის ტყუილი. **გეიაღლუმებისა და მამათმავლობის თავსმომხვევი სამყარო ვერ იქნება ჩვენი არჩევანი, ეს ვისი არჩევანიცაა, იმ ხალხს შეუძლია, ადგეს და წავიდეს იქ... საქართველო კი ამას არ მიიღებს...** რაც შეეხება ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, აქ ყველა ვხვდებით, რომ სტრასბურგის მხრიდან ზეწოლის მთავარი სამიზნე, საზოგადოებასთან ერთად, ხელისუფლებაა, თუმცა ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს მარტივი რამ: **იმ ფონზე, როცა ლიბერალური დასავლეთი გაშმაგებით უტევს მას და ეუბნება: დასაჯე საკუთარი ხალხი, დაიჭირე, დაარბიე და დაატერორე, ოღონდ აუცილებლად ჩაატარებინე გეიაღლუმი, ამას შეიძლება მოჰყვეს სოციალური აფეთქება. უფრო სწორად, შეიძლება კი არა, აუცილებლად მოჰყვება და დარწმუნებული იყავით, რომ ის აუცილებლად დამთავრდება მმართველი ძალის პოლიტიკური აღსასრულით...**

**— თქვენი აზრით, რა პოზიციას დაიკავებს ხელისუფლება — გაუძლებს ზეწოლას თუ დასავლეთის საამებლად სადამსჯელო მოქმედებებს დაიწყებს? სხვათა შორის, ბოლო პერიოდში ღარიბაშვილი დამაიმედებელ განცხადებებს აკეთებს. ყოველწლიური ანგარიშის წარდგენაზეც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავს არავის დაუხრის და კანონისა თუ სამართლის აღსრულებისას ნებართვას არავისგან აიღებს...**

— ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ერთია რიტორიკა და მეორე — რეალური პოლიტიკა. თუ ვერ დავინახავთ, რომ ხელისუფლება პრინციპულია და ლიბერალური დასავლეთის ბრძანებებით კი არ მოქმედებს, არამედ მოქმედებს ხალხის ინტერესებით, მაშინ ის დამაიმედებელი რიტორიკა ერთი-ათად მიუბრუნდებათ. ახლა აქვე **მინდა, შევეხო იმ 15 ლგბტ ოპოზიციურ პარტიასაც, რომლებმაც თავის დროზე სიამაყით მოაწერეს ხელი გეიმემორანდუმს: ისმის ასეთი განცხადებები, რომ თურმე სტრასბურგმა უმძიმესი გადაწყვეტილება გამოიტანა და ამით ცა ჩამოგვექცა, სტრასბურგისა და ცისფერი კომისრების შეშფოთება-აღშფოთება თქვენთვისაა მნიშვნელოვანი, ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის და ტრადიციული საზოგადოებისთვის კი აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს.** საერთოდ არ მაინტერესებს, რა წერია იმ თქვენს სათაყვანებელ კონვენციებში და შეთანხმებებში, რომლებსაც თქვენი დასავლელი მბრძანებლები წერენ. წერეთ და იკითხეთ, რამდენიც გინდათ.

> **«მინდა, შევეხო იმ 15 ლგბტ ოპოზიციურ პარტიასაც, რომლებმაც თავის დროზე სიამაყით მოაწერეს ხელი გეიმემორანდუმს: ისმის ასეთი განცხადებები, რომ თურმე სტრასბურგმა უმძიმესი გადაწყვეტილება გამოიტანა და ამით ცა ჩამოგვექცა, სტრასბურგისა და ცისფერი კომისრების შეშფოთება-აღშფოთება თქვენთვისაა მნიშვნელოვანი, ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის და ტრადიციული საზოგადოებისთვის კი აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. საერთოდ არ მაინტერესებს, რა წერია იმ თქვენს სათაყვანებელ კონვენციებსა და შეთანხმებებში, რომლებსაც თქვენი დასავლელი მბრძანებლები წერენ. წერეთ და იკითხეთ, რამდენიც გინდათ»**

**— სხვათა შორის, სტრასბურგის გადაწყვეტილებამ არასამთავრობო ორგანიზაციებშიც გამოიწვია აჟიოტაჟი. ისინი აცხადებდნენ, რომ კარგი იქნება, თუ სტრასბურგი 5-6 ივლისის საქმეზეც ანალოგიურ გადაწყვეტილებას გამოიტანს.**

— კარგი მათთვის რა იქნება და რაზე ოცნებობენ, ჩვენ ვიცით, მაგრამ როგორი დასკვნებიც უნდა დადოს სტრასბურგმა და რა მასშტაბსაც უნდა მიაღწიოს ისტერიკულმა შეშფოთებამ, მათ ოცნებებს აღსრულება არ უწერია. რაც შეეხება ქართველი ხალხის ნებას და სურვილებს, დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით, ჩვენ გვეყოლება ნორმალური ხელისუფლება, რომელიც ოჯახის სიწმინდეს, ეკლესიას, ტრადიციებს პატივს სცემს და ეს ძალა დაამთავრებს აქ გარედან დაფინანსებულ ყველანაირ სიბინძურეს. აი, ეს არის მათთვის ის გარდაუვალი უბედურება, რომლის მოახლოებასაც ხვდებიან და ამიტომაა ამხელა შფოთვა იმავე სტრასბურგიდანაც. სხვათა შორის, **5-6 ივლისის მოვლენები ახსენეთ და აქვე მინდა, ერთ მნიშვნელოვან თემასაც შევეხო: მოგეხსენებათ, 30-ზე მეტი ადამიანია ამ საქმეზე დაკავებული და, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებები, უმეტეს ნაწილში, აბსურდულია, ბიჭებს ციხეში ტოვებენ. ხუთ თქვენზე მეტია, ისინი საპყრობილეში არიან და საბოლოოდ რა განაჩენს გამოუტანენ, კაცმა არ იცის. იციით, რატომ ხდება ეს ყველაფერი? — იმიტომ, რომ ამერიკის საელჩო ითხოვს მათ დასჯას.**

**— ამ საქმეში ამერიკის საელჩოს ჩარევაზე ბევრი ლაპარაკობს. რაში გამოიხატება ეს ყველაფერი?**

— დავიწყოთ იმით, რომ ამერიკის ელჩი **კელი დეგნანი** იყო პირველი, რომელმაც თავის დროზე კატეგორიულად განაცხადა, — დამნაშავეები მკაცრად უნდა დაისაჯონო. მან ეს რამდენიმეჯერ გაიმეორა და დღესაც ამას ამბობს; მეორე — სასამართლო პროცესებს ყოველთვის ესწრება ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი, რომელიც ყველა დეტალს ინიშნავს. ჩნდება შეკითხვა — რა უნდა უცხო ქვეყნის საელჩოს წარმომადგენელს სასამართლო პროცესზე? **ვინ ეკითხება დიპლომატს, უცხო ქვეყანაში ვის როგორ ასამართლებენ, ეს ხომ რაღაც საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე არ არის?!** სხვათა შორის, მახსოვს, თავის დროზე, როცა **ზურა მახარაძე** და მისი თანამებრძოლები დაკითხვაზე დაიბარეს, იქაც მოძრაობდა ამერიკის საელჩოს მანქანა, ანუ მათ დაკითხვასაც ესწრებოდნენ და სრულად აკონტროლებდნენ ამ პროცესს. რაც შეეხება ხელისუფლებას, რომელსაც ბოლო პერიოდში ერთგვარი პოლიტიკური გაორება სჭირს და არ იცის, რა ქნას, თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ ღარიბაშვილის რიტორიკაში არის რაღაც ცვლილებები, სამაგიეროდ, პრეზიდენტი ზედმიწევნით ასრულებს მითითებებს...

**— რას გულისხმობთ?**

— ავიღოთ თუნდაც ეს ე.წ. შერიგება. ეს ხომ თავიდან ბოლომდე ქვეყნის გარედანაა ნაკარნახევი?! უბრალოდ, **ზურაბიშვილს უთხრეს, რომ ახლა უნდა დასხდნენ და შეთანხმდნენ, თანაც ისე, რომ ამ ყველაფერს დაარქვან ხალხის ნება. გახსოვთ, ალბათ, რა თქვა მან მიღებაზე: ჩვენი ერთად დგომა საზოგადოებაში პოზიტივად იქნება აღქმულიო. რა თქმა უნდა, იცის, რომ არანაირ პოზიტივზე აქ არ შეიძლება საუბარი, მაგრამ რა ქნას...**

რაც შეეხება ევროპასა და მის „ღირებულებებს“, რომლებსაც ისტორიულ არჩევანად გვიცხადებენ, ევროპარლამენტი ცდილობს, კონტინენტზე აკრძალოს შობის დღესასწაულის აღნიშვნა, ოღონდ პანდემიის გამო კი არა, იმის გამო, რომ თურმე ეს დისკრიმინაციაა ევროკავშირის სივრცეში მცხოვრები სხვა რელიგიის წარმომადგენლების. წარმოიდგინეთ, ევროპაში სიტყვა „შობა“ არ უნდა თქვა, უბრალოდ, უნდა თქვა „დღესასწაული“, ასევე, საუბრისას არ უნდა გამოიყენოთ ცნება „ქრისტეშობა“ და ა.შ. აი, ეს არის მათი ე.წ. ინკლუზიური მიდგომა, რომელსაც დემოკრატიის სახელით გვახვევენ თავს, თუმცა, რაც უფრო შორს წავლენ ამ უზნეობაში, ამ არაადამიანობასა და ამორალურობაში, მით უფრო დაჩქარდება მათი იდეოლოგიური აღსასრული; მით უფრო გამწვავდება პროტესტი მოსახლეობაში და მიიღებენ კიდეც ძლიერ, შეუქცევად წინააღმდეგობას, რომელიც საბოლოოდ დასრულდება ჯანსაღი, ეროვნული ძალების გამარჯვებით.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ისტორიული სამართლიანობის სასწრაფოდ აღდგენა, იმ დროების მოვლენათა ობიექტური შეფასება ჩვენთვისაა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ეპოქის არქიტექტორისა და შემოქმედისთვის, რომელიც 21 დეკემბერს მოევლინა ქვეყანას. ჩვენი მდუმარების ფონზე ცილისწამებაში გახვიეს და ტალახში ამოსვარეს ჩვენი ხალხების ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელი, თავზე დაგვანგრიეს ჩვენი საერთო სახლი და გაძარცვეს ჩვენი უზარმაზარი ქვეყანა!**

ეპოქის არქიტექტორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადამიანი, რომელიც დაიბადა 21 დეკემბერს

**რუსეთსა და საქართველოში ბევრმა იცის, რომ ამ დღეს დაიბადა ადამიანი, რომელმაც ახალი ეპოქა, ან სულაც ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ცხოვრებაში. ისტორიას ჯერ კიდევ გამოსატანი აქვს თავისი მართებული, პირუთვნელი ვერდიქტი, თუ როგორი იყო ეს ეპოქა, მაგრამ ამ ადამიანის უდიდესი მასშტაბი არავითარ ეჭვს არ იწვევს. ბევრმა ისიც იცის, რომ კითხვაზე, თუ რა ეროვნებისაა, ამ ადამიანმა უპასუხა, რომ ისაა ქართველი, რომელიც მიიღო და აღზარდა დიადმა რუსმა ხალხმა. დაე, იდავონ, პიროვნების ჩამოყალიბებაში გენეტიკაა მთავარი თუ აღზრდა, მაგრამ ვთვლი, რომ ადამიანი, რომელიც დაიბადა 21 დეკემბერს, თანაბრად გვეკუთვნის ორივე მართლმადიდებელ ხალხს.**

სამწუხაროდ, ჩვენს დროებაში სალი აზრის საწინააღმდეგოდ სადავოდ გამხდარა თვით ისეთი ფაქტებიც, რომლებიც არსებობს, ასე ვთქვათ, „სუფთა“ სახით. მიუხედავად ამისა, მე გამოვთქვამ ჩემს აზრს და დავეყრდნობი სწორედ ამ „სუფთა“ ფაქტებს. მაშ ასე: **ადამიანმა, რომელიც დაიბადა 21 დეკემბერს, ჩაიბარა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, რომელშიც მთავარი სამუშაო იარაღი იყო ცხენშებმული ხისგან გამოთლილი გუთანი, ხოლო თავის შემდეგ დაგვიტოვა დიადი ინდუსტრიული ქვეყანა, რომლის ხელშეუხებლობას ატომური იარაღი ედგა სადარაჯოზე. სსრკ-ის ეკონომიკა 1929 – 1955 წლებში გაიზარდა 14-ჯერ და გახდა პირველი ევროპაში და მეორე — მსოფლიოში, მიუხედავად გამაჩანაგებელი ომისა. ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 13,8%-ს, საბჭოთა მოქალაქის სიცოცხლის ხანგრძლივობამ მოიმატა 26 წლით, მოსახლეობა გაიზარდა 46 მილიონით (მიუხედავად ომში დაკარგული 26 მილიონი ადამიანისა), რეალური ხელფასი გაიზარდა 4-ჯერ, ხოლო შემნახველ სალაროებში მეანაბრეთა ფულმა მოიმატა 5-ჯერ. ამ ყველაფერს მან მიაღწია უცხოური ინტერვენციებით და სამოქალაქო ომით დაქცეულ ქვეყანაში, რომელიც, ამასთანავე, მუდმივად საგარეო იზოლაციაში იყო უცხოელ „კეთილისმსურველთა“ მეცადინეობით, ხოლო შიგნით მრავლად ჰყავდა არცთუ მშვიდობიანად განწყობილი ოპონენტები. აი, ასეთ რთულ ფონზე მან შეძლო, გარღვევა მოეხდინა არა მარტო ეკონომიკაში, მეცნიერებაში, განათლებაში და ა.შ., არამედ მოიგო მსოფლიო ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომი.**

ნაცვლად იმისა, რომ გავფრთხილებოდით 21 დეკემბერს დაბადებული ამ ადამიანის მიღწევებსა და მემკვიდრეობას, აგერ უკვე 70 წელია, მიმდინარეობს ჩვენი დიადი ქვეყნის ისტორიის იმ რთული, მაგრამ დიადი ეპოქის გამალებული გაბიაბრუება. ამ გაუთავებელი ძირგამომთხრელი კამპანიის ყველა „გმირს“ რა ჩამოთვლის, მაგრამ კარგად ვიცით მათი „რკინისებური“ არგუმენტები: რეპრესიები, „მთელი გამორჩეული ინტელიგენციის“, ყველა „ნიჭიერი“ სამხედრო მეთაურის“ დახვრეტა, სახელმწიფო ხიშტებზე იდგა, მეფობდა შიში, დიქტატურა და გულაგი... და ა.შ.

სამწუხაროდ, ამ გაუკულმართებული არგუმენტების ბევრს სჯერა. ასეთებს რამდენიმე მარტივ კითხვას დავუსვამდი:

**— თუკი ინტელიგენციას ანადგურებდა, ვინ შექმნა 30-იან წლებში ფუნდამენტურ მეცნიერებათა საბჭოთა სკოლა, რომელიც მოწინავე გახდა მსოფლიოში?**

**— თუკი სამხედრო მეთაურებს ანადგურებდა, ვინ მეთაურობდა შენაერთებისა და ფრონტების სხვასხვა რგოლს დიდი სამამულო ომის დროს?**

**— როგორ მივაღწიეთ 1930-დან 1940 წლამდე ეკონომიკის 300%-იან ზრდას? როგორ მოხდა, რომ 1940 წლისთვის, როცა „ყველა უკვე დახვრეტილი იყო“, სსრკ მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში ყველა პროდუქტის თუ საქონლის წარმოებაში?**

**— როგორ გახდა შესაძლებელი, რომ უზარმაზარ ქვეყანაში კორუფცია აღმოიფხვრა ისე, რომ თვით ეს ცნება მიეცა დავიწყებას?**

**— ეს როგორ მოხდა, რომ კლავდა, ხვრეტდა, ყველას რეპრესიებს უწყობდა და ამ დროს ადამიანმა, რომელიც 21 დეკემბერს დაიბადა, აკრძალა თვითნებური აბორტები ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვების გადასარჩენად და ერის გასამრავლებლად?**

**— რა ძალამ აიძულა მთელი საბჭოთა ხალხი, ცხარე ცრემლით ეტირა, როცა ამ ქვეყნიდან აცილებდა იმ ეპოქის არქიტექტორსა და შემოქმედს?**

ამ კითხვებზე პასუხების ძიება ცხადყოფს, რომ შიშით, პატიმრობით, დახვრეტებითა და წამებებით ასეთი შედეგების მიღწევა შეუძლებელია. თავისუფლება, თანასწორობა, ექსპლუატაციისგან თავისუფალი შრომა, კანონისა და სამართლის უზენაესობა, ხალხთა მეგობრობა, ხვალინდელი დღის რწმენა და ქვეყნის მმართველის ცხოვრების წესის პირადი მაგალითი — აი არგუმენტები, რომელთა გამო სჩადიოდა საბჭოთა ხალხი შრომით და საბრძოლო გმირობებს.




**ისტორიული სამართლიანობის სასწრაფოდ აღდგენა, იმ დროების მოვლენათა ობიექტური შეფასება ჩვენთვისაა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ეპოქის არქიტექტორისა და შემოქმედისთვის, რომელიც 21 დეკემბერს მოევლინა ქვეყანას. ჩვენი მდუმარების ფონზე ცილისწამებაში გახვიეს და ტალახში ამოსვარეს ჩვენი ხალხების ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელი, თავზე დაგვანგრიეს ჩვენი საერთო სახლი და გაძარცვეს ჩვენი უზარმაზარი ქვეყანა!**

სსრკ-ის დანგრევა ერთმნიშვნელოვნად მსოფლიო კატასტროფაა, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. ამ კატასტროფის შედეგები კიდევ მრავალ ათწლეულს შეგვახსენებს თავს. საბჭოთა კავშირის არარსებობის პირობებში პლანეტაზე ღრმავდება გაურკვევლობა, ნამდვილ ღირებულებებს აუკულმართებენ, დგება შეშლილობისდარი შფოთიანი ხანა, კაცობრიობა სულ უფრო კარგავს ადამიანურ სახეს და უკან-უკან მიექანება. ცისარტყელისფერი დროშით გვიტევს ნეოლიბერალური ჭირი — ყავისფერ ჭირზე უარესი მტერი. ხსნის ერთადერთ იმედად, როგორც არაერთხელ ყოფილა ადრე, ისევ დიადი რუსი ხალხი გვესახება მხოლოდ.

დიახ, დიადი რუსი ხალხი! 70 წელია, აღარ გამიგია, რუსები ვინმეს ასე მოეხსენიებინოს. ის, ვინც 21 დეკემბერს დაიბადა, არავის არ ეპირფერებოდა, სიტყვებს ჰაერზე არ ისროდა და თავის შეფასებებში არ ცდებოდა.

იმ განასაცდელების დასაძლევად, რომლებსაც ჩვენი ქვეყნების და ხალხების „კეთილისმსურველნი“ კიდევ გვიმზადებენ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, შევისწავლოთ და ობიექტურად შევაფასოთ ის ეპოქა, რომელიც ფოლადის ადამიანის გენიამ გვიბოძა.

**ტარიელ სუხიაშვილი**

**P.S. ავტორმა წინამდებარე წერილი ორიგინალში დაწერა რუსულად, რომელიც დიდი მოწონებით გავრცელდა რუსულენოვან ინტერნეტ-სივრცეში.**

**სსრკ-ის დანგრევა ერთმნიშვნელოვნად მსოფლიო კატასტროფაა, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. ამ კატასტროფის შედეგები კიდევ მრავალ ათწლეულს შეგვახსენებს თავს. საბჭოთა კავშირის არარსებობის პირობებში პლანეტაზე ღრმავდება გაურკვევლობა, ნამდვილ ღირებულებებს აუკულმართებენ, დგება შეშლილობისდარი შფოთიანი ხანა, კაცობრიობა სულ უფრო კარგავს ადამიანურ სახეს და უკან-უკან მიექანება. ცისარტყელისფერი დროშით გვიტევს ნეოლიბერალური ჭირი — ყავისფერ ჭირზე უარესი მტერი. ხსნის ერთადერთ იმედად, როგორც არაერთხელ ყოფილა ადრე, ისევ დიადი რუსი ხალხი გვესახება მხოლოდ**



**იმ განასაცდელების დასაძლევად, რომლებსაც ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების «კეთილისმსურველნი» კიდევ გვიმზადებენ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, შევისწავლოთ და ობიექტურად შევაფასოთ ის ეპოქა, რომელიც ფოლადის ადამიანის გენიამ გვიბოძა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1949 წელს სტალინის დაბადების დღისთვის საბჭოთა ატომური ბომბი უკვე შექმნილი იყო და მან იმედის თვალით შეხედა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას. ძლევამოსილმა წითელმა არმიამ კი აქტიურად დაიწყო შავი ზღვის ნაპირებზე სამხედრო წრთვნები. აღარავის ახსოვდა ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენის მუქარა 1945-1946 წლებში საბჭოეთის 20 დიდი ქალაქის ატომური იარაღით დაბომბვის თაობაზე, პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებში — ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში პრესტიჟული უბნებიდან მილიონობით დოლარს იხდიდნენ საბჭოთა საელჩოს მიმდებარე ტერიტორიებზე აშენებულ საცხოვრებელ ბინებში, რადგან ფიქრობდნენ, რომ სტალინი საბჭოთა საელჩოს ატომურ ბომბებს არ დაუშენდა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №45, 2021 წ.

# გუნცაძის ნაცემმა პიგმეიმ გიგანტს ლანძღვა შეჰბედა

## პასუხად გიორგი კანდელაკს

**მივმართავ არა მხოლოდ გიორგი კანდელაკს, არა მხოლოდ იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც არაფერი იციან წინაპრების საქმიანობის შესახებ, არა მხოლოდ იმ თვალდავსებულ ადამიანებს, რომლებიც მაშინაც და ახლაც მრუდე სარკეში უყურებენ საქართველოს ისტორიას, არამედ მათაც, ვინც, 30 წელია, ხელისუფლების სათავეშია:**

ზემო ქედის კოლმეურნეობა (ხელმძღვანელი არსენ კობაიძე), არხილოსკალო, ქვემო ქედი, ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობა (ნიკო ყოჩიაშვილი), ფიროსმანის სახელობის კოლმეურნეობა (ფიროსმანი), არბოშიკი, მახარაძის რაიონის სოფელი შრომა (მიხაკო ორაგველიძე), ნატანების (გივი წითლიძე) მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობა (მუხაშავრია) და უამრავი სხვა ასეთი კოლმეურნეობა ნასოფლარებად არის ქცეული და არავითარი დოვლათის კვალი სოფლებში არ ჩანს, მაშინ, როდესაც მხოლოდ მახარაძის რაიონის (ახლა ოზურგეთი) სოფელ შრომის კომეურნეობაში 27 სოციალისტური შრომის გმირი ეწეოდა გმირულ შრომას სოციალისტური საქართველოს ძლიერებისა და ქვეყნის სახელის გასატანად საზღვრებს გარეთ. საქართველოს ათეულობით კოლმეურნეობაში ერთი შრომადღის ღირებულება იმხანად 75 მანეთს აღწევდა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი სახის შრომის ანაზღაურება დღიურად ორი შრომადღით განისაზღვრებოდა (მწყემსი, მწველავი, ტრაქტორისტი, მჭედელი და სხვა) გამოდის, რომ ერთი კაცის შრომის ანაზღაურება დღეში 150 მანეთად ფასდებოდა, რომლის მყიდველუნარიანობა შემდეგი ციფრებით აღინიშნებოდა: ფქვილი (საშუალო ხარისხის) 70 კგ-იანი ტომარა 18 მანეთი ღირდა და 150 მანეთით ადამიანს დაახლოებით 8 ტომარა პურის ყიდვა შეეძლო, შაქარი 1კგ 56 კაპიკი ღირდა და დაახლოებით 267 კგ-ს იყიდდა, 93%-იან ბენზინს 1500 ლიტრს იყიდდა და ა. შ. დღეს ამ კოლმეურნეობათა ტერიტორიებზე უმსხვილესი ფაბრიკა-ქარხნების (საკონსერვო და ჩაის) კვალსაც ვერ იპოვით...

ქობულეთის რაიონის ჩაის მკრეფავი ქალის შრომა გაცილებით აღემატებოდა თურქეთის ვილაიათების ხელმძღვანელთა ფულად შემოსავლებს. საქართველო 20 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა, შემდეგ კი საექსპორტოდ გაჰქონდა 700 მილიონზე მეტი საქონელი, ხოლო ცეკავშირმა „ცენტროსაიუზის" მეშვეობით ერთ-ერთ გამოფენაზე 86 მილიონი მანეთის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაგზავნა. მახარაძის რაიონის ანასეულის სუბტროპიკულ მცენარეთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით წარმოადგენდა ევროპის ერთ-ერთ საუკეთსო კვლევით ცენტრს, სადაც ახალ-ახალ აღმოჩენებს უყრიდნენ საფუძველს არა მხოლოდ ქართველი მეცნიერები, არამედ ევროპის სახელგანთქმული საუნივერსიტეტო ჯგუფები და ცალკეული სპეციალისტები. დღეს ანასეული არათუ მსოფლიოს, ადგილობრივ ახალგაზრდობასაც აღარ ახსოვს. 90%-ით მექანიზებულ თვალუწვდენელ ჩაის პლანტაციებს დღეს ეკალ-ბარდები აქვს მოდებული და ქართველი ქალები დღეს თურქეთის მთების კენწეროებზე გაშენებულ მეჩხერი ჩაის ბუჩქებს ნამგლით ჩეხავენ და მონური შრომით ჩაის ფოთლები თივის სათრეველებით ვაკეზე ჩამოაქვთ, რათა შემდეგ სატვირთო მანქანებზე ატვირთონ და ქარხნებში ჩააბარონ. ეს მაშინ, როდესაც ნახევარი საუაკუნის წინათ ჩაის მკრეფავ მანქანას გვერდით სპეცტრაქტორი მიჰყვებდა საზიდარით და პირველი ხარისხის ჩაის დუყებს ქარხანაში იმ დღესვე აბარებდა. ჩაის საკრეფი მანქანის გამოგონება კოსმოსში ადამიანის გაგზავნის ტოლფასი იყო.



**არასოდეს გამჩენია სურვილი, სტალინი ქართველი ერის ინტერესებით დატვირთულ სახელმწიფო მოღვაწედ წარმომეჩინა, მაგრამ ზოგიერთმა არამზადამ «კედელთან მიმაყენა» კითხვით — «რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?» და მეც იძულებული ვარ, განვმარტო, რომ სტალინი მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და ადამიანთა მხსნელის მისიით კი არ იყო მოვლენილი ამქვეყნად, არამედ «ჩათლახობითა» და «გოთვერნობით» სახელგანთქმული ზოგიერთი ქართველის გასაკეთილშობილებლად და მათზე ყალბი დიდების ისტორიის შესაქმნელად — ეს, რა თქმა უნდა, სარკაზმით**

**არასოდეს გამჩენია სურვილი, სტალინი ქართველი ერის ინტერესებით დატვირთულ სახელმწიფო მოღვაწედ წარმომეჩინა, მაგრამ ზოგიერთმა არამზადამ „კედელთან მიმაყენა" კითხვით — „რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?" და მეც იძულებული ვარ, განვმარტო, რომ სტალინი მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და ადამიანთა მხსნელის მისიით კი არ იყო მოვლენილი ამქვეყნად, არამედ „ჩათლახობითა" და „გოთვერნობით" სახელგანთქმული ზოგიერთი ქართველის გასაკეთილშობილებლად და მათზე ყალბი დიდების ისტორიის შესაქმნელად — ეს, რა თქმა უნდა, სარკაზმით.**

მას შემდეგ, რაც ზაჰესმა გაანათა საქართველო და ფართო გზა გაუხსნა თბილისის ინდუსტრიულ განვითარებას, მას მოჰყვა რიონჰესი, ხოლო რიონის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებას — ქუთაისის, როგორც მეორე ინდუსტრიული ქალაქის, გაჩენა საქართველოში. მიზეზთა გამო სწრაფი ტემპით დაიწყო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც სარეკორდო დროში დასრულდა. **ყოველგვარი რეკლამის, ინვესტორის ძებნისა და დროშების გადმოკიდების გარეშე დაიწყო საუკუნის მშენებლობა — ბაქო სანავთობო მაგისტრალით დაუკავშირდა ბათუმს, სადაც აშენდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ამიერკავკასიის რკინიგზა პირველი იყო საბჭოთა კავშირში ელექტროწევის მხრივ. ეს როგორ, ენერგეტიკის სფეროში ყველაზე ჩამორჩენილ რესპუბლიკას როგორ უნდა ჰქონოდა პრეტენზია, ყოფილიყო ენერგიით ყველაზე კარგად უზრუნველყოფილი?..** ენერგეტიკის განვითარებამ საშუალება მისცა საქართველოს, ფართოდ გაეშალა ბარიტის, მაგნეტიტის ქვიშის, გუმბრინისა და არამადნეული წიაღისეულის მომპოვებელ-გადამამუშავებელი მრეწველობა. მძლავრი ტემპით განვითარდა ჩარხმშენებლობა და მანქანათმშენებლობა.

მკითხველო, დღეს მე გიყვებით არა ანეკდოტებსა და სტალინისადმი მიძღვნილ დითირამბებს, არამედ გელაპარაკებით საქმეებზე, რომლებიც სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გაკეთდა რესპუბლიკაში. მეორე ხუთწლედში ჩარხმშენებლობის დარგს შეემატა **კიროვის ჩარხმშენებელი** ქარხანა, შეიქმნა საჩამომსხმელო ქარხანა **„ცენტროლიტი"**, ქუთაისის **სამთოსაშახტო მოწყობილობათა ქარხანა;** 1929 წელს ამუშავდა თბილისის **მაუდის ფაბრიკა,** მომდევნო წელს **გაიშალა ტყავ-ფეხსაცმლის, აბრეშუმის მრეწველობის, სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა.** მშენებლობა გაჩაღდა რაიონებშიც: აშენდა ხის დამამუშავებელი საწარმოები, ამუშავდა **თბილისის ფირფიცრის ქარხანა, ასეთივე ქარხანა აშენდა ბათუმში,** სახელი გაითქვა **მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკამ, ცხინვალის ხეტყის კომბინატმა, ახმეტის ხეტყის ქარხანამ, ზუგდიდში შექმნილმა გიგანტურმა ქაღალდ-ცელულოზის კომბინატმა** და სხვ. ყველა ეს საწარმო გეგმის მიხედვით აშენდა და ქაოსურად არ მიმდინარეობდა საქართველოს ტყეების განადგურება. ხეტყეზე მომუშავე ყველა ქარხანა თუ საწარმო რუსეთიდან შემოზიდული მასალით მუშაობდა.

დღეს კი ქვეყანაში არც ერთი ქარხანა არ მოქმედებს, ტყეები ნადგურდება და ნედლეული საზღვარგარეთ გადის.

1923 წელს საქართველოში ჩატარდა სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების აღწერა და გაირკვა, რომ საქართველოში იყო:

1. ხის გუთანი — 7406 ცალი;
2. ხის კავი — 162 947 ცალი;
3. რკინის გუთანი — 17 785 ცალი;
4. ხის ფარცხი — 54752 ცალი;
5. რკინის ფარცხი — 3002 ცალი.

*** 1923 წელს საქართველოში იყო 338 480 მეურნე (გლეხის ) ოჯახი, მათგან სახნავი იარაღი არ ჰქონდა 210 092-ს, სატრანსპორტო ინვენტარს არ ფლობდა (ურემი, მარხილი, ორთვალა და სხვ.) 235 674 ოჯახი. 1940 წელს, ე.ი. 17 წლის შემდეგ საქართველოში იყო 2 448 ტრაქტორი. დიდი სამამულო ომიდან 7 წელიწადში, 1952 წელს, ტრაქტორების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა და 6 144 ცალს მიაღწია.**

* ბუნების გარდაქმნის დიადმა სტალინურმა გეგმამ, რომელიც 1948 წელს შემუშავდა და 1953 წლამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, ხორციელდებოდა, გრანდიოზულ შედეგები გამოიღო. სტალინს ამ გეგმის ნაწილი უკვე განხორციელებული ჰქონდა 1921 წლიდან და შედეგებზეც ასე თავისუფლად იმიტომ საუბრობდა. სტალინს საქართველოში უკვე აშენებული ჰქონდა კულაშ-ღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის სარწყავი სისტემები, რომლებმაც გააცოცხლა 330 000 ჰა მიწის ფართობი; ამას ემატებოდა 105 000 ამომშრალი დაჭაობებული მიწის ფართობი. ნარინჯების ქვეყნად იქცა 220 000 ჰა კოლხეთის დაჭაობებული მიწისთვის მოტაცებული 60 000 ჰა, რომელზეც სრულიად ახალი სიცოცხლე გაჩნდა. მიუხედავად ასეთი გიგანტური შრომითი ნაბიჯებისა, რომლებსაც საქართველო დგამდა 1921-დან 1940 წლამდე, 1940 წელს სტალინმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელ პირველ მდივან **კანდიდ ჩარკვიანს** უთხრა:

„საქართველოს მრეწველობა ძალიან ნელა ვითარდება, თქვენ კი ამ საკითხს საკავშირო ორგანოების წინაშე არ აყენებთ. ივიწყებთ, რომ, სანამ ბავშვი არ იტირებს, დედა მას ყურადღებას არ მიაქცევს. თუ ეს თავმდაბლობით მოგდით, ძალიან ცდებით. თქვენ შეგიძლიათ და კიდეც უნდა იყოთ თავმდაბალი პირად ცხოვრებაში. ამ საქებარი თვისებით რესპუბლიკის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ანგარიშზე თავმოწონება კი დანაშაულს უდრის. ჩვენ აქ ამხანაგებთან ვიმსჯელეთ და საჭიროდ ვცანით, საქართველოში ამ ხუთწლედში დამატებით შევუდგეთ სამი დიდი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის, საავიაციო ძრავებისა და თვითმფრინავების ქარხნების — მშენებლობას. მოიფიქრეთ ამ ქარხნების მშენებლობის საკითხები, შეიმუშავეთ სათანადო წინადადებები და ჩამოდით მოსკოვში სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად".

**დიდი სამამულო ომის შემდგომი 8 წელიწადი, 1945-1953 წლები, საქართველოში, ისევე, როგორც ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკაში, სოციალისტური მრეწველობის მძლავრი აღმავლობის პერიოდი იყო. რესპუბლიკის მოსახლეობის თავდადებული შრომით ამ პერიოდში აშენდა და მწყობრში ჩადგა სოციალისტური მრეწველობისა და ენერგეტიკის 300-მდე ობიექტი, მათ შორის, რესპუბლიკის მშრომელთა სიამაყე — ი.ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, აგრეთვე, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში, ელმავალმშენებელი ქარხანა თბილისში, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ბამბეულის მძლავრი კომბინატი და ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა გორში, გამამდიდრებელი ფაბრიკები ჭიათურასა და ტყიბულში, ქვანახშირის, მარგანეცის, ტყვიათუთიისა და ბარიტის ახალი შახტები და მაღაროები ტყიბულში, ტყვარჩელში, გელათში, ახალციხეში, ჭიათურაში, ქვაისაში, ირში და სხვ., ქარხანა „ელექტროავტომატი", „ელექტრო-**

▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც ზაჰესმა გაანათა საქართველო და ფართო გზა გაუხსნა თბილისის ინდუსტრიულ განვითარებას, მას მოჰყვა რიონჰესი, ხოლო რიონის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებას — ქუთაისის, როგორც მეორე ინდუსტრიული ქალაქის, გაჩენა საქართველოში. მიზეზთა გამო სწრაფი ტემპით დაიწყო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც სარეკორდო დროში დასრულდა. ყოველგვარი რეკლამის, ინვესტორის ძებნისა და დროშების გადმოკიდების გარეშე დაიწყო საუკუნის მშენებლობა — ბაქო სანავთობო მაგისტრალით დაუკავშირდა ბათუმს, სადაც აშენდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ამიერკავკასიის რკინიგზა პირველი იყო საბჭოთა კავშირში ელექტროწევის მხრივ.**

**ბუნების გარდაქმნის დიადმა სტალინურმა გეგმამ, რომელიც 1948 წელს შემუშავდა და 1953 წლამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, ხორციელდებოდა, გრანდიოზული შედეგები გამოიღო. სტალინს ამ გეგმის ნაწილი უკვე განხორციელებული ჰქონდა 1921 წლიდან და შედეგებზეც ასე თავისუფლად იმიტომ საუბრობდა. სტალინს საქართველოში უკვე აშენებული ჰქონდა კულაშ-ღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის სარწყავი სისტემები, რომლებმაც გააცოცხლა 330 000 ჰა მიწის ფართობი; ამას ემატებოდა 105 000 ამოშრალი დაჭაობებული მიწის ფართობი. ნარინჯების ქვეყნად იქცა 220 000 ჰა კოლხეთის დაჭაობებული მიწისთვის მოტაცებული 60 000 ჰა, რომელზეც სრულიად ახალი სიცოცხლე გაჩნდა**



◀ **გამშვები", „მიკროძრავა" და „გაზაპარატი", ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, ლითონის სახეხი დაზგებისა და ტექნიკური ქვის ქარხნები თბილისში, გემთმშენებელი, ჩაის მრეწველობის, მანქანათმშენებელი და ელექტრომექანიკური — ბათუმში, მიწასაწოვი მანქანებისა და ექსკავატორების ქარხანა — ფოთში, ქარხანა „ემალსადენი" და ელექტროვიბრომანქანების ქარხანა სტალინირში (ცხინვალი), საშახტო მოწყობილობისა და ელექტრომექანიკური ქარხნები — ქუთაისში, კაბელების ქარხანა — ზესტაფონში, ხრამის, სოხუმის, ჭითახევის, ტყიბულის, შაორის, გუმათის, ლაჯანურის მძლავრი ჰიდროელსადგურები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთების, ტუნგოს ზეთსახდელი, ყველისა და რძის ქარხნები და სხვ.**

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კი 1946 წლის 22 თებერვალს აშშ-ის სრულუფლებიანმა ელჩმა საბჭოთა კავშირში, **ჯორჯ კენანმა,** თავის ცნობილ „გრძელ დეპეშაში" მოუწოდა ამერიკის მთავრობას, გაეწია წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირის მზარდი ექსპანსიისთვის და განეხილა იგი არა როგორც მოკავშირედ, არამედ, როგორც მოწინააღმდეგედ, ხოლო ჩერჩილმა თავის ცნობილ ფულტონის სიტყვაში 1946 წლის 5 მარტს პირდაპირ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთს „სურს, ბოლომდე გამოიყენოს გამარჯვება და ძალით გაავრცელოს თავისი თეორიები".

* 1946 წლის მარტში აშშ-ის ელჩმა თურქეთში — **ვილსონმა** მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული კრიზისის მიზეზების განმარტებისას აღნიშნა: „საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილ უსაფრთხოების ზონაში ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე თურქეთი ქმნის დიდ სიცარიელეს, რადგან აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკა და დახმარებისა და განმარტებისთვის მიმართავს დასავლეთის სახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირს არ სურს ამაზე თვალის დახუჭვა, ამიტომაც დაისახა მიზანი — დაიშალოს დღევანდელი დამოუკიდებელი თურქული მთავრობა და შეიქმნას ვასალური ან „მეგობრული" მთავრობა, რითაც დამთავრდება დამოუკიდებელ ქვეყანათა ჯაჭვი სსრკ-ის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან, აგრეთვე, დამთავრდება დასავლეთის გავლენა თურქეთზე".

* 1946 წლის ივლისში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოამზადა საიდუმლო მოხსენება: „სსრკ-ის საგარეო და სამხედრო პოლიტიკა", სადაც გამოტანილია დასკვნა, რომ შუა აღმოსავლეთის რეგიონი საბჭოთა კავშირისთვის უფრო მნიშვნელოვანია საზღვრების გაფართოების თვალსაზრისით, ვიდრე აღმოსავლეთი ევროპა, რადგან აქ არის მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბაქოს ნავთობი — საჰაერო თავდასხმის ობიექტი პოტენციურ ომში".

*** 1946 წლის აგვისტოში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დ. აჩესონი თავის ერთ-ერთ დეპეშაში აფრთხილებდა მთავრობას, რომ, „თუ საბჭოთა კავშირი დაუწესებს კონტროლს თურქეთს, მაშინ ძნელი იქნება საბერძნეთის, მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთის გადარჩენა მისი გავლენისგან. გამოცდილებით ვიცით, რომ, თუ საბჭოთა კავშირი აიღებს ზედამხედველობას რომელიმე ტერიტორიაზე, იქ მაშინვე გაქრება ამერიკისა და, საერთოდ, დასავლეთის გავლენა. ამერიკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, გააუვნებელყოს თურქეთისა და დარდანელის მიმართულებით ყოველგვარი მუქარა და შანტაჟი საბჭოთა კავშირის მხრიდან".**

* 1946 წლის ოქტომბერში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის სამმართველოს უფროსი, **ჰენდერსონი,** თავის საიდუმლო მემორანდუმში, აგრეთვე, მიუთითებდა, რომ საბჭოთა კავშირი დაამყარებდა პოლიტიკურ კონტროლს თურქეთზე. ამას ექნებოდა ძალიან მძიმე შედეგები ამერიკისთვის ხმელთაშუა ზღვაზე, ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონებში, ამიტომაც აუცილებლად მიაჩნდა თურქეთისთვის დახმარების გაწევა დიპლომატიური, მორალური, ეკონომიკური და სამხედრო მიმართულებით. თურქეთის მთავრობამ უფრო ენერგიულად დაიწყო დახმარების ძებნა დასავლეთში, რამაც განაპირობა კიდეც თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორის ევოლუცია და მნიშვნელოვნად დააჩქარა მისი მოძრაობა ნატოსკენ. 1951 წლის მაისში აშშ-მა ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფლანგის გამაგრებისა და ახლო და შუა აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების გაძლიერების მიზნით, თანხმობა განაცხადა ნატოში თურქეთის მიღებაზე, რაც განხორციელდა კიდეც

**მსოფლიომ იცოდა, რომ, თუ სტალინის ნიჭსა და აზროვნების სისხარტეს ზემძლავრი იარაღის ძალაც დაემატებოდა, სტალინს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა. კაპიტალისტური მსოფლიო ერთი კაცის წინააღმდეგ აღდგა, სადაც ჩართული აღმოჩნდა უძლეველი საბჭოეთის ხელისუფლების ზოგიერთი ნაძირალა კომუნისტი, რომელთა ხელშეწყობითაც კიდევ ერთხელ გაახანგრძლივეს თავიანთი ბინძური საქმიანობა და ხალხის მასების აბუჩად აგდება. სტალინის საუკუნო განსასვენებელში წასვლა მსოფლიო ხალხების სისხლის მწოველთა ხელშეწყობითა და მონდომებით დაჩქარდა**

1952 წელს. 1945-1946 წლებში სტალინის მიერ ძალის გამოუყენებლობა ზემოაღნიშნული ტერიტორიების დასაბრუნებლად განპირობებული იყო იმით, რომ მსოფლიოსთვის მეორედ აეცილებინა კატასტროფა, რომელიც უფრო დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი.

*** 1949 წელს სტალინის დაბადების დღისთვის საბჭოთა ატომური ბომბი უკვე შექმნილი იყო და მან იმედის თვალით შეხედა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას. ძლევამოსილმა წითელმა არმიამ კი აქტიურად დაიწყო შავი ზღვის ნაპირებზე სამხედრო წრთვნები. აღარავის ახსოვდა ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენის მუქარა 1945-1946 წლებში საბჭოეთის 20 დიდი ქალაქის ატომური იარაღით დაბომბვის თაობაზე, პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებში — ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში პრესტიჟული უბნებიდან მილიონობით დოლარს იხდიდნენ საბჭოთა საელჩოს მიმდებარე ტერიტორიებზე აშენებულ საცხოვრებელ ბინებში, რადგან ფიქრობდნენ, რომ სტალინი საბჭოთა საელჩოს ატომურ ბომბებს არ დაუშენდა.**

* მოსკოვში სათანადო კონსულტაციებსა და მითითებებს იღებდა ცნობილი თურქი პოეტი და კომუნისტი **ნაზიმ ჰიქმეთი.** მას უნდა ეხელმძღვანელა ქვეყნის იმ ნაწილისთვის, რომელიც თურქეთს მალე ჩამოეჭრებოდა და საქართველოს იურისდიქციაში გადმოვიდოდა. საქართველოს ისტორიულად კუთვნილი მიწა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის მიზნით მიუერთდებოდა საქართველოს, დაყოფილი იყო ხუთ ადმინისტრაციულ რაიონად. თითოეულ რაიონში დანიშნული იყვნენ რაიკომის პირველი მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები, მილიციის უფროსები, პროკურორები და მოსამართლეები. ნატოში თურქეთის შესვლამ კიდევ უფრო გაამძაფრა და დააჩქარა სტალინში შურისძიების აღსრულება. სასწრაფოდ დაიწყო კონფლიქტისპირა ტერიტორიების გაწმენდა არაქართველი მოსახლეობისა და საბჭოთა წყობილებაზე განაწყენებული ადამიანებისგან.

* მსოფლიომ იცოდა, რომ, თუ სტალინის ნიჭსა და აზროვნების სისხარტეს ზემძლავრი იარაღის ძალაც დაემატებოდა, სტალინს უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა. კაპიტალისტური მსოფლიო ერთი კაცის წინააღმდეგ აღდგა, სადაც ჩართული აღმოჩნდა უძლეველი საბჭოეთის ხელისუფლების ზოგიერთი ნაძირალა კომუნისტი, რომელთა ხელშეწყობით კიდევ ერთხელ გაახანგრძლივეს თავიანთი ბინძური საქმიანობა და ხალხის მასების აბუჩად აგდება. სტალინის საუკუნო განსასვენებელში წასვლა მსოფლიო ხალხების სისხლის მწოველთა ხელშეწყობითა და მონდომებით დაჩქარდა.

* მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო საბჭოთა კავშირმა თურქეთთან გაწონასწორებული პოლიტიკის წარმოება და უარი თქვა ტერიტორიულ პრეტენზიებზე იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც უკვე ნატოს სრულუფლებიანი წევრი იყო. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა მთავრობამ საბოლოოდ განაცხადა უარი თურქეთთან საზღვრების გადახედვაზე. დოკუმენტში ნათქვამი იყო: „კეთილმეზობლური დამოკიდებულების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით საქართველოსა და სომხეთის მთავრობები უარს ამბობენ თურქეთთან სასაზღვრო პრეტენზიებზე. რაც შეეხება სრუტეების საკითხს, საბჭოთა მთავრობამ გადახედა პოზიციას ამ საკითხზე და შესაძლებლად მიაჩნდა საზღვრის დაცვა სრუტეების მხრიდან ისეთი პირობებით, რომლებიც თანაბრად მისაღები იქნება, როგორც საბჭოთა კავშირისთვის, ისე თურქეთისთვის. ამგვარად, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ".

**აი, თურმე რა მოჰპარა სტალინმა საქართველოს და ეს თურმე შენ არ იცოდი.**

**რაც ახლა გითხარი, ეს იმ „მოპარულის" 10%-ია, რაც სტალინის „ხელცივობას" მიეკუთვნება, მაგრამ ვნახოთ, როგორ შეავსებს ჩემი ეს მონათხრობი შენს ცარიელ თავს და, თუ რამე პრეტენზია გაგიჩნდება, ცილისმწამებელო არსებავ, კიდევ ბევრი რამ მაქვს დასამატებელი...**

მანამდე კი მკითხველს უნდა მივაწოდო სტალინისდროინდელი საქართველოს აყვავებისა და გაბრწყინების ნამდვილი ფაქტები, სანამ ამის წაკითხვა არ მოსწყინდება. მე კი მოვუწოდებ ქართველ ხალხს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, ნუ მოსწყდებით სინამდვილეს, შეხედეთ დღევანდელ მსოფლიოს და გაითვალისწინეთ დიდი **შოთა რუსთაველის** XII საუკუნეში ნათქვამი: **„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების"**! ეს დრო კარს არის მომდგარი.

სტალინის საფლავზე ნაგავი აღარ ყრია, ის ისტორიის დაუნდობელმა ქარმა გაფანტა. „უკვდავების შარავანდედით" შემოსილი ლიბერალიზმის ორმოციც მალე გვექნება გადასახდელი.

ჩაკვრისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სალომე ზურაბიშვილი, როგორც უცხოელების დაქვემდებარებაში მყოფი ერთ-ერთი მარიონეტი, მათთან ანგარიშვალდებული პოლიტიკური სუბიექტი, დაარიგეს, დაამუშავეს, „მშვიდობის მტრედის“ როლი რომ შეასრულოს“.**

# სანახაობა გაძვირებული პურის ფონზე

სალომე ზურაბიშვილი „შერიგების“ ინიციატივით გამოვიდა. შერიგების საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც 10 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ ორგანიზებულ დემოკრატიის ვირტუალურ სამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, პირობას დებს, წამოიწყებს ინკლუზიურ პროცესს, „საუბარს ეროვნული მასშტაბით, რომელშიც ჩაბმული იქნება მთელი საზოგადოება, რათა მივაღწიოთ უახლესი ისტორიის საერთო აღქმას, დავძლიოთ ტკივილი და წინ წავიდეთ“.

ამ განცხადებას უმალვე მოჰყვა ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ბრიუსელში, სადაც ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატოს ოფისში საქართველოს პრემიერმინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ნატო განაგრძობს მისი პარტნიორების პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას, საქართველოსგან კი ელის დემოკრატიული სტანდარტების შენარჩუნებას.

„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მუშაობა სასამართლო სისტემის რეფორმაზე, მედიის დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულებაზე“, — თქვა იენს სტოლტენბერგმა და დასძინა: „ასევე, მოგიწოდებთ, იმუშაოთ ოპოზიციასთან, რათა გადაიჭრას პოლიტიკური განსხვავებები და შემცირდეს მაპოლარიზებელი რიტორიკა“.

სასამართლოს რეფორმა, „შერიგება“ დანაშაულებრივ ძალასთან — არის თუ არა ეს ყველაფერი გათვლილი იმაზე, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა რეინკარნაცია მოხდეს და რომ სააკაშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდეს?

ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი **ხათუნა საგინაშვილი** გვესაუბრება.



## ხათუნა საგინაშვილი:

## «ქვეყნის ტრაგედიაა ის, რომ ისეთ ბოროტ ძალას, როგორიც «ნაციონალური მოძრაობაა», ნახევარი მილიონი ამომრჩეველი ისევ ჰყავს»

— „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, გვარწმუნებდნენ, რომ ეს იყო პროგრესული მოვლენა და ამას ყველა ტელევიზია აპიარებდა. სინამდვილეში მათ ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება არალეგიტიმური გზით და ლეგიტიმაცია მოგვიანებით მოიპოვეს არჩევნების გზით. ეს იყო ნაცების ავანტიურისტული გათვლა **შევარდნაძის** წინააღმდეგ, რომელიც უკვე ხანდაზმული იყო, დასვენებაც სჭირდებოდა და, დიდი ალბათობით, თავადაც ჩართული იყო ამ ავანტიურაში — ხელისუფლების გადაბარების პროცესში.

**სააკაშვილის მმართველობა ძალიან ჰგავდა ანტიქრისტეს ზეობის ხანას, მიშამ რეპეტიცია ჩაგვიტარა. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ ვფიქრობ, საზოგადოებას კიდევ ერთხელ სჭირდება შეხსენება, რა ბოროტ ძალასთან გვაქვს საქმე ნაციონალების სახით; გვჭირდება შეხსენება იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ნახევარი მილიონი მოქალაქე ამ ძალის მომხრეა. მათ მოწამლეს ხალხი ტელევიზიების დახმარებით, მოწამლეს იმ დონეზე, რომ ისინი ამ ქვეყნის დამფუძნებლად თვლიან დამნაშავეს.**

ხშირად უნდა ვისაუბროთ იმაზე, რა დამართეს ამ ქვეყანას ნაცებმა, ვისაუბროთ ყველგან, ყველა საინფორმაციო საშუალებით, რომლებიც ჩვენს ხელთ არის, რათა ხალხმა სიმართლე იცოდეს და მხოლოდ ნაცების ტელევიზიების იმედად არ იყვნენ. რაღაც შევაგნებინოთ, დავეხმაროთ ხალხს, სიბნელიდან გამოვიყვანოთ.

**ქვეყნის ტრაგედიაა ის, რომ ისეთ ბოროტ ძალას, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, ნახევარი მილიონი ამომრჩეველი ისევ ჰყავს და მათ მმართველობას მისტირის.**

**— პრეზიდენტი ევროპიდან ჩამოვიდა და გამოგვიცხადა, რომ შერიგება აუცილებელია. როგორ ფიქრობთ, მას ეს უცხოელმა ე.წ. პარტნიორებმა ხომ არ ურჩიეს?**

— რასაკვირველია, მათ ურჩიეს. ჩვენ გვახსოვს მისი განცხადება სააკაშვილის შეწყალებაზე — „არა და არასდროს“, რითაც ქართველი ხალხის სიმპათიაც კი დაიმსახურა, მაგრამ ევროპიდან დაბრუნებულმა და შემდეგ უკვე **კელი დეგნანთან** ნასაუბრებმა გამოგვიცხადა „შერიგება“. ჩვენ არ ვიცით, რა იგულისხმება ამ შერიგებაში, მაგრამ „არა არს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს“...

**ზურაბიშვილი ევროპელი, კონკრეტული პოლიტიკოსების ზეგავლენის ქვეშაა და ეს ჩანს კიდეც.**

ქართული პოლიტელიტის წარმომადგენლები მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, **ზვიად გამსახურდიას** მმართველობის გამოკლებით, არ არიან თავისუფალი არჩევანში, ისინი უცხო ძალების რენეგატები და მარიონეტები არიან. სანამ საქართველოში ეს მავნე პრაქტიკა არ მოიშლება და არ ვიფიქრებთ, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, მანამდე არაფერი გვეშველება. **სანამ ჩვენი პოლიტიკოსები გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად არ მიიღებენ, უპირველეს ადგილას არ დააყენებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ანგარიშვალდებულები არ იქნებიან ქართველი ხალხის და არა უცხოელი დამკვეთების წინაშე, არაფერი გვეშველება, სულ ამ მოჯადოებულ წრეზე ვივლით. ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებელი იქნება თავის გადაწყვეტილებებში.** ჩვენ ვაცნობიერებთ, როგორი რთული პერიოდია და რამხელა გამოწვევების წინაშე დგას პატარა საქართველო, ვიცით, რომ რაღაცისთვის ანგარიშის გაწევა მოგვიწევს, მაგრამ ეს ყველაფერი არაფრის დიდებით არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ინეტერესების დათმობის ხარჯზე. როდესაც საუბარია ისეთ ბოროტმოქმედზე, როგორიც **მიხეილ სააკაშვილია,** როდესაც საუბარია მის შეწყალებაზე, კანონმა აუცილებლად უნდა იკანონოს და საკადრისი მიეზღოს დამნაშავეს. ეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ უპირობოდ უნდა აღასრულოს. ეს თვითონ მიშასაც სჭირდება რეაბილიტაციისთვის და იმისთვის, რომ საზოგადოებას დაუბრუნდეს. სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც არ იყო გადაცდომები, როგორც უნდათ წარმოჩენა, ეს იყო დანაშაულები და მან პასუხი უნდა აგოს.

**— ირაკლი ღარიბაშვილი სტრასბურგში იყო, შეხვედრებისას მას უთხრეს, რომ სასამართლოს რეფორმა აუცილებლად უნდა განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაში. ყველამ კარგად ვიცით, რა სერიოზული ბერკეტია სასამართლო ნებისმიერი ძალის თუ ადამიანის ხელში... თავის დროზე ამერიკელებმა სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდეს, ისინი სიტყვას უკან არ წაიღებენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ სასამართლოს ხელში ჩაგდება, „შერიგება“ და ა.შ. — ეს ყველაფერი „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებლად მოფიქრებული ხრიკია?**

— გამორიცხული არაფერია. რაზეა გათვლილი ეს ყველაფერი, დრო გვიჩვენებს. **ე.წ. დასავლელ პარტნიორებს ნაციონალები სათადარიგო რგოლად სჭირდებათ. ვინც დასავლეთს მეტად უკმევს გუნდრუკს, ის უნდათ; ვინც მეტად უღალატებს ეროვნულ ინტერესებს, ის უნდათ და ასეთი რენეგატი, სამწუხაროდ, ყოველთვის მოიძებნება. ლიბერალურ პოლიტიკურ ძალებს შორის კონკურენცია სწორედ ამ წინადადებით მიმდინარეობს — „არა, მე უფრო მეტად შემიძლია გემსახურო, ფსონი ჩემზე დადე“.**

Bბოლო პერიოდში დასავლეთის შიში გამძაფრებულია იმის გამო, რომ საქართველოში გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც მომხრენი არიან რუსეთთან დალაპარაკების, აქტიური კომუნიკაციის; გააქტიურდნენ ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც კონსერვატიულად აზროვნებენ და, ბუნებრივია, ამის ეშინია დასავლეთს. ეშინიათ, რომ შემთხვევით ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში არ მოხვდნენ ისეთი ძალები, რომელთა გაკონტროლებასა და დამორჩილებას ვერ შეძლებენ. მათ სურთ, პოლიტიკურ ასპარეზზე იყოს ორი ან სამი პოლიტიკური ძალა, რომლებსაც ენდობიან, ამიტომ სათადარიგო რგოლად ყოველთვის ეყოლებათ ისეთი ბინძური ძალა, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, რადგან ის მუდმივად ასრულებს მათ დაკვეთას.

ჩვენთან არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის პრობლემაა, არამედ ეკონომიკურიც, რადგან ჩვენი ე.წ. დასავლელი პარტნიორებისთვის ესეც უმნიშვნელოვანესია. აქედან გამომდინარე, უნდათ, რომ მორჩილი ძალები წინა პლანზე ჰყავდეთ.

**სალომე ზურაბიშვილი, როგორც უცხოელების დაქვემდებარებაში მყოფი ერთ-ერთი მარიონეტი, მათთან ანგარიშვალდებული პოლიტიკური სუბიექტი, დაარიგეს, დაამუშავეს, რომ „მშვიდობის მტრედის“ როლი შეასრულოს. თანდათან გამოჩნდება, გადათქვამს თუ არა პრეზიდენტი თავის სიტყვას — „არა და არასოდეს“ თუ შუალედურ პოზიციას დაიჭერს. ამისთვის დიდხანს ცდა და ლოდინი არ მოგვიწევს, მალე დავინახვათ, ამ ბუტაფორიული შემრიგებლობის უკან რა დგას, რადგან ეს არ იქნება პოზიტივზე გათვლილი.** ჩვენ ვიცით, რომ ბოროტმოქმედი ძალაა „ნაცმოძრაობა“ და ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. საინტერესოა, რა კომპრომისი უნდა შესთავაზოს რომელიმე სხვა ძალამ, რომ მათი ამბიციები დააოკოს. მათი ამბიციები არ დაოკდება, სანამ შანსი აქვთ, რომ მართვის სადავეები ლეგიტიმური გზით ხელში ჩაიგდონ. აქედან გამომდინარე, **ამ ძალადობრივ, დანაშაულებრივ ძალასთან რაიმე მორიგება-გარიგებაზე საუბარიც კი ზედმეტი და სასაცილოა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ გავეშებულები სასამართლოს რეფორმასაც სწორედ თავიანთი დაკვეთების შესასრულებლად მოითხოვენ.**

**— სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური კრიზისია, რომ ახალგაზრდები ქვეყნიდან გარბიან, რაც მართალია და ამას მოაყოლა, რომ ქვეყანაში შექმნილ კრიზისს შერიგება გამოასწორებს...**

**— კრიზისს სააკაშვილის გათავისუფლება და შემორიგება აღმოფხვრის? მაცივრები გაგვევსება? ზურაბიშვილის ეს სიტყვები და, საზოგადოდ, ეს ინიციატივა საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, სამარცხვონო საქციელი და ხალხის შეურაცხყოფა.** სააკაშვილის გარეთ გამოშვებით საზოგადოება შეიძლება დაპირისპირებამდე მივიდეს, რადგან მას უამრავი ოჯახი ჰყავს გაუბედურებული. მისი თავისუფლად ქუჩაში სიარული კარგს არაფერს მოგვიტანს.

**ამ ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკა და უნდა ვეღირსოთ იმას, რომ კანონი ყველასთვის კანონობდეს, რომ თანამდებობა ინდულგენცია არ არის.**

შერიგება ბუტაფორიაა. ეს არ მოხდება. ხელისუფლება ცდილობს, სანახაობა მისცეს ხალხს, რადგან პური გაძვირდა... შერიგება დანაშაულებრივ ძალასთან დაუშვებელია და ჩვენი პრეზიდენტის ეს ინიციატივაც დარჩება სპექტაკლად, ზუსტად ისე, როგორც საქართველოს უახლეს ისტორიაში ბევრი მსგავსი სპექტაკლი. ხალხი ბრძენია, ამით არავინ ტყუვდება; სჯობს, დასავლეთის თვალში კეკლუცობას თავი დაანებონ და საზოგადოების ხმას უსმინონ, ხალხის ნება აღასრულონ.

**«ამ ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკა და უნდა ვეღირსოთ იმას, რომ კანონი ყველასთვის კანონობდეს, რომ თანამდებობა ინდულგენცია არ არის. შერიგება ბუტაფორიაა, ეს არ მოხდება. ხელისუფლება ცდილობს, სანახაობა მისცეს ხალხს, რადგან პური გაძვირდა... შერიგება დანაშაულებრივ ძალასთან დაუშვებელია და ჩვენი პრეზიდენტის ეს ინიციატივაც დარჩება სპექტაკლად, ზუსტად ისე, როგორც საქართველოს უახლეს ისტორიაში ბევრი მსგავსი სპექტაკლი. ხალხი ბრძენია, ამით არავინ არ ტყუვდება. სჯობს, დასავლეთის თვალში კეკლუცობას თავი დაანებონ და საზოგადოების ხმას უსმინონ, ხალხის ნება აღასრულონ»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ხალხის აზრით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სალომე ზურაბიშვილს შერიგების იდეა საზღვარგარეთ ყოფნისას მოახვიეს თავს; ურჩიეს, დაავალეს, ჩანაფიქრის განხორციელების მორიგი მცდელობა დაიწყეს, ჩანაფიქრი კი ნაცების დაბრუნებაა და ამ დავალებას ქალბატონი უსიტყვოდ ასრულებს. უცხოელებისთვის ნაცებიცა და ქოცებიც ერთი ძალაა, მაგრამ ხედავენ, რომ „ოცნებას“ წყალი შეუდგა და ცდილობენ, ვითომ მეორე ძალით ჩაანაცვლონ.**

# თავსმოხვეული «შერიგება»

**„მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ავიღე ვალდებულება და ეს არ არის მთავრობის ვალდებულება, ეს ჩემია; ეს არის შერიგების, სიმართლისა და სამართლიანობის პროცესის დაწყება; ეს ის გზაა, რომელიც რამდენიმე ქვეყანამ ადრე გაიარა და რომელიც, ჩემი აზრით, დღეს აბსოლუტურად არსებითია საქართველოსთვის, ყველა იმ პერსპექტივისთვის, რომელთა ღიაობის დანახვაც მას სურს, მათ შორის ევროპისაც“, — სალომე ზურაბიშვილის ამ განცხადებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, აღშფოთება, რომელიც არაერთხელ მოჰყოლია მის გამოსვლებსა და ინიციატივებს. გვესაუბრებიან სამოქალაქო აქტივისტები მერაბ ზურაბაშვილი, არდალიონ ხააძე და ზურაბ აბრალავა, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავენ პრეზიდენტიდან წამოსული ე.წ. შერიგების ინიციატივის გამო.**

**«30 წლის წინათ რაც დაგვმართეს, მას შემდეგ ფეხზე ვერ დავდექით და ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ გავეთიშეთ და ებატონათ ჩვენზე. ამას მოგვიანებით მოჰყვა «გახრწენი და იბატონე!», ახლა — «გაალატაკე და იბატონე!» და ეს ყველაფერი შეასრულეს. ჩვენ გაგვანადგურეს, მონებად გვაქციეს და, რასაც გვიბრძანებენ — იმას გვაკეთებინებენ, უფრო ზუსტად, ხელისუფლებას აკეთებინებენ»**



## „სალომე ზურაბიშვილი არც ხალხის არჩეულია და არც ხალხის ნების გამომხატველი. ხელისუფლებაში ყველა ნამუსდაკარგულია“

**მერაბ ზურაბაშვილი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— სასაცილოა, როდესაც შერიგებაზე საუბრობს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი. შერიგება მისაღებია, როდესაც ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციაზე მყოფი ადამიანები რიგდებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში შერიგებაზე ლაპარაკი უადგილოა. მართებული იქნებოდა, პრეზიდენტს ეთქვა — მიბრძანეს და ვლაპარაკობ. არავითარი შერიგება! საქართველოს ხელისუფლებას დასავლეთიდან უბრძანეს, შერიგდითო და ბრძანებას ასრულებენ, უბრალოდ, ვერ ამბობენ, რომ უბრძანეს.

თუკი შერიგებაზე ვსაუბრობთ, ვისაც ნაცებმა დაუშავეს, მათ ჰკითხონ, უნდათ შერიგება? მიუტევებენ? სურს ხალხს, რომ ამდენი დაღვრილი სისხლი შეარჩინოს წინა ხელისუფლებას?!

**სალომე ზურაბიშვილს** შერიგების ამბავი საზღვარგარეთ ყოფნისას მოახვიეს თავს, ურჩიეს, დაავალეს, ჩანაფიქრის განხორციელების მორიგი მცდელობა დაიწყეს. ჩანაფიქრი კი ნაცების დაბრუნებაა და ამ დავალებას ქალბატონი უსიტყვოდ ასრულებს. უცხოელებისთვის ნაცებიცა და ქოცებიც ერთი ძალაა, მაგრამ ხედავენ, რომ „ოცნებას“ წყალი შეუდგა და ცდილობენ, ვითომ მეორე ძალით ჩაანაცვლონ. სამწუხაროდ, პრეზიდენტის ინიციატივაში ეს დავინახე, სხვა არაფერი.

**ზურაბიშვილი არც ხალხის არჩეულია და არც ხალხის ნების გამომხატველი. ხელისუფლებაში ყველა ნამუსდაკარგულია.**

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში თქვა, — ქვეყანაში შექმნილ კრიზისს შერიგება გამოასწორებსო, მაგრამ შერიგება ვერაფერს გამოასწორებს, ეს ტყუილია. პოლიტიკური კრიზისი ეკონომიკური კრიზისით არის გამოწვეული. უპირველესად ეკონომიკაა მისახედი, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. **30 წლის წინათ რაც დაგვმართეს, მას შემდეგ ფეხზე ვერ დავდექით და ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ გავეთიშეთ და ებატონათ ჩვენზე. ამას მოგვიანებით მოჰყვა „გახრწენი და იბატონე!“, ახლა — „გაალატაკე და იბატონე!“ და ეს ყველაფერი შეასრულეს, ჩვენ გაგვანადგურეს, მონებად გვაქციეს და, რასაც გვიბრძანებენ — იმას გვაკეთებინებენ, უფრო ზუსტად, ხელისუფლებას აკეთებინებენ.**

სასამართლოს ხელში ჩაგდება სურთ, მონური სასამართლო კარგი ბერკეტია უცხოელებისთვის — თუკი მთავრობის რამე გადაწყვეტილება სამაგათო არ იქნება, გაასაჩივრებინებენ მათ ხელქვეით არასამთავრობოს და ყველა პროცესს მოიგებენ.

მსოფლიოში პროცესები სწრაფად მიმდინარეობს, დასავლეთის პოზიციები საგრძნობლად სუსტდება, რუსეთი ძლიერდება და მიხარია, რადგან ჩვენი, ქართველების, მშრომელი ქართველისა და პატრიოტი ადამიანების პოზიციები გაძლიერდება რუსეთის გაძლიერებით. ჩვენი მეზობელი ქვეყნის გაძლიერება ამერიკის დასუსტებას ნიშნავს ჩვენს რეგიონში. რუსეთს ხელს აძლევს ძლიერი საქართველო და ჩვენც გვაძლევს ხელს ძლიერი მეზობელი.

შერიგება ვისაც სურს, ვეტყვი: ჰკითხოს გენერალ **თეთრაძის** ოჯახს, **სანდრო გირგვლიანისა** და **სულხან მოლაშვილის** მამებს და ა.შ., სურთ შერიგება დანაშაულებრივ ძალასთან?



## „ის ფაქტი, რომ ქალბატონს საზღვარგარეთ ვოიაჟის შემდეგ გაუჩნდა ეს ინიციატივა, გვაფიქრებინებს, რომ მას ეს დაავალეს“

**არდალიონ ხააძე, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ეს მხცოვანი ადამიანი იმასაც მოვესწარი, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა დანაშაულებრივ ძალასთან შერიგება გადაწყვიტა...

„შერიგება“ ამ ვითარებაში, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, აბსოლუტურად მიუღებელია. ეს ე.წ. შერიგება ხდება მაშინ, როდესაც დამნაშავე აღიარებს დანაშაულს; ცდილობს, ამ დანაშაულის გამოსწორებას და ბოდიშს იხდის, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში, „შესარიგებელი“ ობიქტი გვამუნათებს, გვემუქრება უკან დაბრუნებისას სამაგიეროს გადახდით, მაგრამ მთავრობას ვერ ამხობს, ხალხის დიდ რაოდენობას ვერ კრებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად და ღმერთმა დაგვიფაროს, დაბრუნდეს! ნაცების დანაშაული ერთი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ეს ხომ უამრავი დანაშაული იყო?!

**სალომე ზურაბიშვილმა მოიარა ევროპა, ჩამოვიდა და უცბად გამოგვიცხადა, რომ უნდა შეგვარიგოს. ის ფაქტი, რომ ქალბატონს საზღვარგარეთ ვოიაჟის მერე გაუჩნდა ეს ინიციატივა, გვაფიქრებინებს, რომ მას ეს დაავალეს, რადგან იქ, უცხოეთში თვლიან, რომ ნაცებს საპატიებელი არაფერი არა აქვთ.**

ნაცებსა და მის ლიდერს წლების განმავლობაში „დემოკრატიის შექურას“ უწოდებდნენ, დღეს დასავლეთი ველარ იტყვის, რომ ეს ტყუილი იყო, ამიტომ ცდილობენ, ხელახლა მოიყვანონ ხელისუფლების სათავეში. აბა, ვტყუოდითო, ხომ ვერ იტყვიან?!

სასამართლოს რეფორმა, რომელსაც ევროპელები დღეს საქართველოს სთხოვენ, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგაა მიმართული, რადგან ზუსტად ანალოგიური რამ გააკეთეს უკრაინაში და ქვეყანა მოსპეს. სასამართლო კარგი ბერკეტია უცხოელების ხელში: რასაც მოისურვებენ — იმას გააკეთებენ, როდესაც თავიანთ მონა-მორჩილ მოსამართლეებს დაამტკიცებენ. **დასავლეთს აქვს ერთადერთი სურვილი — მისი მორჩილი იყოს ქვეყნის ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც ყველა მათ დაკვეთასა და სასურველ იდეას ხორცს მაშინვე შეასხამენ. ხალხზე მოფიქრალი, ქვეყნის ერთგული ხელისუფლება არ სჭირდება ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორს.** ფული, რომელიც სახელმწიფოში შემოდის, არ ხმარდება საწარმოების აშენებას, ინდუსტრიალიზაციას, სამუშაო ადგილების შექმნას, ფული ხმარდება მათი გავლენის გაძლიერებას. საქართველო პატარა და სუსტი ქვეყანაა, ამიტომ უპრობლემოდ გვიყენებენ რუსეთის წინააღმდეგ. ეს ტერიტორია ომისთვის პლაცდარმად სჭირდებათ, ასევეა უკრაინაც, მოლდოვაც...

ე.წ. შერიგება ვერ გამოასწორებს იმ პრობლემებს, რომლებზეც ზურაბიშვილმა ისაუბრა, ვგულისხმობ ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებს, რომლებიც საქართველოშია. **არ შეიძლება, ქურდს აპატიო დანაშაული, აპატიო ძალადობა და შეურიგდე, ის უნდა დასაჯო დანაშაულისთვის. შუაღამეს ნოტარიუსთან ქონებას რომ აფორმებინებდნენ ადამიანებს, ამის პატიება არ შეიძლება, მაგრამ, თუკი მაინც „შეგვარიგეს“, ე.ი., გვიმორჩილებენ, რადგან დასავლელ ე.წ. პარტნიორებს ნაცების დაბრუნება სურთ, რადგან ადვილად დასამორჩილებელი ძალაა.**

სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს, უხამსობისკენ მიდის...



## „ეს ე.წ. შერიგება „ოცნების“ დასასრულის დასაწყისია“

**ზურაბ აბრალავა, გაზეთის „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი:**

— ეს ე.წ. შერიგება „ოცნების“ დასასრულის დასაწყისია. შერიგებაზე საუბარი ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას ყველანაირი, ხალხისთვის გასაკვირი საქმის ჩადენა შეუძლია.

შერიგება რას მიქვია? — შერიგებულ-გარიგებულები არ არიან 2012 წლის შემდეგ?!

**სალომე ზურაბიშვილმა თავდაპირველად განაცხადა: „არა და არასდროს!“, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც ევროპა მოიარა, „შერიგებაზე“ დაიწყო საუბარი. დაე, აღიაროს, რომ დაკვეთას ასრულებს. პრეზიდენტის ეს განცხადება ემსახურება ნაცების დაბრუნებას და სააკაშვილის გათავისუფლებას. ეს ქვეყნის დასასრულია. სააკაშვილის გათავისუფლება ნიშნავს კორუფციის დაბრუნებას, ძალისმიერი მეთოდების, სისასტიკის დაბრუნებას და ამიტომ ვამბობ, რომ ეს ქვეყნის დასასრულია.** ზურაბიშვილის „შერიგება“ ნიშნავს უკან, სისასტიკეში დაბრუნებას.

ნაცებმა როგორც უნდა მოინანიონ, თუმცა ამის გაკეთებას არც ცდილობენ, საზოგადოებას მათი მონანიებისა არ სჯერა. ყველაფერი, რაც დღეს ხდება და რაზეც პრეზიდენტი საუბრობს, დასავლეთიდანაა თავსმოხვეული. დასავლეთს კი ნაცები იმიტომ აძლევს ხელს, რომ კარგად ასრულებენ მის დავალებებს...

პრეზიდენტმა სოციალურ პრობლემებზე ისაუბრა, თქვა, გაუსაძლისი ყოფის გამო ახალგაზრდები გარბიან ქვეყნიდანო, მაგრამ ამას ახლა მიხვდა, ახლა გაიგო? — არა, უთხრეს, ასე თქვიო, და თქვა. რა შერიგებაზეა საუბარი ან ვინ ვის და როდის გაებუტა?! საქართველოს ე.წ. პოლიტელიტა სავარძლებისა და ფულისთვის იბრძვის, მისთვის მთავარია ის ბიუჯეტი, რომელიც ჩვენს საწყალ ქვეყანას აქვს.

სალომე ზურაბიშვილის ეს ინიციატივა შერიგების შესახებ ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნების მცდელობაა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნაცებმა დააქციეს ეს ქვეყანა ევროპიდან შემოსული ფულის გამო და ამ ფულს არავინ შეარჩენს არც ნაცებს და არც საქართველოს.

თუკი ეს ე.წ. შერიგება ჩვენი ნებაა, ეკითხათ ჩვენთვის, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაზარალებულებისთვის, და ვეტყოდით, რომ შერიგება არ გვინდა. ჩვენი ქვეყანა უბედურებას არ შეურიგდება!

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„არ შეიძლება, ქურდს აპატიო დანაშაული, აპატიო ძალადობა და შეურიგდე. ის უნდა დასაჯო დანაშაულისთვის. შუაღამეს ნოტარიუსთან ქონებას რომ აფორმებინებდნენ ადამიანებს, ამის პატიება არ შეიძლება, მაგრამ, თუკი მაინც „შეგვარიგეს“, ე.ი., გვიმორჩილებენ, რადგან დასავლელ ე.წ. პარტნიორებს ნაცების დაბრუნება სურთ, რადგან ადვილად დასამორჩილებელი ძალაა“**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარგად იცის ბოროტმა: ხალხი რომ შენს ჭკუაზე ატარო, ჯერ ბრბოდ უნდა გადააქციო, რადგან ბრბოსთვის ტვინის გამორეცხვა ძალიან ადვილია. ტვინგამორეცხილი კი მანქურთია მხოლოდ, რომელიც იმას იტყვის და იზამს, რასაც ჩასძახებ და რისკენაც მიუთითებ. აი, ეს პროცესია დაწყებული ჩვენში და, ვისაც უმაღლესი შემოქმედის, ანუ სიკეთის მქმნელის იმედი და რწმენა არ დაუკარგავს, მხოლოდ მას შეუძლია წინ აღუდგეს კარს მომდგარი ბოროტების „მეორედ მოსვლას“.**

# საქართველოს ერთიანობის ხელყოფა არავის არ ეპატიება!

**მძიმე დრო უდგას საქართველოს, ალბათ, ბევრ სხვასაც, მთელ კაცობრიობას თუ არა! ამის მიზეზის (თუ მიზეზების) გონივრული ახსნა ვერავისგან მოვისმინე. იმას როდი ვამბობ, არავინ ახსნა-მეთქი, მე ვერ მოვისმინე-მეთქი, — ამას ვჩივი. არადა, ადამიანის გონება ვერ ურიგდება აუხსნელი მოვლენის არსებობას, ისე, როგორც უსასრულობასა და ყველაფერს თავისებურ ახსნასა და საზღვარს უძებნის, როგორც აინშტაინმა მოუძებნა საზღვარი უსასრულობას.**

ის უბედურება, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს, გლობალური უბედურებაა, ამიტომ არ მიმაჩნია დამაჯერებლად ამ მოვლენის რაღაც ლოკალური მიზეზებითა და ფაქტორებით ახსნა, ისე, როგორც ქართველი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები ხსნიან ჩვენი სიბეჩავის მიზეზს: რომ არა „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ბელადი **მიხეილ სააკაშვილი,** ჩვენში მშვიდობა და კეთილდღეობა დაისადგურებდაო. **სად იყო სააკაშვილი და ნაცშანტრაპა, როცა რუსთაველზე ქართველები „მამაცურად“ ეომებოდნენ ერთმანეთს? ან ნათელაშვილის „ფანჩატურში“ შეკრებილი პარტიები სად იყვნენ, როცა ქართველი „რაინდული“ ბატალიონები სამეგრელოს არბევდნენ? ან ვისი კარნახითა თუ წაქეზებით ანგრევდნენ 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები წინა ხელისუფლების მიერ აგებულ ტრიბუნებსა თუ დეკორატიულ ძეგლებს, შენობებზე ხსნიდნენ სიმბოლურ სამშვენისებს — ვარსკვლავებსა და ჩაქუჩ-ნამგლის ბარელიეფებს, თითქოს ან ერთი ან მეორე კომუნისტების გამოგონილი იყო!**

სხვა მიზეზია აქ და სხვა ბოროტი ძალა მართავს ამ ყველაფერს, თორემ აფხაზური ან ოსური სეპარატიზმი თუ საქართველოს დუხჭირი ყოფით იყო ნასაზრდოები, ესპანეთიდან გასაქცევად აყალყულ **კატალონიასა** და ინგლისიდან გამოყოფის სურვილით აფოფრილ **ირლანდიას** რა ბაბასილი უნდათ, არ გიფიქრიათ ამაზე? ის კი არა, ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი შტატი თურმე სერიოზულად ფიქრობს დამოუკიდებლობაზე. რა მიზანი აქვს იმ ბოროტ ძალას, ნეტავი? ის მიზანი აქვს, რომ ძალიან უნდა, მსოფლიო თავის ჭკუაზე ატაროს და ის გააკეთებინოს, რაც თვითონ სურს, და ის არ გააკეთებინოს, რაც თვითონ არ ეპიტნავება. ასე იყო საუკუნეების წინათ და ასეა ახლაც. სიკეთე და ბოროტება მუდამ ებრძოდა ერთმანეთს, თუმცა დღემდე სიკეთე ყოველთვის სძლევდა ბოროტებას, რადგან „არსება მისი გრძელია“. ომი ჯერ არ დამთავრებულა. სიკეთემაც და ბოროტებამაც იციან თავიანთი საქმე, ეგ არის მხოლოდ, ერთს ან მეორეს დროდადრო ხელსაყრელი პირობები ექმნებათ ხოლმე და ისე ჩანს, რომ საბოლოო გამარჯვება მას რჩება, ვისთვისაც ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. **დღემდე ასე იყო — ბოროტების წარმატება დროებითია, რადგან „სიკეთის არსება გრძელია“, იმიტომ, რომ სამყაროს შემოქმედია სიკეთე და არა მისი დამაქცეველი, რომელიც სიკეთესთან ბრძოლაში არაერთხელ გადაიჩეხა უფსკრულში. დღეს ბოროტების ზეობაა დედამიწაზე და იგი ადვილად იყენებს იმ ცოდნას, რომელიც მისი შავი მიზნების მიღწევისათვის არის საჭირო.** კარგად იცის ბოროტმა: ხალხი რომ შენს ჭკუაზე ატარო, ჯერ ბრბოდ უნდა გადააქციო, რადგან ბრბოსთვის ტვინის გამორეცხვა ძალიან ადვილია. ტვინგამორეცხილი კი მანქურთია მხოლოდ, რომელიც იმას იტყვის და იზამს, რასაც ჩასძახებ და რისკენაც მიუთითებ. აი, ეს პროცესია დაწყებული ჩვენში და, ვისაც უმაღლესი შემოქმედის, ანუ სიკეთის მქმნელის იმედი და რწმენა არ დაუკარგავს, მხოლოდ მას შეუძლია წინ აღუდგეს კარს მომდგარი ბოროტების „მეორედ მოსვლას“. ბოროტებას წინ რომ აღუდგე, ჯერ კარგად უნდა დაინახო მისი მიზანი და გააცნობიერო იგი. **ბრბო ვერ დაინახავს ამას და ვერც გაიაზრებს, რადგან, თუ მთლად გამორეცხილი არა, გვარიანად გალაყებული მაინც აქვს ტვინი. ასე რომ არ იყოს, განა ძნელი დასანახავია, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მთელი ეს ცუდად დადგმული კინკლაობა და ფსევდოკონფლიქტები იქით არის მიმართული, რომ ხალხის ყურადღება ბოროტების უმთავრეს მიზანს ასცდეს და წვრილ-წვრილ წარმოდგენებზე იყოს გამახვილებული.**

ბარემ ახლავე ვიტყვი, რა არის ჩვენში გალაღებული ბოროტების მთავარი მიზანი: **ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის ერთიანობის მოშლა! ღმერთი კრავს და აერთიანებს, ეშმაკი შლის და აცალკევებს!** სწორედ ამ ფორმულის მიხედვით მოქმედებს ბოროტი ძალა და ყველა ღონეს ხმარობს ხალხის ერთიანობის წინააღმდეგ.

**სახელმწიფოებრიობა იყო და არის ეროვნული ერთიანობის უმთავრესი გარანტი, ამიტომაც არის ბოროტების მახვილი მიმართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამიტომაც აცხადებდნენ და აცხადებენ ნეოლიბერალები სახელმწიფოს ბოროტებად და თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტად, ამიტომაც ქადაგებდნენ და ქადაგებენ ისინი პიროვნების სრული თავისუფლების დემაგოგიურ იდეას, რომელმაც ათქმევინა დიდ მოაზროვნე ჟან-პოლ სარტრს, — ადამიანი თავისუფლებით არის დაწყევლილიო. ის პიროვნების სრულ, ყველაფრისგან თავისუფლებას გულისხმობდა, რა თქმა უნდა.**



ოთარ მეღვინეთუხუცესი მეფე გიორგის როლში.
კადრი ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“

**თუ ნაცხროვის ხელისუფლება ქართულ მიწა-წყალს უცხოელებზე ყიდდა, ქოცხროვა, მეათე წელია, ხელისუფლებაშია და ერთხელაც არავინ დაუდანაშაულებია ამაში, არც მისი შედეგების აღმოფხვრა უცდია. დიდი ილიას უკვდავი შეგონება — «სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება!» — ბეჯითად აქვს დავიწყებული ნაცებისა და ქოცების ტანდემს**

სახელმწიფოს დაცემა-დაჩიავება სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტის დაკნინებითა და დაბეჩავებით იწყება. უცხოტომელებით დასახლებულ ხეობაში პოლიციის რაზმი რომ შეგყავს კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის დასაცავად და იმ ხეობის უცხოტომელი მოსახლეობა ქვის სროლითა და სახრით დამფრთხალი ნახირივით რომ გამოდევნის ფორმიან პოლიციელებს, იმ უცხოტომელებს რა პატივისცემა, ხათრი და რიდი ექნებათ სახელმწიფოსი? ამიტომაც იყო, რომ ერთი გაბრაზებული იმხეობელი ჩამოვიდა, მთავრობის (პარლამენტის) შენობის წინ, რუსთაველის გამზირზე კარავი დასცა და ულტიმატუმი წაუყენა ხელისუფლებას: ამას თუ არ იზამთ, დედას გიტირებთო! როგორია, ჰა? ეს რა არის, თბილისის ცენტრში რუსთაველის გამზირზე დღისითმზისით ერთმა მომიტინგემ წესრიგის დამცველ პოლიციელთა კორდონში მდგომ პოლიციელს პირდაპირ თავში ჩასცხო ხელი: ჩემს ქალაქში თავისუფალ გადაადგილებას მიშლი, ბიჭოო?

პოლიცია ჩემი დასაცავი რომ გახდება, იმ სახელმწიფოს რა ავტორიტეტი ექნება თავის მოქალაქეებში? არც აქვს! აბა, რას ჰგავს, როცა ოციოდე სულელი თუ შეიკრიბა და ცენტრალური პროსპექტის გადაკეტვა მოინდომა, დამშლელი არავინ ჰყავთ? ის კი არა, ყველა ტელეარხი აჩვენებს მათ უაზრო ბოდიალსა და გიჟურ კივილს — დედაა, რამდენი ვყოფილვართო! ხალხი თუ გინდა გამოათაყვანო, ნამდვილი ღირებულებები ყალბით უნდა შეუცვალოო, — მოძღვრავდა **ალენ დალესი** თავის ემისრებს. განა ჩვენში ეგ არ ხდება? ქალაქის ცენტრში ქართველთა დიდი მეფის, **დავით აღმაშენებლის,** ძეგლი აიღეს და ქალაქგარეთ, ძველი ავტოინსპექტორივით შუაგულ ტრასაზე დადგეს, მის ნაცვლად კი დიდი ველოსიპედი წამოჭიმეს, რომელსაც ორივე მხარეს აქვს საჭე, რაც არსაით წასვლის, ანუ უძრაობის სიმბოლოა. უკვე მესამე თვეა, ქართულ ტელევიზიებს იმის მეტი საქმე არ აქვთ, რომ ყველა საინფორმაციო პროგრამა გადაცემას იწყებს და ამთავრებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ან ე.წ. პატიმრის, **მიხეილ სააკაშვილის,** ამბით: მიშა ჭამს, მიშა არ ჭამს, მიშამ თაფლი მიირთვა, ამდენი და ამდენი ჭიქა წვენი დააყოლა და მერე ჩამოთვლიან მასთან შემსვლელ ვიზიტორებს: ექიმებსა და ვექილებს, ძველ და ახალ ცოლებს, ნათესავებსა და მეგობრებს და ა.შ. და ა.შ. ეგრეთ წოდებული პატიმარი-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ თვეში პატიმართან ორასზე მეტი ვიზიტორი რომ შევა, ის პატიმარი კი არა, საქმეში ჩაფლული თანამდებობის პირია. ამიტომაც თქვა თავის ე.წ. სასამართლო პროცესზე, აქ ამდენ ხანს რომ მაყურყუტებთ, თქვენსავით მოცლილი ხომ არ გგონივართ, უამრავი საქმე მაქვს და არ მცალიაო. პატიმარი აცხადებს, — მე სად მცალია, ბევრი საქმე მაქვსო. **სააკაშვილის სასამართლოზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა ჩვენი სახელმწიფოს სრული უსუსურობა და აბსურდულობა. ამ პროცესის მნახველი უცხოელი ვერაფრით დაიჯერებს, რომ ეს სასამართლო პროცესი ნამდვილია და სახელმწიფოში მიმდინარეობს.** პირდაპირ შემზარა იმის ცქერამ, როგორ ეხვეწებოდნენ პროკურორები ადვოკატებს, — ჩვენც გვათქმევინეთ ორიოდ სიტყვაო. მოსამართლე კი იჯდა ბუსავით და უყურებდა ამ ტრაგიკომიკურ სცენას და, როდესაც თვითონაც ჩაერია საქმეში და აყალმაყალის დაოკება სცადა, კაი შეფასებები დაიმსახურა. **პოლიცია დაბრიყვებულია, სასამართლო — აბუჩად აგდებული,... იქნებ პარლამენტია თავის სიმაღლეზე? არაფერი გეტკინოთ!**

ყველას გემახსოვრებათ, პარლამენტის სხდომის ჩაშლის მიზნით ორმა ე.წ. დეპუტატმა როგორ დაღვარა დარბაზში რაღაც სითხე და გაუსაძლისი სუნი დააყენა. ის სხდომა ჩაშალეს, მაგრამ დაისაჯა ვინმე? არადა, ტერორიზმის მუხლით უნდა გაესამართლებინათ ის ორი ქალბატონი. მათ გამოცდილებას ახლა საკრებულოებში იყენებენ ბათუმსა თუ ზუგდიდში, ფოთსა თუ ხონში. რაც ამას წინათ ვიხილეთ კულტურისა და ა.შ. მინისტრის **თეა წულუკიანის** გამოსვლისას, გასართობად კი ვარგოდა (შოუს მინისტრიც ვარო. – თქვა ქალბატონმა თეამ), მაგრამ პარლამენტში ისეთი ე.წ. დეპუტატი რომ იქნება, როგორიც მასთან მოკამათე ქალი იყო, ის არ არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ასე რომ, ის სახელისუფლო სტრუქტურები, რომლებზეც სახელმწიფო დგას, ხალხის თვალში ფასდაკარგულია და, ცხადია, მათი იმედი აღარავის აქვს. დარჩა ერთადერთი ეკონომიკა და მატერიალური კეთილდღეობა, რომელმაც შეიძლება ადამიანებს ერთად ყოფნის მოტივაცია შეუქმნას, მაგრამ უკვე აღარავის სჯერა მთავრობის განცხადებების, რომ ეკონომიკა დუღს და გადმოდის. ეკონომიკის ზრდა მალე ევროპაში საუკეთესო გვექნება, ახლა კი ამ მხრივ მსოფლიოს სახელმწიფოთა ოცეულში შევდივართო, — პრემიერმინისტრმა დაახლოებით ასე „გაგვახარა“. რეალურად კი ყველაფერი ისე სწრაფად ძვირდება, გუშინ რომ პური და ყველი ვიყიდეთ, არავითარი გარანტია არ გვაქვს იმისა, რომ დღეს იმ ფასად იმის ნახევარს მაინც ვიყიდით. **საქართველოსა თუ მსოფლიოს ისტორიას ვინც იცნობს, ეცოდინება, რომ სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრება მხოლოდ მტრის შემოსევებსა და ომებში მარცხებს როდი უკავშირდებოდა. სახელმწიფოებში სეპარატისტული განწყობები მაშინ აღმოცენდებოდა და ძლიერდებოდა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა, ავტორიტეტსა და პატივისცემას კარგავდა, რასაც, ცხადია, ეკონომიკური სიდუხჭირეც მოსდევდა.** სეპარატიზმის ისტორიული საფუძვლები ყველა ერსა და სახელმწიფოშია, რაც ძირითადად ეთნოფსიქიკის თავისებურებებს უკავშირდება. ასე იყო **საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, ესპანეთში, გერმანიაში** და ყველგან. გერმანია რომ გერმანიაა, სადაც კოლექტივიზმის განცდა და შეგნება შეი- ▶

**სახელმწიფოებრიობა იყო და არის ეროვნული ერთიანობის უმთავრესი გარანტი, ამიტომაც არის ბოროტების მახვილი მიმართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამიტომაც აცხადებდნენ და აცხადებენ ნეოლიბერალები სახელმწიფოს ბოროტებად და თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტად, ამიტომაც ქადაგებდნენ და ქადაგებენ ისინი პიროვნების სრული თავისუფლების დემაგოგიურ იდეას, რამაც ათქმევინა დიდ მოაზროვნე ჟან-პოლ სარტრს, — ადამიანი თავისუფლებით არის დაწყევლილიო. ის პიროვნების სრულ, ყველაფრისგან თავისუფლებას გულისხმობდა, რა თქმა უნდა.**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საეჭვოდ არავის ეჩვენება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთადერთ რაიონში რომ გაამარჯვებინეს ნაცებს — წალენჯიხაში, აფხაზეთის საზღვრისპირა რაიონში? იმწამსვე გამოცვივდნენ «ოპოზიციონერი» «პოლიტიკოსი» ბიზნესმენები და ყველას მოუწოდეს, — ჩვენი ბიზნესები წალენჯიხაში გადავიტანოთო. რა, წალენჯიხის რაიონი საქართველოდან გავიდა? თუ გავიდა, სად წავიდა? ძნელი გამოსაცნობია ამ ბრიყვული შოუს ტენდენცია და მიზანი? ახლანდელ ვითარებაში მრავალი მიზეზის გამო სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება ყველაზე პერსპექტიულია აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებში. ეს კი უსათუოდ გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას გურიასა და იმერეთში. მერე კი მშვიდობით, ისედაც დამოუკიდებლობადაკარგულო ქართულო სახელმწიფოვ!

◀ძლება სანიმუშო იყოს, მეცხრამეტე საუკუნეში შვიდ სახელმწიფოებრივ წამონაქმნად იყო დაშლილი, სანამ რკინის კანცლერ **ოტო ბისმარკის** მტკიცე ხელმა მათი გაერთიანება არ შეძლო. განა ასე არ იყო საქართველოშიც? **როგორც კი ცენტრალური ხელისუფლება ისეთი ბრიყვი მმართველების (მეფეების) ხელში მოხვდებოდა, როგორებიც, სამწუხაროდ, ბევრი გვყავდა, მაშინვე ცალ-ცალკე გარბოდა ქართლი და კახეთი, იმერეთი და სამეგრელო, აფხაზეთი და სხვებიც, დიდები თუ პატარები. ქართლში, მაგალითად, კინაღამ ცალკე სახელმწიფოებად იქცა ქსნისა და არაგვის საერისთავოები. აი, ამ მიმართულებით მიჰყავს ქვეყანა ნაცქოცურ (დავით მხეიძის ტერმინია) ტანდემს და მათი დადგმული პოლიტიკური წარმოდგენები ისეთ შთაბეჭდილებებს უქმნიან ნაწილობრივ უკვე უცხოელთა მიერ ზომბირებულ მოსახლეობას, თითქოს ჩვენი სასიცოცხლო პრობლემა ის არის, ერთი ვიღაც პატიმარი ჭამს თუ შიმშილობს;** ციხის კამერაში სურს სასჯელის მოხდა თუ კანარის კუნძულებზე. არც ერთი ბრალდება არ გასაჯაროებულა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სამშობლოს ღალატის ფაქტზე, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე განხორციელდა. **თუ ნაცხროვის ხელისუფლება ქართულ მიწა-წყალს უცხოელებზე ყიდდა, ქოცხროვა, მეათე წელია, ხელისუფლებაშია და ერთხელაც არავინ დაუდანაშაულებია ამაში, არც მისი შედეგების აღმოფხვრა უცდია. დიდი ილიას უკვდავი შეგონება — „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება!“ — ბეჯითად აქვს დავიწყებული ნაცებისა და ქოცების ტანდემს.** ახლა, ამ ე.წ. სასამართლოზე ყოფილ პრეზიდენტსა და მის ხელისუფლებას იმისთვის ასამართლებენ, რომ ცხრა მილიონი ლარი გაუფლანგავთ უკანონოდ, მალულად. დასამალავი ნეტავ რა ჰქონდათ, ვინმე აკონტროლებდათ თუ რა?! ნაცხელისუფლების მიმართ ყველაზე მძიმე პოლიტიკური ბრალდება ის არის თურმე, რომ მათ აღიარეს, ცხინვალის რეგიონში ომი ქართულმა მხარემ დაიწყოო. ხალხის უფრო მეტი აბუჩად აგდება გაგონილა?! ეს ომი საუკუნის წინათ კი არ მომხდარა, აგერ გუშინ იყო და იმჟამინდელმა ხელისუფლებამ აღიარა ის, რაც, მხოლოდ ამ ომის მონაწილეთა და მომსწრეთათვის კი არა, მთელი მსოფლიოსათვის აშკარა და უდავო იყო. ასე სულელები როგორ არიან დღევანდელი „პოლიტიკოსები“, რომ ეჭვი ეპარებათ ამაში?! არა, **ვიღაცის იძულებითა და კარნახით აკეთებენ ამას და საბოლოოდ იჭრიან გზას რუსეთთან დიალოგისათვის. აი, ეს არის სამშობლოს ღალატი და მისი მთლიანობის ხელყოფა, რასაც შეხმატკბილებულად აკეთებს ქოც-ნაცური ტანდემი.** საეჭვოდ არავის ეჩვენება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთადერთ რაიონში რომ გაამარჯვებინეს ნაცებს — წალენჯიხაში, აფხაზეთის საზღვრისპირა რაიონში? **იმწამსვე გამოცვივდნენ „ოპოზიციონერი“ „პოლიტიკოსი“ ბიზნესმენები და ყველას მოუწოდეს, ჩვენი ბიზნესები წალენჯიხაში გადავიტანოთო. რა, წალენჯიხის რაიონი საქართველოდან გავიდა? თუ გავიდა, სად წავიდა? ძნელი გამოსაცნობია ამ ბრიყვული შოუს ტენდენცია და მიზანი?** ახლანდელ ვითარებაში მრავალი მიზეზის გამო სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება ყველაზე პერსპექტიულია აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებში. ეს კი უსათუოდ გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას გურიასა და იმერეთში, მერე კი მშვიდობით, ისედაც დამოუკიდებლობადაკარგულო ქართულო სახელმწიფოვ. **აი, ეს არის იმ ბოროტი ძალის საბოლოო მიზანი, რომელიც წარმატებით მართავს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პოლიტიკას საქართველოში და მართავს მოღალატე ქართველების ხელით.** ახლა მე ჩამოვთვლი იმ მძიმე დანაშაულებს, რომლებიც მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ახლანდელი ხელისუფლება (ქოც-ნაცური, რა თქმა უნდა) ამ დანაშაულს ისე მალავს, როგორც ძაღლი თავის განავალს:



## ამჟამად ისტორიული ტრაგიკომიკური სპექტაკლი იდგმება ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოს სახით, როცა ეროვნული უბედურების მომტანი მთავრობის ხელმძღვანელს ასამართლებენ პიჯაკების შეძენისთვის, მასაჟისტების მომსახურებასა თუ სუშის ჭამაში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვისთვის, იმის ნაცვლად, რომ ტარდებოდეს ქართული ნიურნბერგის პროცესი, რომელზეც სააკაშვილის გვერდით, სულ მცირე, ოცი დამნაშავე უნდა იჯდეს, რომლებსაც ყოფილ პრეზიდენტზე მეტი დანაშაული აქვთ ჩადენილი. დღევანდელი და ყოფილი ხელისუფლების მოქმედება და უმოქმედობა ქართული სახელმწიფოებრიობის დაგნრევისკენაა მიმართული. ეს იმ ბოროტი ძალის დაგეგმილია, რომელსაც უეროვნებო, უსქესო, უტრადიციო და ისტორიული მეხსიერებადაკარგული მსოფლიოს ჰომონახირის ჩამოყალიბება განუზრახავს

**1. საქართველოს ეკონომიკის მართვა მიანდეს იმ კაცს, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: „უნდა გაიყიდოს ყველაფერი, სინდისის გარდა!“ (ყველაფრის გამყიდველს სინდისი ვინ მისცა, ნეტავი, რომ გაყიდოს?). იმ „გენიოსი“ ეკონომისტის ლოზუნგი ისე მიიღო იმდროინდელმა ხელისუფლებამ, როგორც კომუნისტებმა მარქსისტული „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. დაიწყო კიდეც ყველაფრის გაყიდვა, რომელიც არც ახლა დამთავრებულა;**

**2. ნაცების ხელისუფლებამ სვანეთის დალის ხეობას (კოდორის ხეობას) ზემო აფხაზეთი უწოდა და იქაური მისი დამცველი ქართველები (სვანები) ჯერ განაიარაღა, მერე მათი მეთაური დამნაშავედ გამოაცხადა და ხეობა უბრძოლველად ჩააბარა სეპარატისტებს;**

**3. იმდროინდელმა ხელისუფლებამ ახალგორის რაიონი, რომელიც სეპარატისტული ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში არ იყო, ჯერ სეპარატისტული რეგიონის ცენტრად აქცია და მერე ძალით „შეტენა“ ე.წ. სამხრეთ ოსეთს;**

4. სააკაშვილის პრეზიდენტობისას ხელისუფლება გულდაგულ ეცადა ომის პროვოცირებას რუსეთთან — ჯერ ირაკლი ოქრუაშვილის ხელით, რომელიც ახალი წლის ცხინვალში შეხვედრას დაგვპირდა და ერთი ასეულით მოინდომა ცხინვალის „გათავისუფლება“, რასაც დატყვევებული ქართული ასეულის სამარცხვინო დაჩოქება მოჰყვა; 2008 წლის აგვისტოში, ღამით ფართომასშტაბიანი სამხედრო ავანტიურა წამოიწყო ე.წ. სამხრეთ ოსეთში (შიდა ქართლში) კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად და ოთხ დღეში (თუ ხუთში?) სრული კაპიტულაცია გამოაცხადა და რუსეთს მორალურ-პოლიტიკური საფუძველი შეუქმნა ორი სეპატარისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობისათვის;

5. ნაცბანდის მმართველობისას ქუჩაში დახვრიტეს საქართველოს უზადო პატრიოტი, ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გურამ შარაძე და მისი გვამი რამდენიმე საათის განმავლობაში ქუჩაში დატოვეს ხალხის დასაშინებლად, მერე კი ამ საქმის გამოძიებამ ისეთი შედეგი დადო, რომლისაც არ სჯერა ჭკუათმყოფელ საქართველოს;

6. კატის კნუტივით მოკლეს საქართველოს იმდროინდელი პრემიერმინისტრი და მას ზედ წააკლეს ერთი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი დამწყები პოლიტიკოსი და ამ საქმის გამოძიების შედეგი ერთობ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

**7. ნაცხროვის ხელისუფლებამ საშინლად დაარტყა ქართულ კულტურასა და განათლებას: მსოფლიო დონის რეჟისორი ქვეყნიდან გააქციეს, ხოლო განათლების საქმე სანტექნიკოსს ჩააბარეს.**

ამჟამად ისტორიული ტრაგიკომიკური სპექტაკლი იდგმება ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოს სახით, სადაც ეროვნული უბედურების მომტანი მთავრობის ხელმძღვანელს პიჯაკების შეძენისთვის, მასაჟისტების მომსახურებასა თუ სუშის ჭამაში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვისთვის ასამართლებენ, იმის ნაცვლად, რომ ტარდებოდეს ქართული ნიურნბერგის პროცესი, რომელზეც სააკაშვილის გვერდით, სულ მცირე, ოცი დამნაშავე უნდა იჯდეს, რომლებსაც ყოფილ პრეზიდენტზე მეტი დანაშაული აქვთ ჩადენილი. დღევანდელი და ყოფილი ხელისუფლებების მოქმედება და უმოქმედობა ქართული სახელმწიფოებრიობის დანგრევისკენაა მიმართული. ეს კი იმ ბოროტი ძალის დაგეგმილია, რომელსაც უეროვნებო, უსქესო, უტრადიციო და ისტორიული მეხსიერებადაკარგული მსოფლიოს ჰომონახირის ჩამოყალიბება განუზრახავს.

**„დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგი ასე უპასუხებს სეპარატისტული ფხოვის მთავრის, თალაგვა კოლონკელიძის ქალიშვილს თხოვნაზე — მე მაპატიე მამაჩემის დანაშაულიო: „საქართველოს ერთიანობის ხელყოფა არავის ეპატიება!“ არც აპატია და თვალებიც დასთხარა სეპარატისტ მთავარს. ჩვენ რა გვეშველება, ვინ დასთხრის თვალებს ქართული სახელმწიფოს დამანგრეველებსა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების მოშლის მოწადინეთ? არც მეფე გიორგი გვყავს და არც მისი სპასალარი ზვიადი. ახლა შადიმანებისა და უცხოელთა მსტოვრების ხელშია ქვეყანა.** ერთადერთ მხსნელად უფალი და ღვთისმშობელი თუ მოგვევლინება, მაგრამ საეჭვოა, ზნეობადაკარგულ, ცრუ და ყრუ, მოღალატე და სხვის ჭკუაზე მოხეტიალე მანქურთებზე გული მოიბრუნოს უფალმა და ლახვარი ჩასცეს ჩვენზე გადაფოფრილ ბოროტებას.

**ზურაბ ცუცქირიძე**

სოფლის მეურნეობის გასაჭირი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გაისად ხორბლის სერიოზული დეფიციტი იქნება და პურპროდუქტებს რეკორდული ფასი დაედება. ჩვენ აღნიშნული პროდუქტი რუსეთიდან შემოგვაქვს და, თუ დასავლეთი მუქარას შეასრულებს და რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს, რუსული მხარე, კომპენსირების მიზნით, ხორბალს საჭიროზე მეტად გააძვირებს და გააძვირებს იმიტომ, რომ გადარჩეს. ასეთ პირობებში კი პური არნახულად გაგვიძვირდება; ნურც გაზაფხულის იმედად იქნებით, ბატონებო, ბოსტნეული თუ ბაღჩეული აღარ არის ისეთი იაფი, ნებისმიერმა რომ იყიდოს და მიირთვას. რატომ? იმიტომ, რომ თესლის წარმოებასაც ვერ ვახერხებთ და ელემენტარულად, საზამთროსა და ნესვის, კიტრისა და პომიდვრის, ქინძისა და ოხრახუშის თესლი შემოგვაქვს, რაც პროდუქტის თვითღირებულებას ზრდის.

# გორში თურქეთიდან შემოტანილი ვაშლი რომ გაიყიდება, მანდ გვაქვს ლახვარი ჩაცემული ზურგშიც და გულშიც

## ვაზის ფოთლის მაგალითიც კმარა იმისთვის, რომ მივხვდეთ, რაღაც უბედურება გვჭირს

**გასულ კვირას გორის ბაზართან ვაშლის ყიდვის სურვილით გავაჩერე მანქანა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ვაშლს ვაშლის სამშობლოში ისეთი ფასი ედო, სამოთხის ბაღიდან მოკრეფილი გეგონებოდათ. უბრალოდ, თითქმის ყველა გამყიდველს ჰქონდა ვაშლი, რომელზეც მცირე ზომის ქაღალდები იყო დაკრული. როგორც ამიხსნეს, ეს თურქეთიდან შემოტანილი ვაშლია. გორში თურქეთიდან შემოტანილი ვაშლი რომ გაიყიდება, მანდ გვაქვს ლახვარი ჩაცემული ზურგშიც და გულშიც.**




გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 577 მლნ ლარია, რომლიდანაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე მიიმართება 84,6 მილიონი, ხოლო ერთიან აგროპროექტზე — 257,7 მილიონი ლარი. რა იგულისხმება ერთიან აგროპროექტში, გზაში დაგვაწევენ, ალბათ, საშტატო განრიგისა და წლიური ბალანსისა არ იყოს. ანუ, გაგრძელდება პროგრამა, რომლის მიხედვით სახელმწიფოს თანადაფინანსებით იაფი კრედიტის აღების შესაძლებლობა იქნება, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ამ პროექტმა არ გაამართლა. საქმე ის არის, რომ კრედიტის მიღების შემდეგ პიროვნება ვალდებულია, ყველაფერი არა ქართულ, არამედ ევროსტანდარტებს მიუსადაგოს; საქონლის ფერმის შემთხვევაში, აუცილებლად ევროპული ჯიშები შეიძინოს (ადგილობრივი ჯიშები არ ფინანსდება) და იმას არ ფიქრობენ, რომ იმ ევროპულ ჯიშებს სპეციალური მოვლა და შესაბამისი ტემპერატურა სჭირდება, რაც ზამთრის პერიოდში უდიდეს ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოგებას ვინ ჩივის, თვითგადარჩენაზე არიან გადასული.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სოფლების ჩათვლით საქართველოში 4500 სოფელია, მათი გამოკლებით — 3668. გემახსოვრებათ, **2012 წლის არჩევნებამდე, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დაპირება სოფლების განვითარება და თითო სოფელში 5 მილიონი ლარის ჩადება გახლდათ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022 წელს, ანუ 10 წლის შემდეგ, ეს დაპირება არავის ახსოვს და სოფლები იმაზე მეტად არის უპატრონოდ მიტოვებული, ვიდრე მანამდე იყო.** ტერმინი „ძლიერი სოფელი" 2022 წელს აღარ უნდა გამოვიყენოთ, რადგან ამ ბიუჯეტით სოფლის სიძლიერე წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნული თანხიდან თუნდაც ერთი რეგიონის სოფლებს მიხედოს და მეურნეობა წამოწიოს. რას ნიშნავს ეს? უწინარესად, იმას, რომ **გაისად, წლევანდელის დარად, ისევ შემოტანილი და შხამ-ქიმიკატებით გაჯერებული პროდუქტების იმედად ვიქნებით და გლეხი ისევ ღარიბი იქნება; ეს ნიშნავს იმას, რომ ისევ არ გვექნება ჩვენი არაფერი და ვერც ადგილობრივ წარმოებას მოამარაგებენ ქართველები. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოებაც იძულებული იქნება, ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოიტანოს და იმავე საკონსერვო ქარხნებმა (ბევრი არ გეგონოთ, ორმა) და რძის გადამამუშავებელმა საწარმოებმა უკვე უნდა დაიწყონ ზრუნვა იმაზე, რომ პროდუქცია წარწერით „დამზადებულია საქართველოში" უცხოურ ნედლეულზე შექმნან.**

ახლა რასაც გეტყვით, სასაცილოც არის და სატირალიც. სულ რაღაც, ათიოდე დღის წინათ თურქმენეთიდან ბიზნესმენები იყვნენ საქართველოში და დამჟავებული ვაზის ფოთლის შეძენა სურდათ. საუბარი ათეულობით ტონაზე იყო, მუდმივი ხაზის აწყობა უნდოდათ, აქაოდა, ჩვენთან ვაზის ფოთოლში გახვეულ ტოლმას დიდი გასავალი აქვს, ვაზი კი ძნელად ხარობს და საქართველოში, როგორც ვაზის სამშობლოში, ფოთოლს როგორ ვერ ვიშოვითო. პირველ რიგში საკონსერვო ქარხნებში დავრეკეთ და გვითხრეს, რომ არ ამზადებდნენ, შემდეგ მაღაზიები დავიარეთ და ვნახეთ შუშის ქილებში დაფასოებული ვაზის ფოთოლი ქართული წარწერით. გაგვიხარდა, საკონტაქტოც ეტიკეტზე მოვიძიეთ და დავრეკეთ. შეხვედრაზე მარტივად შევთანხმდით და **გაირკვა, რომ ვაზის ფოთოლი შემოგვაქვს... სომხეთიდან მზა პროდუქციის სახით, ქილებში დაფასოებული და ქართულ ეტიკეტსაც იქვე აკრავენ. წვრილად აწერია ეტიკეტს, რომ დამზადებულია სომხეთში და დისტრიბუტორი არის ერთ-ერთი ქართული კომპანია. თურქმენები სომხეთში გადავიდნენ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხაზსაც ააწყობენ, მაგრამ ვერ მიხვდნენ და ვერც ჩვენ ავუხსენით, რატომ აწარმოებს ვაზის ფოთოლს, მაგალითად, სომხეთი და არ აწარმოებს საქართველო.** მით უმეტეს, რომ ჩვენ ირგვლივ აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთია, რომელთა ტრადიციულ კერძებში ვაზის ფოთოლზე დიდი მოთხოვნაა. ერთი შეხედვით ხომ მარტივია ვაზის ფოთლის წარმოება? ისიც ხომ მარტივია, თურქული და აზერბაიჯანული ბაზარი ავითვისოთ, არაფერს ვამბობთ შუა აზიის ქვეყნებზე, მაგრამ საამისოდ ან შნო გვაკლია, ან მარიფათი და მონდომება.

**გაირკვა, რომ ვაზის ფოთოლი შემოგვაქვს... სომხეთიდან მზა პროდუქციის სახით, ქილებში დაფასოებული და ქართულ ეტიკეტსაც იქვე აკრავენ. წვრილად აწერია ეტიკეტს, რომ დამზადებულია სომხეთში და დისტრიბუტორი არის ერთ-ერთი ქართული კომპანია. თურქმენები სომხეთში გადავიდნენ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხაზსაც ააწყობენ, მაგრამ ვერ მიხვდნენ და ვერც ჩვენ ავუხსენით, რატომ აწარმოებს ვაზის ფოთოლს, მაგალითად, სომხეთი და არ აწარმოებს საქართველო**

**სომხეთი ტყუილად არ გვიხსენებია. ეს არის ქვეყანა, რომლიდანაც შემოგვაქვს ყურძენი და დაახლოებით 30 მილიონი დოლარის ყურძენს ვუსაღებთ. შემოტანილი ყურძენი მთლიანად სუფრის არის, ანუ არა საღვინე და საკონიაკე მასალა, მაგრამ სუფრის ყურძენი სეზონზე ჩვენთან ისეთი მოდის, სომხურთან შედარებაც არ შეიძლება, თუმცა სეზონზევე ვჭამთ, ვერ ვინახავთ სამაცივრე მეურნეობების არარსებობის გამო და... უდიდეს ნაწილს სომხეთში ვყიდით იაფად, შემდეგ ვყიდულობთ ზუსტად ოთხმაგ ფასში.** რატომღაც გვგონია, რომ სოფლის მეურნეობის მიმართულების ცალ ფეხზე დაკიდება (მეორეზე გარემოს დაცვა ჰკიდიათ) მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივა არ არის. ჩვენმა სახელმწიფომ ვერ მოიშორა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი და, შესაბამისად, რაიმეს ფართო მასშტაბებით წარმოება, უბრალოდ, არ შეგვიძლია. **ვაზის ფოთლის მაგალითიც კმარა იმისთვის, რომ მივხვდეთ, რაღაც უბედურება გვჭირს. რეალურად, მონდომების შემთხვევაში, ვაზიდან ყველაფრის გაყიდვა შეიძლება — წალმის, ფოთლის, ყურძნის, ვაზის ყლორტებისგან კი არაჩვეულებრივი მარინადი კეთდება. ჩვენ კი ორ კვირაში ვამთავრებთ რთველს და ამით ვასრულებთ ვაზთან ურთიერთობას.** ცალკე პრობლემაა გარემოს დაცვა. არავინ იცის, რა მდგომარეობაშია წინა ხელისუფლების პერიოდში 49-წლიანი იჯარით გაცემული ტყეები და რა ხდება შიგნით. კერძო ტყეებში მოსახლეობას სოკოსა და კენკრის საკრეფადაც კი არ უშვებენ, მაგრამ, თუ შევლენ, ჯარიმას უწერენ. სამაგიეროდ, სახელმწიფო ტყეებში შეიძლება შესვლა და კომპანიები, რომლებიც წვენებზე მუშაობენ, მოსახლეობისგან ტყის ნაყოფს ყიდულობენ, მაგალითად, ასკილს, კილოგრამს... 20 თეთრად. ამიტომაც იყო, ხელისუფლებამ იურიდიულ კომპანიებს ტყის ნობათის მოპოვებაზე გადასახადი რომ დაუწესა, მაგრამ ეს კანონი არ მუშაობს — კენკრას მოსახლეობა კრეფს და კომპანიებს აბარებს, მოსახლეობისთვის კი უფასოა, თუმცა...

მომავალი წელი მიმდინარეზე მძიმე რომ იქნება, სოფლის მეურნეობის ბიუჯეტიდანაც ჩანს. აქცენტს სოფლის მეურნეობაზე იმიტომ ვაკეთებთ, რომ არა მხოლოდ კაცების, არამედ მთელი მოსახლეობის გულისკენ მიმავალი გზა სწორედ რომ კუჭზე გადის და ადამიანებს შიმშილი აწუხებთ. **გაისადაც, ისევე როგორც წელს, პრაქტიკულად ყველაფრის შემოტანა კვლავ საზღვარგარეთიდან მოგვიწევს და გარდა იმისა, რომ ფასებს სხვები დაგვიდგენენ, ვაღიაროთ, ქართული პროდუქტის სიჯანსაღესთან უცხოური ახლოსაც ვერ მოვა. ცალკე პრობლემაა ჯანმრთელობის პრობლემა, მაგრამ ამაზე ველარ ვფიქრობთ, ყოველდღიური პურის ფულია საშოვნელი და სწორედ ამისთვის მუშაობენ ადამიანები, ერთი დღეც რომ ჩააგდონ, საღამოს შიმშილს დაუკაკუნებენ კარზე.**

ამას ისიც დაამატეთ, რომ **მომავალი წელი ვირუსის ახალი შტამის წელიწადად დაგვიანონსეს, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც ჩვენთან, ისე დანარჩენ მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე ფასები ახალ სიმაღლეებს დაიპყრობს. ამ პირობებში ლამის ყველა სახელმწიფომ თანხა მოაკლო ყველაფერს (ჯანდაცვისა და განათლების გარდა) და გადაისროლა სოფლის მეურნეობაში. ჩვენთან კი პირიქით ხდება — ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობა დავჩაგრეთ და მის განადგურებასთან ერთად გარემოსაც მიზანმიმართულად (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ვანადგურებთ, წინ არ ვიხედებით. ასე გაგრძელების შემთხვევაში, მალე აღარც ტყე გვექნება, აღარც მტკნარი წყლები და აღარც თევზი.** პრინციპში, თევზი ახლაც არ არის, სეზონზე ძვირი ღირსო და ყველა მდინარეში დენით თევზაობენ. ჰო, გარემოს დაცვა მწირი დაფინანსებისა და კადრების დეფიციტის ფონზე ხელებს უიმედოდ შლის, კონტროლი გვიჭირსო. ეს ყველაზე კარგად ბრაკონიერებმა იციან.

ბოლო მონაცემებით, გაისად ხორბლის სერიოზული დეფიციტი იქნება და პურპროდუქტებს რეკორდული ფასი დაედება. ჩვენ აღნიშნული პროდუქტი რუსეთიდან შემოგვაქვს და, თუ დასავლეთი მუქარას შეასრულებს და რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს, რუსული მხარე, კომპენსირების მიზნით, ხორბალს საჭიროზე მეტად გააძვირებს და გააძვირებს იმიტომ, რომ გადარჩეს. ასეთ პირობებში კი პური არნახულად გაგვიძვირდება; ნურც გაზაფხულის იმედად იქნებით, ბატონებო, ბოსტნეული თუ ბაღჩეული აღარ არის ისეთი იაფი, ნებისმიერმა რომ იყიდოს და მიირთვას. რატომ? იმიტომ, რომ თესლის წარმოებასაც ვერ ვახერხებთ და ელემენტარულად, საზამთროსა და ნესვის, კიტრისა და პომიდვრის, ქინძისა და ოხრახუშის თესლი შემოგვაქვს, რაც პროდუქტის თვითღირებულებას ზრდის.

**ბესო ბარბაქაძე**

**მოქალაქეები, რომლებმაც ჩვენ მოგვმართეს, აპირებენ, სასამართლოს მიმართონ ზემოთ მოყვანილი ეთნიკური დისკრიმინაციისა და ძალადობისკენ მიმართული ფაქტების გამო. ჩვენ, როგორც ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული პარტიას, და პირადად მე, როგორც პარლამენტის წევრს, მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა, კომუნიკაციების კომისიამ შეისწავლოს ეს ფაქტები და დაიცვას მოქალაქეების უფლებები. შესაძლოა, მაშინ სასამართლო გარჩევა საჭირო არ გახდეს.**

მედიამაჩემო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანტირუსული ფაშიზმი მასმედიიდან უნდა აღმოიფხვრას!

**სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა დანერგა პრაქტიკა, როდესაც საქმე რუს ეროვნებას ეხება, ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფის საჯარო გამოთქმა ნებადართული ხდება. თვითონ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ჟამს ერთ-ერთ მიტინგზე რუსებს „მონღოლოიდური ურდო“ უწოდა და თავის მდაბიო ბუნებაში ჩაბუდებული რასიზმი გამოამჟღავნა როგორც რუსების, ისე მონღოლური წარმოშობის ხალხების მიმართ — თითქოს მონღოლობა სამარცხვინო იყოს.**



სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა კიდევ უფრო მახინჯი ფორმებით დღესაც გრძელდება. არაერთი შემთხვევა აღინიშნება, როდესაც მასმედიაში რუს ერსაც და რუსული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებსაც პირდაპირ შეურაცხყოფენ. აღარაფერს ვამბობთ ერთი უბადრუკი, ჯუჯა ფსევდოჟურნალისტის პერსონალური ლანძღვა-გინების კორიანტელზე პირდაპირ ეთერში, სულ რაღაც, ორიოდე წლის წინათ.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ ყველაფერზე სახელმწიფო სტრუქტურები თვალს ხუჭავენ, თითქოს არაფერი ხდება. **მასმედიის წარმომადგენლების მიმართ არანაირ სანქციებს არ ახორციელებს არც კომუნიკაციების კომისია და არც ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ბუნებრივია, „სახალხო დამცველსაც“ და მის მხარდამხარ „სიძულვილის ენაზე“ მოვიშვიშე დიპლომატიურ კორპუსსაც პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. ზემოაღნიშნული პრობლემა შეურაცხყოფებით არ შემოიფარგლება, მიდის პირდაპირი დევნა რუსული ენისა.** თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ 2019 წელს ბათუმში ჩამოსულ კიევის (ანუ უკრაინულ) საბავშვო თეატრს არ მისცეს საშუალება, სპექტაკლი რუსულ ენაზე ეთამაშათ! ეს ფაქტი ქართულ პრესაში არ გახმაურებულა და ჩვენ შვეიცარიული მედიასაშუალებიდან შევიტყვეთ...

ამ ფონზე მისასალმებელია, რომ საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, ოფიციალურმა პირმა მიაპყრო ყურადღება არსებულ პრობლემას, რომელიც რუსეთს არაფერს ვნებს, მაგრამ საქართველოს კი არცხვენს.

**მასმედიაში რუსი ეროვნების შეურაცხყოფის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა პარლამენტის წევრმა, ბატონმა ფრიდონ ინჯიამ.**

პარტია „ევროპელი სოციალისტების“ ფეისბუკგვერდზე ვკითხულობთ:

„ჩვენი პარტიის — „ევროპელი სოციალისტების“ ოფისში შემოსულია ამომრჩეველთა ერთი ჯგუფის მომართვა ქართულ მასმედიაში კონკრეტულ დისკრიმინაციულ ფაქტებთან დაკავშირებით. საქმე ეხება ტელევიზიების საშუალებით პირდაპირ ეთერში გასულ უცენზურო ლექსიკას, მიმართულს რუსი ეროვნების ადამიანების მიმართ.

კერძოდ, მიმდინარე 2021 წლის 1-ელ აპრილს ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში სტუდიის სტუმარმა, მსახიობმა, ვინმე **კახა გოგიძემ** გააკეთა ქსენოფობიური განცხადებები რუსი ეროვნების ადამიანების მიმართ, მან ასევე მოუწოდა ქართველებს, რომ რუს ტურისტებთან ურთიერთობისას მათ საფრთხე აგრძნობინონ. ეროვნული ნიშნით მან არაერთხელ გამოიყენა სიტყვა „ღორი“. ყოველივე ეს „გამართლებული“ იყო ოკუპაციის თემატიკით. ციტატების ნაწილი: „მიწა უნდა ეწვოდეს ყველა რუსს, რუსი ტურისტი აქ არ არის!“ „ავტომატის ჯერი უნდა მიუშვა ამ ღორებს!“

ამომრჩეველთა მომართვაში ასევე აღნიშნულია 2014 წლის ივლისში „რუსთავი 2“-ის დღის გადაცემაში სპორტული ჟურნალისტ **დიმიტრი ობოლაძის** მიერ გაკეთებული ქსენოფობიური, რუსი ეროვნების მოქალაქეებისთვის შეურაცხმყოფელი განცხადებები („ყველა რუსი არის ღორი“ და ა.შ.).

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებითა და საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია პიროვნების დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა ნებისმიერი, მათ შორის, ეროვნული თუ ეთნიკური ნიშნით. შესაბამისი ცვლილება შესულია კანონში „მასმედიის შესახებ“ (მუხლი 14, მუხლი 56), რომელშიც წერია, რომ:

**1. იკრძალება ისეთი ფორმით პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის;**

**2. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობების, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მსოფლმხედველობის, სქესის და აშ. წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.**

ჩვენ გვესმის, რომ **პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადებების შეკავება ტელეწამყვანების მიერ ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, წამყვანი ვალდებულია, სტუმარს მიუთითოს კანონის დაცვის აუცილებლობაზე და შესაბამისი კომენტარი გააკეთოს, ხოლო ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ბოდიში უნდა მოუხადოს საზოგადოებას თავის ეთერში გასული სიძულვილის ენის გამო. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში კი ასე არ მომხდარა.** მოქალაქეები, რომლებმაც ჩვენ მოგვმართეს, აპირებენ, სასამართლოს მიმართონ ზემოთ მოყვანილი ეთნიკური დისკრიმინაციისა და ძალადობისკენ მიმართული ფაქტების გამო. ჩვენ, როგორც ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული პარტიას, და პირადად მე, როგორც პარლამენტის წევრს, მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა, კომუნიკაციების კომისიამ შეისწავლოს ეს ფაქტები და დაიცვას მოქალაქეების უფლებები. შესაძლოა, მაშინ სასამართლო გარჩევა საჭირო არ გახდეს. აღნიშნული წერილი გაეგზავნა ადამიანის უფლებების დამცავ ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს რეაგირებისთვის“.

იმედია, შესაბამისი სტრუქტურები და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები დროულ და ჯეროვან რეაგირებას მოახდენენ დეპუტატის არგუმენტირებულ წერილზე.

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**

**მასმედიის წარმომადგენლების მიმართ არანაირ სანქციებს არ განახორციელებს არც კომუნიკაციების კომისია და არც ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ბუნებრივია, «სახალხო დამცველსაც» და მის მხარდამხარ «სიძულვილის ენაზე» მოვიშვიშე დიპლომატიურ კორპუსსაც პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. ზემოაღნიშნული პრობლემა შეურაცხყოფებით არ შემოიფარგლება, მიდის პირდაპირი დევნა რუსული ენისა**

**საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებითა და საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია პიროვნების დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა ნებისმიერი, მათ შორის, ეროვნული თუ ეთნიკური ნიშნით. შესაბამისი ცვლილება შესულია კანონში «მასმედიის შესახებ» (მუხლი 14, მუხლი 56)**



**«გვესმის, რომ პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადებების შეკავება ტელეწამყვანების მიერ ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, წამყვანი ვალდებულია, სტუმარს მიუთითოს კანონის დაცვის აუცილებლობაზე და შესაბამისი კომენტარი გააკეთოს, ხოლო ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ბოდიში უნდა მოუხადოს საზოგადოებას თავის ეთერში გასული სიძულვილის ენის გამო. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში კი ასე არ მომხდარა»**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დაუდევრები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე“ — ეს დიდი ტკივილი, ილიას ბაგეთაგან წარმოთქმული, დღეს თითოეული ნაღდი ქართველის გულშია მოკალათებული, ტვინს უღრღნის და სულს უშფოთებს, მოსვენებას უკარგავს. ალბათ, ეს ბაღლამი მალე ნაპირებიდანაც გადმოიღვრება, მაგრამ ვაითუ ვერ წალეკოს ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა.

# «უნახავის დანახვა», ანუ საქართველოს გაბრწყინება

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**„დაუდევრები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე“ — ეს დიდი ტკივილი, ილიას ბაგეთაგან წარმოთქმული, დღეს თითოეული ნაღდი ქართველის გულშია მოკალათებული, ტვინს უღრღნის და სულს უშფოთებს, მოსვენებას უკარგავს. ალბათ, ეს ბაღლამი მალე ნაპირებიდანაც გადმოიღვრება, მაგრამ ვაითუ ვერ წალეკოს ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა.**

**დღეს ვისმენთ მორიგ „დაბოლებას“, ამჯერად პრეზიდენტისგან, რომელმაც ჯერ თქვა „არა და არასოდესო“, ახლა კი: „მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ავიღე ვალდებულება და ეს არ არის მთავრობის ვალდებულება, ეს ჩემია; ეს არის შერიგების, სიმართლისა და სამართლიანობის პროცესის დაწყება; ეს ის გზაა, რომელიც რამდენიმე ქვეყანამ ადრე გაიარა და რომელიც, ჩემი აზრით, დღეს აბსოლუტურად არსებითია საქართველოსთვის, ყველა იმ პერსპექტივისთვის, რომელთა ღიაობის დანახვაც მას სურს, მათ შორის ევროპისაც“.**

**სალომე ზურაბიშვილის ამ განცხადებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, გაკვირვებით კი არავინ გაჰკვირვებია, რადგან ნაცნობი ხელწერაა.**

**„ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს, — წერდა ილია ჭავჭავაძე, —... აბა, ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულისმოყვარე“, და არა ის, ვინც თავის ხალხს ზურგს უკან დედას აგინებს, პირში კი ეპირფერება და ნაცვლად იმისა, რომ ჩადენილი ცოდვები და შეცდომები შეინანოს, ერისთვის წამებულ რაინდად ცდილობს თავის წარმოჩენას. არადა, „ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებააო“, ილიამ. ეტყობა, ეს არ იცის და არც არავინ ეუბნება გალიაში გამომწყვდეულ მიშიკოს. ისე, კი იჩემებდნენ ისიც და მისი თანაგუნდელებიც, რომ დიდი ილიას გზას მივუყვებითო, თუმცა ყურად არ უღიათ ერის მამის არც ერთი შეგონება.**

**მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს ჩვენი თანამედროვე აწ გარდაცვლილი მეცნიერის, გურამ თევზაძის, ნაშრომიდან „ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება“, რომელშიც ავტორი არსებულის, ნამდვილისა და შესაძლებლის ილიასეულ გაგებაზე, ქვეყნის განვითარების გზის ძიებაზე ამახვილებს ყურადღებას.**





**«ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს. აბა, ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულისმოყვარე», და არა ის, ვინც თავის ხალხს ზურგს უკან დედას აგინებს, პირში კი ეპირფერება და ნაცვლად იმისა, რომ ჩადენილი ცოდვები და შეცდომები შეინანოს, ერისთვის წამებულ რაინდად ცდილობს თავის წარმოჩენას. არადა, «ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებააო», ილიამ. ეტყობა, ეს არ იცის და არც არავინ ეუბნება გალიაში გამომწყვდეულ მიშიკოს**



**ამ ადამიანების მოლოდინიც უსაზღვროა, «ზღვა სდგას იმათ გულში. წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში», «გული სტკივათ, ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან. ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა»**

* „ილია კარგად იცნობდა XIX საუკუნის ევროპის მამოძრავებელ თეორიებს და იმ ძალებს, რომლებიც მათ განხორციელებას ცდილობდნენ. იგი ბრმად არ მისდევდა დასავლეთის, ანდა რუსეთის გამოცდილებას და არ სთვლიდა, რომ, რაც მოხდა, ის არ შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო. ასეთი პოზიცია, საბოლოო ანგარიშით ფატალიზმამდე და ე.ი. ადამიანის თავისუფლების უარყოფამდე მიდის, რაც ილიასთვის სავსებით მიუღებელი იყო. მაგალითად. ინგლისური კულტურისა და მეცნიერების უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, იგი არ თვლიდა, რომ ინგლისის მიერ ახალ ეპოქაში გავლილი გზა სავალდებულო იყო სხვა ქვეყნებისთვისაც საერთოდ და კერძოდ საქართველოსთვის. არ თვლიდა აუცილებლად, რომ სხვა ქვეყნებშიც ხელი უნდა შეეწყოთ გლეხთა გალატაკებისა და პროლეტარიატის წარმოშობის იმ გზისათვის, რომელიც ინგლისში განხორციელდა, რომელმაც უდიდესი ტანჯვა მიაყენა გლეხობას, სოფლები დააცარიელა ცხვრების საძოვრებისათვის და ქალაქები უიაფესი მუშახელით აავსო. ეს უბედურება დიდხანს გაგრძელდა“.

* „ილიას მოეწონებოდა მ. ჰაიდეგერის (1889-1976) დებულება, რომ **ისტორიაში ზოგჯერ ის, რაც არ მოხდა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც მოხდა, ე.ი. რაც მოხდა, რაც განხორციელდა, არ ნიშნავს, რომ იგი ერთადერთი შესაძლებელი, ანუ გარდაუვალი აუცილებლობა იყო.** ამ მარტივი, ერთი შეხედვით, თავისთავად ცხადი დებულების გაგება და მისი კონკრეტული სინამდვილის მიმართ გამოყენება ილიას ისტორიის ფილოსოფიის გასაღებია“.

* „1882 წ. ივნისის „შინაურ მიმოხილვაში“ ილიას მიერ წამოყენებული პოზიცია ისეთია, რომ თანამედროვე მოწინავე ქვეყნების კონსტიტუციებიდან გეგონებათ ამოღებული. **იგი იცავს დებულებას, რომ ადამიანი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო, ცხადია, გარკვეული უფლებების მქონეა, მაგრამ „უმაღლესი საგანია“, კონკრეტული პიროვნების უფლება. იგი უპირატესია სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე.**

ავიღოთ ილიას აღნიშნული „მიმოხილვის“ პირველივე აბზაცი და შევადაროთ, ჩემის აზრით, თანამედროვე დასავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო კონსტიტუციას, როგორიცაა დასავლეთ გერმანიაში 1949 წელს მიღებული. ილია წერს: **„ყოველი წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედებს მთელი კაცობრიობა იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს“.** ზემოაღნიშნული კონსტიტუციის პირველივე მუხლი ადგენს: „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია, მისი პატივისცემა და დაცვა ყოველი სახელმწიფო ძალაუფლების ვალია“.

* ილია ცნობილი ინგლისელი ქველმოქმედის, ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ი. ბენტამის (1748-1832) კვალად, **დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მოწოდებულია, განახორციელოს მოქალაქეთა მაქსიმუმისათვის ბედნიერების მაქსიმუმის შესაძლებლობა. ეს, ილიას აზრით, ყველა თავისუფალი საზოგადოების ვალია, მაგრამ იგი, ჯერ არც ერთ წყობილებას, თვით საუკეთესოსაც არ უზრუნველუყვია**. ამიტომ ახალ, XX საუკუნის კარიბჭესთან, 1899 წლის 31 დეკემბერს, ილია აღნიშნავდა რა XIX საუკუნის დიდ დამსახურებას მეცნიერული და სოციალური პროგრესის თვალსაზრისით, XX საუკუნეს ანდერძად უტოვებდა ადამიანის ბედნიერებისათვის პირობების შექმნას“.

* „სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც ილია ჭეშმარიტ ლიბერალურს უწოდებს, სწორედ ის საფუძველია, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის პიროვნების ზნეობრივი ბუნების რეალიზაციისათვის. **ჭეშმარიტი ლიბერალობა, გვარწმუნებს ილია, უნდა იცავდეს, სწორედ პიროვნების, ადამიანის ღირსებას. იგი ხელშეუხებელი უნდა იყოს, სანამ მის წინააღმდეგ „ცხადი, უცილო და უტყუარი საბუთები არ გვექნება ხელში“.**

* „შემთხვევითობა, რომელიც, ჰეგელის სიტყვებით თუ ვიტყვით, მართალია, აუცილებლობის რაღაცნაირი გამოვლენა იყო, მაგრამ, არასგზით მისი ერთადერთი და შეუცვლელი სახე, მაშინ ხომ იგი შემთხვევითობაც არ იქნებოდა?

...ილიას კვლევას სწორედ ის მიხვედრა აქვს საფუძვლად, რომ ფაქტობრივ სინამდვილეში განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ის, რაც შემთხვევითია და შეიძლება არც ყოფილიყო, და ის რაც, მხოლოდ შესაძლებლობაში არსებობს (მაგ.. თანხმობა მაშინ დაპირისპირებულ ფენებსა და კლასებს შორის), მაგრამ, თუ განამდვილდება, მაშინ საზოგადოების არსებობის იდეალის გამოვლინების შესაძლებელ მაქსიმუმს გამოხატავს. ჰეგელის სიტყვებით, რომ ვთქვათ **იგი ეძებდა იმ შესაძლებლობის განამდვილების გზას, რომელიც ადამიანთა საზოგადოების, როგორც თავისუფალ და სამართლებრივად თანასწორ არსებათა, კავშირის აუცილებელი არსების გამოხატულება იქნებოდა და მისი განხორციელება ამ ვითარების „აბსოლუტური სინამდვილის“, ე.ი. სტრუქტურულად მარადიული შინაგანი ფორმის გამოვლინება იქნებოდა“.**

იგი, როგორც ასეთი, იქნებოდა ამ იდეალური სტრუქტურის იდენტური, ანუ რეალობაში მისი გამოვლენის აუცილებელი ფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში საზოგადოების არსებითი, ანუ ძალდატანებითი რევოლუციური შეცვლა არ იქნებოდა საჭირო და აუცილებელი, ე.ი. არსებული სტრუქტურა „აიტანდა“ საკუთარ ფარგლებში ნებისმიერ პროგრესულ ცვლილებას.

*** „იგი თავისი ძლიერი გონებითა და ობიექტურობით ხედავდა იმას, რაც სხვებისთვის, ფაქტობრივი მოცემულობის გავლენის ქვეშ მყოფთათვის, მიუწვდომელი იყო. მათ ხედვის ძალა არ შესწევდათ ანდა რაღაცნაირად ხელს არ აძლევდათ, შესაძლებლობათა უფრო ღრმა, უფრო ღირებულ ფენებს ჩასწვდომოდნენ და ამიტომ უარყოფდნენ მათ შესაძლებლობას“.**

* * *

ილიას აზრით, **„ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო... თუ მაგას მივყევით, ...შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წავსდგამთ“.**

**ჰოდა, ვდგავართ!**

**დგანან გაჭირვებისგან წელში მოხრილი ქართველები, როგორც ვაჟა-ფშაველას მთანი მაღალნი.**

**„სდგანან წარბშეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი“. ამ ადამიანების მოლოდინიც უსაზღვროა, „ზღვა სდგას იმათ გულში. წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში“, „გული სტკივათ, ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან.**

**ვის? ან რას?**

**რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა“.**

„მოვიდნენ რა წინაშე ყაენისა, განკვირდა ყაენი მოსვლისათვის მეფისა. მაშინ მეფე ვახტანგ წინაალუდგა დატევნებისათვის ქრისტესა და მოოხრებისათვის ეკლესიებთა. არამედ საქართველოსაცა უარჰყვეს მოგზავნილი იგი ნოინი. ამისთვის მოკლა ყაენმა ქრისტესათვის ტანჯვითა მეფე ვახტანგ ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო საპითურთ და მუნ მოკლა“.

სჯულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წმიდა მოწამე მეფე ვახტანგ მესამე

**როგორც იწინასწარმეტყველა წმინდა ბერმა ბასილიმ, მეფე დემეტრე თავდადებულის სიკვდილის შემდგომ მისი შვილები მიმოიფანტნენ. დემეტრეს უფროსი ვაჟი — დავითი, რომელიც მას ჰყავდა ტრაპიზონის მეფის ასულისაგან, თან ახლდა მამას ურდოში. იგი ძლივს გადაურჩა სიკვდილს და აღიზარდა ნოინ ტაჩარის კარზე. მისი ძმები – ვახტანგი და მანუელი, საქართველოში დარჩნენ, ხოლო ნახევარძმა გიორგი (შემდგომში ბრწყინვალედ წოდებული) დედამ, ბექა ჯაყელის ასულმა, წაიყვანა ახალციხეში, მამის მამულში და იქ აღიზარდა; დემეტრეს მესამე ცოლი კი შვილებით სამშობლოში დაბრუნდა. უფალმა დემეტრეს შთამომავალთაგან სამს არგუნა მეფობა: დავითს, ვახტანგს და გიორგის. მათგან ვახტანგი მეფობის გვირგვინთან ერთად მოწამის შარავანდედითაც შეიმოსა.**





**1302 წელს «დაჯდა რა მეფედ ვახტანგ, ძე დიმიტრისა, მას მოსცეს ყოველი საქართველო». გაიხარა ყოველმა ქართველმა, «რამეთუ იყო ვახტანგ ყოვლითა სრულ, სარწმუნოებით მტკიცე, ღმრთისმოშიშ, სამღდელოთა პატივისმცემელ, ეკლესიათა პატივისმდებელ, მშვიდ და მდაბალ, მყუდრო, მოწყალე, უშფოთველ, ყოვლითა კეთილითა სრულ და არავის მოშურნე»**

წმიდა მეფე ვახტანგ მესამე 1257 წელს დაიბადა. ვახტანგის მამა იყო საქართველოს მეფე დემეტრე თავდადებული, დედა კი — ტრაპიზონის კეისრის ასული. დემეტრე მეფეს ამ ქორწინებიდან ხუთი შვილი ჰყავდა: დავითი, ვახტანგი, მანოელი, ლაშა და რუსუდანი. სხვა ქორწინებიდან კიდევ ჰყავდა დემეტრეს შვილები: ბაადური, იადგარი, ჯიგდა-ხათუნი და გიორგი.

დემეტრე თავდადებულის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ ვახტანგი მთიულეთში გახიზნეს და იქ იზრდებოდა. დემეტრეს ნაცვლად გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტზე დასვეს დავით ნარინის ვაჟი — ვახტანგი, რომლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტი დაიკავა დემეტრე თავდადებულის შვილმა — დავით მეექვსემ. ვახტანგი ერთგულად დაუდგა ძმას გვერდით და ყოველმხრივ ცდილობდა, შეემსუბუქებინა დავითისათვის მეფობის მძიმე ჯვარი.

დავითმა „წარავლინა ძმა თვისი უმრწემესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილისა“. ელჩობის მიზანი იყო, საქართველოს ესარგებლა ირანსა და მონღოლებს შორის არსებული მტრობით და მათი დაპირისპირების ფონზე როგორმე მოეწესრიგებინა ქვეყნის შიდა და გარე პრობლემები.

დავით მეფემ ვერ შეძლო ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, მან ნდობა დაკარგა, როგორც დამპყრობლების, ასევე საკუთარი ხალხის თვალში, ამიტომ საშინელმა ეჭვებმა შეიპყრო. დავითი, საკუთარი ძმის, ვახტანგის, ერთგულებაშიც არ იყო დარწმუნებული. მისი ბრძანებით შეიპყრეს ვახტანგი და დილეგში ჩააგდეს.

ვახტანგმა მოახერხა ციხიდან გაქცევა, „გამოიპარა და მივიდა ივანე ბარსელისასა“, რომელიც დავით მეფის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა და შესჩივლა: თუმცა ჩემი ძმისათვის „არარაბოროტი მიქმნიეს“, მაგრამ მაინც დამაპატიმრა, ახლაც გამოქცეული „არა წავალ ურდოსა მტერთა მისთანა“.ჩემს ძმას, მეფეს, „ჩემი შენსა მოსლვა“ აცნობე და მიშუამდგომლე, რომ, „თუ ფიცით შემაჯერებს“, რომ „არა მავნოს და არა შემიპყრას“, ისევ მასთან მივალ და საცხოვრებლად „მცირე სარჩონიცა მომცეს“-ო.

დავით მეფემ „ფიცით მოიმტკიცა“ ვახტაგი, მაგრამ მათ შორის თანხმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვახტანგის ქორწინების შემდეგ, როდესაც „შაბერის ძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად“, დავითის დამოკიდებულება ვახტანგთან ისევ გამწვავდა. კვლავ დაიწყო ვახტანგის „უპატიოდ ყოფა“ და იმატა ხალხის მღელვარებამ დავით მეფის პოლიტიკის გამო. ვახტანგი იძულებული გახდა და „წარვიდა ურდოს ყაინის თანა“.

ყაინმა „კეთილად შეიწყნარა“ ვახტანგი და „მოსცა მეფობა“, მაგრამ, მაშინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მარტო მეფობის მიცემა არაფერს ნიშნავდა: ტფილისში მცირეწლოვანი გიორგი უფლისწული იჯდა, ხოლო მთელ ჩრდილო მთიანეთში დავით მეექვსე ბატონობდა. ვახტანგის მეფედ დასასმელად სამხედრო ძალა იყო საჭირო და ყაზან ყაინმა ვახტანგ მესამეს „წარმოატანა ხუტლუშა ნოინი სპითა უძლიერესითა“.

**1302 წელს „დაჯდა რა მეფედ ვახტანგ, ძე დიმიტრისა, მას მოსცეს ყოველი საქართველო“. გაიხარა ყოველმა ქართველმა, „რამეთუ იყო ვახტანგ ყოვლითა სრულ, სარწმუნოებით მტკიცე, ღმრთისმოშიშ, სამღდელოთა პატივისმცემელ, ეკლესიათა პატივისმდებელ, მშვიდ და მდაბალ, მყუდრო, მოწყალე, უშფოთველ, ყოვლითა კეთილითა სრულ და არავის მოშურნე“.**

ვახტანგ მესამეს საშინლად მძიმე მდგომარეობაში მოუხდა ქვეყნის მართვა — „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა, არცა შენება ყოვლადვე... ვიქმენით მიცემულ პირველად მწარესა ტყუეობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ხოცასა, და მესამედ იქმნა პურის მოკლება?.. ესოდენ განძვინდა შიმშილი, რომელ მძორსა არა-წმიდასა ურიდად ჭამდეს... ყრმანი მკვდართა დედათა ძუძუთ ლეშვთა სწოვდიან... მოაოხრეს ქართლი უბოროტესად... და მიეცა ქუეყანა განსარყვნელად, ცოდვათა ჩუენთათვის“.

**მეფე ვახტანგი ყოველნაირად ცდილობდა ქვეყანაში არსებულ უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორებას. თუმცა, მეტწილად, საქართველოს გარეთ, მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში უხდებოდა იძულებით მონაწილეობა და ასეთ ლაშქრობებს ეწირებოდა ქართველთა ფიზიკური და სულიერი ძალმოსილება.**

**მეფე ვახტანგის ქართული ჯარით პალესტინაში ლაშქრობების დროს მონღოლებმა ქართველებს იერუსალიმში განსაკუთრებული უფლებები მიანიჭეს, იმ დროს შესწირა ვახტანგმა იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერს დიდი შესაწირავი. ვახტანგის ღვაწლით კიდევ უფრო გაძლიერდა იერუსალიმში ქართული მონასტრების ავტორიტეტი.** იერუსალიმის ქართველ დედათა მონასტერში რიფსიმეს სახელით მონაზვნად აღიკვეცა ვახტანგის მეუღლე. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის განჩინებით, ხარება დღეს „რაზომიცა მღდელნი და დიაკონი იყოს მეფეთა-მეფისა ვახტანგისათვის და მეუღლისა მისისა რიფსიმესათვის (შემონაზვნებულისა) შეიმოსნენ“.

მონღოლთა ერთ-ერთი ასეთი მორიგი ლაშქრობის დროს, გილანში, სადაც ჩვეულებრივ ქართველებიც მონაწილოებდნენ, მონღოლები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიჭრა თვით მეფე ვახტანგიც, უამრავი ქართველი შეეწირა ამ ბრძოლას.

**ლაშქრობიდან სამშობლოში მობრუნებულ ვახტანგ მესამეს ნახჭევანთან წამოეწია ყაენის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი მონღოლთა ნოინი. მას ჰქონდა ყაენის ბრძანება, დაენგრიათ, აეოხრებინათ და აღეგავათ საქართველოს წმიდა სავანეები. ასევე მათი მოთხოვნით, ქართველებს უნდა დაეტევებინათ ქრისტიანობა და მუსულმანობა მიეღოთ.**

„ხოლო მეფე ვახტანგ არა შეშინდა, არამედ განახმდა, და უმეტეს მოახსენებდა სიმხნეთა და ღუაწლთა ქრისტეს ღმრთისათვის, და რქუა სპათა თვისთა: „კაცნო, ძმანო და ერთრჯულულნო, და ქრისტეს ღმრთისა ჭეშმარიტად აღმსარებელნო! უწყით სჯული მამათა მიერ, და გასმიეს ქადაგება წმიდათა მოციქულთა, და უწყით ღუაწლნი და ახოვნებანი მოწამეთანი, და გიხილვან თუალითა თქუენითა ტაძარსა შინა მათსა ურიცხვნი სასწაულნი, და გასმიეს სახარებასა შინა უტყუელისა პირისა, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“. და კუალად: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქუენ“. აწ ნუ შესძრწუნდებით, და **წარვიდეთ ყაენს წინაშე და დავდვათ სული მისთვის, რომელმან დასდვა სული თვისი ჩუენთვის. პირველად ჩვენ მივსცნეთ თავნი ჩვენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება ღმრთისა.** და მან დაიცვას სამწყსო თვისი“... მყის წარემართეს ურდოსა და კარსა ყაენისასა, და მუხლნი დაიდგინეს, და რქუა მეფემან ხმითა მაღლითა: „ისმინე მაღალო და ძლიერო ყაენო, მოვიდა ბრძანება, რათა ყოველთა ქრისტიანეთა დაუტევნოთ სჯული ჩვენი. აწ ისმინე: ბედნიერთა პაპათა და მამათა თქუენთა ჰმონა და მსახურნა პაპამან და მამამან ჩუენმან ამით სჯულითა, და აროდეს გუასმეს, თუ სჯული ქართველთა ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ვყოფილვართ ყოველთაგან. და სპარსთა სჯული უფროს საძაგელად შეერაცხა პირველთა ყაენთა. ამისთვისცა იგინი მოწყვიდნეს, რამეთუ იყვნეს მწამვლელ და მამათმავალ და კაცისმკვლელ. და აწ თუ სიტყუასა სპარსთასა ისმენ, ყაენო, **მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსნი შენს წინაშე არიან, და მე მზად ვარ სიკუდილად სჯულისათვის ქრისტეანობისა,** და **მერმე ესე ყოველნი მყოფნი ქრისტეანნენ,** აჰა თავნი ჩვენნი წარგკვეთნენ“ და წარუპყრაცა ქედი“.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მეფე ვახტანგის აღსასრული შემდეგი სახით არის გადმოცემული: **„მოვიდნენ რა წინაშე ყაენისა, განკვირდა ყაენი მოსვლისათვის მეფისა. მაშინ მეფე ვახტანგ წინააღუდგა დატევნებისათვის ქრისტესა და მოოხრებისათვის ეკლესიებთა. არამედ საქართველოსაცა უარჰყვეს მოგზავნილი იგი ნოინი. ამისთვის მოკლა ყაენმა ქრისტესათვის ტანჯვითა მეფე ვახტანგ ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო საპითურთ და მუნ მოკლა“.**

ვახუშტისეული „ქართლის ცხოვრების“ არშიაზე არსებული მინაწერის მიხედვით, „გარნა იცნობების მუნვე ქვემოთ და ზემოთ და ყეენებისაგან ესრეთ, ვითარცა აღგვიწერია და აღსრულებასაცა მისსა ვგონებთ მოწამეობით, ვითარცა აჩენს ცხოვრება ცხადად. ხოლო სიტყვაცა არს, რამეთუ ვახტანგ მეფე მოწამე, არამედ თუცა ვახტანგ გორგასალისა იგონიებს გარნა გორგასალ ღირსქმნილია მოწამეობისა, ხოლო ესე ვახტანგ სრული მოწამეა ტანჯვითა ქრისტესათვის“.

მეფე ვახტანგ მესამის ცხოვრების შესახებ სხვა მასალები არ არის ცნობილი. რაც შეეხება მის განსასვენებელის ადგილსამყოფელს, ქართლის ცხოვრება მიუთითებს **დმანისის სიონს**, სადაც აღსრულებული მეფე გადმოასვენეს.

დმანისში დამკვიდრებულა ვახტანგ მეფის შთამომავლებიც უფროსი ძის — დემეტრეს და მისი ოჯახის სახით, რომლებიც დაკრძალულნი არიან იქვე.



დმანისის სიონი

**მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდათა ცხოვრებანი“, თბილისი, 2007 წ.**

პამფლეტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მომავალ კვირას ან გლდანის ციხის, ან გორის ჰოსპიტლის შლაგბაუმებს მიაყენებენ ბიომასის გადასაზიდ ცისტერნას, საპყრობილის მთავარი საკანალიზაციო მილის გაუმტარობის მომიზეზებით, და კიევის ისტორიული სახლების სახურავების მწვერვალების დამპყრობ ალპინისტს მოუწევს ორიოდ საათი აყოლებულ ცისტერნაში თავის ამოუყოფლად ჯდომა.**



ასე წმენდენ ბიოტუალეტებს



— კანფეტკუ ხოჩიშ?
— ხოჩუ!
— ნეთუ...

*ფრუნზიკასა და ბუბას ციხის დიალოგიდან (კ/ფ „არ დაიდარდო“)*

# წმინდა ზ-როხა თანამედროვე პოლიტიკაში




უხდება მიშა ბიოცისტერნას

**ხოლო ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი ცოლის, მისი შვილების დედის, მიმართ იკადრა, აფექტური პაციენტის პიროვნული დეგრადაციის თვალსაჩინო მაგალითია. არცთუ ახალი და გაუგონარი: როცა იმიერი ძალების ალოგიკური კონსტრუქცია სრულად იპყრობს ადამიანს**

**ნეტავი კანფეტის გარდა სხვა არაფერი გვაკლდეს! მაგრამ ჯერ ეს გავარკვიოთ: რატომ ზ-როხა? იმიტომ ხომ არა, რომ საბა-სულხან ორბელიანს ასე უწერია: „ზროხა ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ხარი და დედალსა ფური...“**

არც იმიტომ, რომ ეს შინაური ცხოველები ინდუიზმის მიმდევართა რწმენით არიან დაცული და განასახიერებენ სისუფთავეს, სიწმინდეს, სიუხვეს დედამიწასავით. მათი სიცოცხლის ხელყოფა სიკვდილით ისჯება.

ეს წმინდა ცხოველი არიული ტომების მთავარი ტოტემი იყო და დღესაც ასეთად რჩება.

ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება ჯაინიზმში, ზოროასტრიზმში, მას თაყვანს სცემდნენ ძველ ეგვიპტეში, ანტიკურ საბერძნეთში, რომში.

ნეპალსა და ინდოეთში ძროხას იცავს სახელმწიფო.

ძროხის კულტს აღიარებდა მაჰათმა განდი...

ასეა თვალის ერთი გადავლებით, მაგრამ, როგორც ყოველთვის, და ახლა მით უფრო, გვჭირდება კონკრეტიკა. და როგორც კი ამ ვიწროებში შევალთ, გავრცელების არეალი იზრდება. მაგალითად, საქართველოთი. ვასახელებ **ორუელის** ცხოველების ფერმის ერთ-ერთ ეგზემპლარს — სახელად **გიგის,** გვარად **უგულავას,** რომელიც ქვეყნის ქორფა ბიუჯეტიდან 48 მილიონი ლარის მოძოვების ბრალდებით კიდეც ჩასვეს ციხეში, მაგრამ მალევე შეაწყალებინეს პრეზიდენტს — წმინდაა და არ ეგებისო.

**მიხეილ სააკაშვილი** კი წმიდათაწმიდაა.

ზ-როხა!

იმიტომ, რომ რიგით ძროხად მოხსენიება პლებსის ხვედრია, ხოლო ნაცების ამბიციურ ლიდერს ამ ჯოგური სახელით შეურაცხყოფ. ხოლო ზ-როხობა ისტორიული რარიტეტის წონას შესძენს, აღიარებული იქნება, როგორც უეჭველი ფაქტი, როგორც საუკუნოვან ქართულ ძეგლზე პატივმოყვარე „ვიზიტორის“ მიერ მიწერილი ავტოგრაფი: „აქ ვიყავით მე და ჟორა...“

დადასტურებული თარიღით.

აბა, ძოვის დროს მდელოს ხასხასა სიმწვანეში დატოვებული, ბუზანკალებით გამხიარულებული ყავისფერი ბიონაზუქების აღწერით „ნევიჟუიზმს“ ხომ არ ვიქმ, როცა სააკაშვილის შეწყალებაზე კატეგორიული უარის თქმის „არა და არასოდეს!“ გადაფარვას საყოველთაო შერიგების იდეით ცდილობენ.

იაფფასიანი დუალიზმით „ვიღაც-ვიღაცეები“ დაარწმუნეს, რომ საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატია სუფევს.

ან სწორედ იმ „ვიღაც-ვიღაცეებმა“ მოინდომეს, განგვეცხადებინა საყოველთაო შერიგების იდეა. სავაჭრო ქსელიდან ამოღებული, ვადაგადაცილებული და სიტკბოდაკარგული პოლიტიკური მომპასების წითელ-ყვითელი ხმაურიანი ღილები, სიფრიფანა მრგვალ კოლოფებში ჩაყრილი სატყუარები, უფასოდ გაგვევრცელებინა.

სანამ ჩვენ აქ ვარკვევდით, ძროხაა თუ ზ-როხა, ხარია თუ კურო — „გამოუყვერავი ხარი“, მიშა სააკაშვილს ციხიდან „სვაბოდაზე“ გამოიყვანდნენ და ჩვენ, ყველანი, „სამი პრეზიდენტის“ შეთანხმებიდან გამომდინარე, ზვარაკად გვაქცევდა ხელისუფლების სათავეში დაბრუნებული ვამპირი დიქტატორი.

ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვნის არსებობაზე ახალს ვერაფერს გეტყვით, სამაგიეროდ, სიხარულით მოგახსენებთ, რომ იმ ტბის ლაქაშებში გააქტიურდნენ ამდენ ხანს მიმალული კუები, რომლებმაც ფეხი გამოყვეს — მეც ნახირ-ნახირო.

„ნახირ-ნახირო“ მარაქაში გარევას უნდა ნიშნავდეს. რადგან ორი მათგანი ყოფილია, ერთი — არჩევნების მეორე ტურით ხელისუფლებაში გაჭირვებით მისული.

სამივეს ქვეყნის მართვის „მონობა სჭირთ“.

**დრო არ აქვს მიშას თურმე, რეგიონის მასშტაბის ლიდერს. ეს, სრულიად კავკასიის ჩე გევარა მშობლიურ საქართველოში რევოლუციური გადატრიალების მოსაწყობად რძის ნაწარმით დატვირთული ტრაილერით ჩამოვიდა. აქეთ — სასამართლო, იქით — ჭირისუფლების მიღება; ნიკოლოზ გვარამიას ხელით განკარგულებების გამოცემა და ნიკანდრო მელიას იმედად ყოფნას იმდენი დრო მიაქვს, რომ ვერაფერს ვასწრებო, — დაიჩივლა სასამართლოს სხდომაზე ლამის ორსაათიანი სიტყვით გამოსულმა ექსპრეზიდენტმა.**

ყური არ ათხოვეს.

მაშინ აიღო და ჯერ კიდევ გლდანის ციხის პერსონალურ საკანში, რომელშიც ბადრაგის ორმა თანამშრომელმა „პოდრუჩკით“ ისე ციმციმ შეიყვანა, როგორც **ნატაშა როსტოვა** თავის პირველ მეჯლისზე, ჯერ „კრემლის დიეტის“ კურსი ჩაიტარა, შემდეგ — კოსმონავტების სპეციალური კვების რეჟიმი ვაჟკაცურად გადაიტანა.

ამ გმირობის ავტორს (როგორც დედამისმა **გიული ალასანიამ** თქვა), საშუალებას არ აძლევენ ახალი გმირობის ჩასადენად.

პატიმრის საკანში ლაზარეთი გაუხსნეს, შემდეგ — გორის სამხედრო ჰოსპიტალში მრავალპროფილიანი ლაბორატორია მოიწყო.

კომპიუტერული ტომოგრაფი მოითხოვა.

მიუტანეს. დაუდგეს.

სუპერკვალიფიციური მედიკოსების კონსილიუმის დანიშვნა მოინდომა. მიუყვანეს. სახალხო დამცველმა პირადი ერთგული ექიმების დუბლირებული კონსილიუმი სასწრაფოდ დაუნიშნა. **ლომჯარიამ** და მისმა ადმინისტრაციულმა ჯგუფმა ხელისუფლებას შვეიცარიაში სამკურნალოდ მისი გაგზავნა მოსთხოვა: — ჩვენი მედიკოსები მათ დონეს ჩამორჩებიანო.

არ გაჭრა.

სააკაშვილმა ბუნების წიაღში უბადრაგოდ სეირნობის სურვილი გამოთქვა შერყეული ფსიქიკის აღსადგენად.

დაეტიე, სადაც ხარო!

მან თანდათან დაიჯერა, რომ დღესაც პრეზიდენტია.

იყავიო.

დასხდებიან სადღაც დუშეთში სამნი, შერიგების შესახებ **მარგველაშვილის** რაციონალიზატორული წინადადების განსახორციელებლად.

შუა დეკემბერი, შერიგება, შეხმატკბილება.

და — კმაყოფილი სახეები ისტორიის ვითომ შემცვლელთა.

ან არ დასხდებიან.

ხოლო ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი ცოლის, მისი შვილების დედის, მიმართ იკადრა, აფექტური პაციენტის პიროვნული დეგრადაციის თვალსაჩინო მაგალითია. არცთუ ახალი და გაუგონარი: როცა იმიერი ძალების ალოგიკური კონსტრუქცია სრულად იპყრობს ადამიანს.

რაც აღწერილი აქვს ტოლსტოის „კრეიცერის სონატაში“.

დარღვეული ფსიქიკის პიროვნების ხელისუფლებაში დასაბრუნებლად მოგვიწოდებენ საყოველთაო შერიგების აქტის განხორციელების გზით...

თუნდაც ამიტომ ვერ შედგება შერიგება.

არ შედგება.

არც გარიგება. ვერც ფასზე შეთანხმდებიან. თავისუფლება, როგორც ყოველთვის, ძალიან ძვირი ღირს — სინდისის ფასი ადევს. ნაცებმა „ვერ გაიგეს“, რას ითხოვდა მათგან ხალხი, რადგან არ გააჩნდათ სინდისი — საქონელი, რომელითაც უნდა ევაჭრათ.

ამიტომ დარჩა მიხეილი ციხეში.

**„— კანფეტკუ ხოჩიშ?**
**— ხოჩუ!**
**— ნეთუ...“**

ეს კადრი ახალ ფილმში არ შევა. არ გადაუღიათ, რადგან არც სცენარისტია ცოცხალი, არც რეჟისორი. ფრუნზიკა დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა.

**ნაცები მოუსავლეთის ჰორიზონტს უახლოვდებიან.**

* * *

**წმინდა ნინო კაბადოკიელმა წარმართთა სალოცავი რომ იხილა, ემცხეთა:**

**„...იდგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი ოქროსი, და თავსსა მისსა ჩაბალახი მყარი და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა... უკეთუ ვინმე შეეხებინ, თავი თვისი სიკუდილად განწირის... და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაც და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნიიგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“** *(„ქართლის ცხოვრება“, გვ. 88-90).*

ლოცვად დადგა **წმინდა ნინო** და, როცა დაასრულა, „...მეყსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, მწარედ სასტიკი და მიიღო სეტყუა ლიტრისა სწორი ადგილსა მას ოდენ ზედა, საყოფელსა კერპთასა. და დააწულილნა კერპი იგი და დამუსრნა...“ *(იქვე, გვ. 91).* იესო ქრისტეს ძალით დალეწა.

წინაღობა უცებვე უნდა დაინგრეს, განადგურდეს მყისიერად. ნებისმიერი დაყოვნება, რაგინდ დემოკრატიის დამკვიდრების დროშით ტარდებოდეს, დამღუპველია, რადგან რჩება შხამიან წყაროდ ახალი ნეგატივიზმის წარმოშობისა.

წინაპრების მაგალითი ამას გვასწავლის.

საერთაშორისო კონფერენციების, მინისტერიალების ციკლების ჩატარება რაგინდარა ფორმატით, სამიტებისა და იმედისმომცემი ბრიფინგების მოწყობა, ხალხის კისერზე ყულფის უფრო მეტად მოჭერასავით არის.

დრო აქტორებისთვის არ მუშაობს. ისე ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილს, საკანში მჯდარ დამნაშავეს, მისჯილი წლების გატარება ციხის ოთხ კედელში მოუწევს. ხომ იცით, რომ „მიშა! მიშა! მიშას!“ **ედმონ დანტესი,** იგივე გრაფი მონტე-კრისტო იფის ციხეს საკუთარი ვაჟკაცობით, მოხერხებულობითა და რისკით თავს ვერ დააღწევს.

ერთადერთი საშუალება, როგორც ალექსანდრე სერის პოპულარულ ფილმ „იღბლიან ჯენტლმენებში“, ცემენტმზიდ ავტომანქანაზე დადგმულ ცისტერნაში დამალვა და ციხიდან გაპარვაა, მაგრამ არც გლდანის ციხეში, არც გორის ჰოსპიტალში სამშენებლო სამუშაოები არ ტარდება, მაშასადამე, ამ ტექნიკას იქ არ შეუშვებენ.

**არ შეშინდე, ბაბაჯან, „კარგი ბიჭები“, რომლებთანაც საქმე დავიჭირე, უკვე მოელაპარაკნენ ბიოტუალეტების გამქირავებელ ფირმებს და მომავალ კვირას ან გლდანის ციხის, ან გორის ჰოსპიტლის შლაგბაუმებს მიაყენებენ ბიომასის გადასაზიდ ცისტერნას, საპყრობილის მთავარი საკანალიზაციო მილის გაუმტარობის მომიზეზებით, და კიევის ისტორიული სახლების სახურავების მწვერვალების დამპყრობ ალპინისტს მოუწევს ორიოდ საათი აყოლებულ ცისტერნაში თავის ამოუყოფლად ჯდომა.**

არა უშავს, რადგან მისი კასტის ზოგიერთი წევრი გაცილებით მეტი ყროლია, ხოლო „საკუთარი განავალი არ ყარს...“ ბერტოოლდ ბრეხტი! „კავკასიურიიი ცარციიის წრე!“

**არმაზ სანებლიძე**

**მოჭადრაკეებმა პირველი 5 პარტია ყაიმით დაასრულეს. მეექვსეში კარლსენმა და ნეპომნიაშჩიმ მართლაც საჩემპიონო ბრძოლა გამართეს. ეს პარტია ყველაზე ხანგრძლივი იყო ამ მატჩში, გამარჯვება კი ნორვეგიელმა მოიპოვა. ექსპერტთა აზრით, სწორედ მეექვსე პარტია აღმოჩნდა გადამწყვეტი, რომელიც მაგნუს კარლსენმა მოიგო.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჭადრაკის მოცარტმა» მეოთხედ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული

**ნორვეგიელმა დიდოსტატმა მაგნუს კარლსენმა 10 დეკემბერს დუბაიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონობისთვის მატჩის მეთვრამეტე პარტიაში შავებით დაამარცხა რუსი იან ნეპომნიაშჩი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. 11 პარტიის შედეგების მიხედვით, კარლსენმა მატჩი მოიგო ანგარიშით 7,5:3,5. ნორვეგიელმა მოჭადრაკემ მეოთხედ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. პირველი ჩემპიონობა მან 2013 წელს მოიპოვა, როცა დაამარცხა ინდოელი ვიშვანათან ანანდი.**





ჭადრაკის მეფის გვირგვინისთვის მატჩის სტარტამდე სპეციალისტები იმედოვნებდნენ, რომ ნეპომნიაშჩი, რომელმაც ბრწყინვალე სტილით განვლო პრეტენდენტთა ტურნირი, ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა ნორვეგიელ დიდოსტატს, მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა — პირველ პარტიებში ნეპომნიაშჩი ურიგოდ არ გამოიყურებოდა და დიდ პოტენციალს ამჟღავნებდა, მაგრამ ერთ მომენტში გატყდა.

მოჭადრაკეებმა პირველი 5 პარტია ყაიმით დაასრულეს. მეექვსეში კარლსენმა და ნეპომნიაშჩიმ მართლაც საჩემპიონო ბრძოლა გამართეს. ეს პარტია ყველაზე ხანგრძლივი იყო ამ მატჩში, გამარჯვება კი ნორვეგიელმა მოიპოვა. ექსპერტთა აზრით, სწორედ მეექვსე პარტია აღმოჩნდა გადამწყვეტი, რომელიც მაგნუს კარლსენმა მოიგო. რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ **ანდრეი ფილატოვის** აზრით, „იან ნეპომნიაშჩი მეექვსე პარტიის შემდეგ გატყდა, პირველი წაგების შემდეგ მისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა ძალების მოკრება“.

მომდევნო 5 პარტიაში კარლსენმა 3 გამარჯვება მოიპოვა. მერვე პარტიაში მისი წარმატება ნეპომნიაშჩისთვის ნოკდაუნის ტოლფასი იყო, რომლიდანაც გამოსვლა ვერ შეძლო, მეცხრე პარტიაში რუსმა მოჭადრაკემ უხეში შეცდომა დაუშვა და კვლავ დამარცხდა. დანარჩენ პარტიებში კარლსენს 1,5 ქულა უნდა მოეგროვებინა და ეს ვადაზე ადრე შეძლო. ნორვეგიელმა დიდოსტატმა მატჩი მე-11 პარტიაში დაასრულა — 7,5:3,5.

მაგნუს კარლსენი, ბევრის აზრით, ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე დიდი ჩემპიონია. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვის შემდეგ კარლსენმა ჟურნალისტებთან გულწრფელად აღიარა, რომ არ ელოდა ასეთ სწრაფ გამარჯვებას. **„5 პარტია ყაიმით დასრულდა და მე გამარჯვების არანაირი შანსი არ მქონია, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ჩემი გეგმის მიხედვით წარიმართა. მეექვსე პარტია, უბრალოდ, შესანიშნავი იყო — გააფთრებული ბრძოლა, რომელმაც ყველაფერი გადაწყვიტა. ჯამში, იან ნეპომნიაშჩიმ ვერ აჩვენა თავისი საუკეთესო თამაში. რაღაც მომეტში მომზადებაც კი ვერ გეხმარება და არ იცი, რა უნდა გააკეთო. არ ველოდი, რომ მატჩი ასე სწრაფად დასრულდებოდა. მე ამ მატჩს შევადარებდი ჩემი და ვიშვანათან ანანდის 2014 წლის მატჩს“,** — განაცხადა ნორვეგიელმა დიდოსტატმა.

მაგნუს კარლსენს 31 წელი შეუსრულდა 30 ნოემბერს, იმ დღეს, როცა მეოთხე პარტია ტარდებოდა. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის სარეიტინგო სიაში ის, კარგა ხანია, პირველ ადგილზეა — 2013 წლიდან ატარებს ჭადრაკის მეფის გვირგვინს. კარლსენმა ოთხჯერ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული: 2014 წელს პირველად ინდოელ ვიშვანათან ანანდთან, მეორედ — 2016 წელს — რუს **სერგეი კარიაკინთან,** 2018 წელს — ამერიკელ **ფაბიანო კარუანესთან** და ბოლოს **იან ნეპომნიაშჩისთან.**

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მაგნუს კარლსენისა და იან ნეპომნიაშჩის მატჩის საპრიზო ფონდი 2 მლნ ევრო იყო. კარლსენმა მიიღო 1,2 მლნ ევრო, ნეპომნიაშჩიმ — 800 ათასი.

**მაგნუს კარლსენის მიღწევები:**

*** სვენ მაგნუს კარლსენი დაიბადა 1990 წლის 30 ნოემბერს ქალაქ ტენსბერგში. არის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკის სამ კატეგორიაში: 2013 წლიდან მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში; 2013-2016, 2019, 2021 წლებში — მსოფლიო ჩემპიონი რაპიდში (ჭადრაკის სახეობა მოსაფიქრებლად შეზღუდული დროით, თითოეულ მოთამაშეს პარტიისთვის ეძლევა 10 წუთზე მეტი და 1 საათზე ნაკლები); 2014-2015, 2017-2019 წლებში — მსოფლიოს ჩემპიონი ბლიცში.**

* კარლსენმა დიდოსტატის ტიტული 2004 წლის 26 აპრილს მოიპოვა, როცა 13 წლის, 4 თვისა და 27 დღის იყო.

* არის 5 საჭადრაკო ოსკარის მფლობელი — 2009, 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



გარი კასპაროვი და მაგნუს კარლსენი



მარკ ცუკერბერგი და მაგნუს კარლსენი




იან ნეპომნიაშჩი და მაგნუს კარლსენი

## 10 საუკეთესო მოჭადრაკე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის სარეიტინგო სიის მიხედვით (01.12.2021 წ.)

| № | მოჭადრაკე | დაბადების წელი | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| 1. | მაგნუს კარლსენი, ნორვეგია | 1990 | 2856 |
| 2. | ალირეზა ფირუზჯა, საფრანგეთი | 2003 | 2804 |
| 4. | ფაბიანო კარუანა, აშშ | 1992 | 2799 |
| 5. | იან ნეპომნიაშჩი, რუსეთი | 1990 | 2782 |
| 6. | ლევონ არონიანი, აშშ | 1982 | 2772 |
| 7. | ანიშ გირი, ნიდერლანდები | 1994 | 2772 |
| 8. | უესლი სო, აშშ | 1993 | 2772 |
| 9. | შაჰრიარ მამედიაროვი, აზერბაიჯანი | 1985 | 2767 |
| 10. | ალექსანდრე გრიშჩუკი, რუსეთი | 1983 | 2764 |

# ევროსასამართლომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დაავალდებულა, რომ ოჯახად აღიარონ ერთი და იმავე სქესის პირები და მათი შვილები



**ევროკავშირის უმაღლესმა სასამართლო ორგანომ დაადგინა, რომ ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში აღიარებული უნდა იყოს ერთი და იმავე სქესის მშობლებისა და მათი შვილების უფლებები, ანუ აღიარებული იქნან ოჯახად.**

ლუქსემბურგში არსებულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, თუ ერთი სახელმწიფო აღიარებს ასეთ ნათესაობას, მაშინ ასევე უნდა მოიქცეს სხვაც, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბავშვის თავისუფლად გადაადგილების უფლება.

საქმე სასამართლოს მას შემდეგ გადაეცა, რაც ბულგარეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა ერთი და იმავე სქესის წყვილს ბავშვის დაბადების მოწმობის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ბავშვს არ შეიძლება ჰყავდეს ორი დედა. ამ საკითხზე სასამართლოში სარჩელი შეიტანეს ბულგარელმა და ბრიტანელმა ქალებმა — ალინა ივანოვამ და ჯეინ ჯონსმა.

სარა ესპანეთში დაიბადა, მისი ერთი „დედა" — ბულგარეთში, მეორე — გიბრალტარში. საქმე სასამართლომდე იმიტომ მივიდა, რომ ბულგარეთმა მცირეწლოვან სარას უარი უთხრა მოქალაქეობაზე, რადგან ბულგარეთის კანონმდებლობით ერთი და იმავე სქესის პირთა ოჯახები იურიდიულად აღიარებული არ არის.

**ru.euronews.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# ბაიდენმა კიდევ ერთხელ მოიხსენია კამილა ჰარისი აშშ-ის პრეზიდენტად

**აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კიდევ ერთხელ შეცდა, როცა ვიცეპრეზიდენტი კამილა ჰარისი სახელმწიფო მეთაურად მოიხსენია.**

აშშ-ის ლიდერმა ეს შეცდომა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას დაუშვა.

„მე ვარ დელავერიდან. რაც შეეხება პრეზიდენტ ჰარისს, ჩემი მეგობრები და ახლობლები, ჩვენ ყველა ვიზიარებთ სიამაყეს, რომელსაც თქვენ განიცდით ამ დღეს", — განაცხადა ბაიდენმა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე. ბაიდენის გამოსვლის ფრაგმენტი სოციალურ ქსელ „ტვიტერში" გამოაქვეყნა სააგენტო X Strategies-მა.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ლიეტუვა — მორიგი «დემოკრატიის შუქურა» და «საზარბაზნე ხორცი»

**პენტაგონის შეფმა ლოიდ ოსტინმა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრთან რამდენიმე დღისწინანდელ შეხვედრაზე ბალტიისპირეთის ამ ქვეყანას „დემოკრატიის შუქურა" უწოდა, რადგან ის, სხვა ყველაფერთან ერთად, უარს არ ამბობს ბელარუსიდან და რუსეთიდან გაძევებული ოპოზიციური ლიდერების მიღებაზე. ვაშინგტონი კმაყოფილია ლიეტუვის პროვოკაციებით მოსკოვისა და პეკინის მიმართ, მაგრამ მოკავშირეს აღიქვამს, როგორც „საზარბაზნე ხორცს", — წერს ჩინური გამოცემა Global Times-ი.**

ლიეტუვამ, რომელიც უხერხულ ვითარებაში აღმოჩნდა რუსეთისა და ჩინეთის მიმართ განხორციელებული პროვოკაციების გამო, ცოტა ხნის წინათ მიიღო „მაღალი ჯილდო" ამერიკისგან — რეგიონული „დემოკრატიის შუქურის" ტიტული", — წერს გაზეთი Global Times-ი.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა **ლოიდ ოსტინმა** თავის ლიეტუველ კოლეგას, **არვიდას ანუშაუსკასს,** ასე მიმართა: „ლიეტუვა დემოკრატიის შუქურად იქცა რეგიონში, ყველაფერთან ერთად ის თავშესაფარს აძლევს თავიანთი ქვეყნებიდან გამოძევებულ რუს და ბელარუს ოპოზიციონერებს და ეს არის მნიშვნელოვანი მაგალითი, რომელიც სხვა ქვეყნებმაც უნდა გაითვალისწინონ".



ისეთი რა გააკეთა ლიეტუვამ, რომ „დემოკრატიის შუქურის" ტიტული დაიმსახურა? Global Times-ის აზრით, დემოკრატიის სფეროში — არაფერი, უბრალოდ, „ვილნიუსმა გაბედა და ვაშინგტონის ინტერესების შესაბამისად პროვოკაციები მოუწყო დიდ და გავლენიან სახელმწიფოებს".

აშშ-ის ლოგიკით, ქვეყანა, რომელიც თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოების ოპოზიციურ ლიდერებს, იმსახურებს „დემოკრატიის შუქურის" ტიტულს". ოღონდ ეს არის სხვა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ გაეროს პრინციპის დარღვევა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ჩინეთის ინსტიტუტის თანამშრომელ **სუნ კეცინის** აზრით, აშშ-მა შეაქო ლიეტუვა გაეროს წესდების დარღვევისთვის. გამოცემის აზრით, „ვილნიუსმა ცხვირი არ უნდა აბზიკოს. ურჩევნია, ფრთხილად იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შუქურა თავს თვითონ დაიწვავს". „დემოკრატია" და ლიეტუვა ამერიკისთვის მხოლოდ ინსტრუმენტებია დასახული მიზნების მისაღწევად", — წერს Global Times-ი და დასძენს, რომ „ლიეტუვა მორიგი საზარბაზნე ხორცია, რომელიც არც ისე ძვირი ღირს აშშ-ის თვალში", სამწუხაროდ, ლიეტუვას პატივად მიაჩნია, რომ აშშ მას იყენებს.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# 2021 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი

## ყველაზე მეტი ღვინო კვლავ რუსეთმა შეისყიდა



**ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2021 წლის 11 თვეში საქართველოდან ექსპორტირებულია 96 150 065 ბოთლი ღვინო. ეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14 პროცენტითაა გაზრდილი.**

ექსპორტირებული ღვინით მიღებული შემოსავალი 222 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე ოთხი პროცენტით მეტია.

ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების პირველი ხუთეული ასეთია: **რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩინეთი** და **ბელარუსი**. ზრდა აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: **კანადა — 91% (317692), შვედეთი — 97% (119494), ჩეხეთი — 259% (141432), საფრანგეთი — 6% (84028), ისრაელი — 62% (422839), ყაზახეთი — 38% (3775978), აზერბაიჯანი — 21% (209987), თურქეთი — 209% (93330), უკრაინა — 11% (11667525), რუსეთი — 6% (55867692), მონღოლეთი — 174% (402810), ბელარუსი — 26% (4454009)** და ა.შ.

საქართველოდან სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 421 კომპანიაზე მოდის. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 38,2 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, ეს 30%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 70,9 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აგრეთვე, ექსპორტირებულია 760,3 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 42 პროცენტი შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1,9 მლნ აშშ დოლარს აღწევს; ზრდამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 42% შეადგინა.

ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 356,3 მლნ აშშ დოლარი შემოსავალი, რაც 12 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

**1tv.ge**

# ტალახაძის 3 ოქრო და 3 მსოფლიო რეკორდი



**ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატს ტაშკენტმა უმასპინძლა.** +109 კგ წონით კატეგორიაში ატაცში **ლაშა ტალახაძემ** ჯერ 210 კგ ასწია, მეორე ცდაზე — 218 კგ, ხილო მესამე ცდაზე 225 კგ და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აკვრაში ლაშამ 247 კგ ასწია, მეორე ცდაზე — 257 კგ, ხოლო მესამე ცდაზე — 267 კგ და მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ლაშა ტალახაძემ ორჭიდის ჯამში 492 კგ ასწია, რაც ასევე მსოფლიო რეკორდია. 28 წლის ქართველმა ძალოსანმა მსოფლიოს ჩემპიონობა მეხუთედ მოიპოვა.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894